დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 23 - 29 სექტემბერი

N 40 1558

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ძლიე საქართველოს – 7



# გადაუფორმე ქონება ხაზარაძეს!



9

## ბიძინა ივანიშვილი:



პირობას გაძლევთ, რომ პირადად მე, „ქართული ოცნების" პოლიტიკურ გუნდთან ერთად, საქართველოში ომსა და ბომბების წვიმას არაფრის ფასად არ დავუშვებ! 2-4

## ლია კრიალაშვილი:

9 „ოცნებამ" არამხოლოდ ჩვენს ოს ძმებს უნდა მოუხადოს ბოდიში, არამედ რეპრესირებულ ოჯახებსაც!



# ხარება და დემაგოგია

2





## ბახმუტელ ვანოს 6 ერთი გვამი სჭირდება!



## ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის სკანდალური დეტალები

20

## მზია ხეთაგური:



ბოდიში ყველას გვაქვს მოსახდელი, სიმართლე არავის მხარეს არ არის!

8


ქართული თეატრი

ხუთშაბათს 1 იანვარს

ქართული თეატრის დაფუძნების სახსოვრად

საიუბილეო წარმოდგენა

პირველად

სამზადისი

ზაურა

10

## ჯეფრი

ევროკავშირი არადემოკრატიული ორგანიზაციაა და რა უნდა ამ ორგანიზაციაში საქართველოს?



4

## სილვერმანი:

სჯობს, ევროდეპუტატებმა საქართველოს სოფლებში გაიარონ მასტერკლასები, უბრალო ქართველი კაცი ასწავლის მათ, როგორ უნდა შექმნან დემოკრატია, როგორ უნდა მართონ სახელმწიფო!

მიკირტუმ გასპარიჩებისა და მეკურტუმ ევროპაიჩების შესახებ



## „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარისა და საპარლამენტო სიის პირველი ნომრის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლიდან 2024 წლის 19 სექტემბერს რუსთავში, წინასაარჩევნო შეხვედრაზე

# ბიძინა ივანიშვილი:

# ახლოვდება დრო, როდესაც დიდი ხნის ნატვრას ავიხდენთ და მშვიდობიანი გზით გამთლიანებულ საქართველოს ვიხილავთ!

**მოგესალმებით რუსთავის, ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, გარდაბნის, წალკისა და თეთრიწყაროს მოსახლეობას!**

მივესალმები უძველესი და უნიკალური ისტორიის მქონე მხარეს, რომელიც გამორჩეულია ისტორიული ძეგლებით, ულამაზესი ბუნებით და, რაც მთავარია, გასაოცარი ხალხით!

**მივესალმები პირველი ევროპელების მხარეს, სადაც თითქმის 2 მილიონი წლის წინ დაირწა ცივილიზაციის აკვანი. მივესალმები მხარეს, რომელიც ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს — ბოლნისის სიონს და ქართული დამწერლობის უძველეს ნიმუშებს გვინახავს. მივესალმები მხარეს, სადაც მევენახეობის უძველესი ნაკვალევია აღმოჩენილი, რაც ადასტურებს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა!** მივესალმები სტუმართმოყვარეობითა და ტოლერანტობით განთქმულ კუთხეს, სადაც ქართველებთან ერთად, **აზერბაიჯანელებმა, სომხებმა, ბერძნებმა, გერმანელებმა და სხვა ეროვნების ხალხმა,** ჯერ — თავშესაფარი, შემდეგ კი სახლი და სამშობლო იპოვეს.

როგორც პოლიტიკოსი, პირველად, 2012 წელს შეგხვდით და ჩვენი ქვეყნისთვის იმ შავბნელ პერიოდში დაგპირდით, რომ **ერთად დგომით აუცილებლად დავამარცხებდით ნაციონალური მოძრაობის რეჟიმს,** რეჟიმს, რომელსაც სახელმწიფო ჰქონდა მიტაცებული და ტერორსა და შიშში ამყოფებდა მოსახლეობას.

1 ოქტომბრის ისტორიული გამარჯვების შემდეგ ერთად შევძელით, ჩვენი ქვეყანა განვითარების სწორ რელსებზე დაგვეყენებინა...

•

სამუდამოდ ჩავაბარეთ წარსულს დრო, როდესაც ნაციონალური მოძრაობის რეჟიმი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მეორეხარისხოვან მოქალაქეებად აღიქვამდა და ისინი მხოლოდ არჩევნებზე ახსენდებოდა. **დღეს სახელმწიფოს ამოსავალი წერტილი ადამიანია! საქართველოს თითოეული მოქალაქე, მისი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, თანასწორია და სრულად სარგებლობს ყველა იმ პრივილეგიით, რასაც სახელმწიფო მოქალაქეებს სთავაზობს.**

•

**რუსთაველები იმაშიც დაგვემოწმებიან, რომ კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის მიერ თუნდაც მცირე ძალაუფლების ხელში ჩაგდება საზოგადოებისთვის და ხალხისთვის გარდაუვალ ზიანს ნიშნავს.** დღეს ქალაქს ჰყავს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, პროფესიონალი მერი, გასაოცარი ახალგაზრდა ქალი **ნინო ლაცაბიძე,** რომელიც 24 საათის განმავლობაში რუსთავისა და რუსთაველების ინტერესზე ზრუნავს. ამის საპირწონედ, კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის წევრებმა რუსთავის საკრებულოში თანამდებობებისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართეს. მეტიც, ისინი მუდმივ საბოტაჟს უწყობენ რუსთავის მოსახლეობას და ქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პროექტების განხორციელებას აფერხებენ. **ეს მაგალითი ძალიან კარგად გვიჩვენებს, თუ რა კატასტროფა შეიძლება დატრიალდეს საქართველოში, შეუძლებელი რომ მოხდეს და კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნდეს.**

•

**კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ყველაფერი ქართულის წინააღმდეგ მოქმედებს, არათუ ხელისუფლებას აღარ უნდა გავაკაროთ, არამედ უნდა დადგეს მათი არაკონსტიტუციურად გამოცხადებისა და უმკაცრესად გასამართლების საკითხი.**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*



**დღეს ქალაქს ჰყავს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, პროფესიონალი მერი, გასაოცარი ახალგაზრდა ქალი ნინო ლაცაბიძე, რომელიც 24 საათის განმავლობაში რუსთავისა და რუსთაველების ინტერესზე ზრუნავს!**



# ხარება



**ხარება ხარაზიშვილი**
გდდ-ის უფროსი

***რაც უფრო ახლოვდება საქართველოს საპარლამენტო არჩევნები, კოლექტიური დასავლეთი მით უფრო დაუფარავად და ხისტად ერევა ქართულ პოლიტიკაში, რათა არჩევნების შედეგზე ზეგავლენა მოახდინოს და თავის „მეხუთე კოლონას“ — კოლექტიურ ნაცმოძრაობას ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში დაეხმაროს.***

სწორედ ამ მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტმა, ანუ ფინანსთა სამინისტრომ გასულ კვირას სანქციები დაუწესა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს — **ზვიად, იგივე ხარება ხარაზიშვილსა** და მის მოადგილე **მილერი ლაგაზაურს,** რომლებიც, თურმე, „ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევაში მონაწილეობდნენ“.

კერძოდ, აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ძალებმა, ანუ სპეცდანიშნულების რაზმებმა, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას, მომიტინგეებზე იძალადეს, **ხარაზიშვილი** და **ლაგაზაური** კი ამ ძალადობას ზედამხედველობდნენ.

სინამდვილეში, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ძალებს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ — მათ მხოლოდ კანონით ნებადართული ძალა გამოიყენეს **აგრესიული და მოძალადე მომიტინგეების მიმართ, რომლებიც პოლიციელებს ქვებსა და რკინის საგნებს ესროდნენ, ავტომობილების შუშებს ამსხვრევდნენ, პარლამენტის შენობის პიკეტირებას ცდილობდნენ, მის ალაყაფსა და დამცავ ჯებირებს ანგრევდნენ და, საერთოდ, სჩადიოდნენ ყველაფერს, რისი ჩადენის უფლებაც არცერთ მომიტინგეს არცერთი კანონით არა აქვს.**

ინტერნეტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომია ტექსტური თუ ვიზუალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სასტიკ მეთოდებს იყენებენ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში არათუ ძალადობრივი, არამედ სრულიად მშვიდობიანი აქციების და-



**მილერი ლაგაზაური**
გდდ-ის უფროსის მოადგილე

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

რადიკალური ოპოზიცია **პირდაპირ უპირისპირდება ყველაფერ ქართულს, ყველანაირ ეროვნულ წამოწყებას.** უკრაინაში ომი როგორც კი დასრულდება, **აშშ-თან ურთიერთობები გადაიტვირთება** და ვფიქრობთ, ეს მოხდება მომავალი წლიდან.

პირველი ხელისუფლება ვართ, რომლის პირობებში **რუსეთს არ ჰქონია ტერიტორიული და ეკონომიკური წინსვლა საქართველოში,** ეს არის ფაქტები.

„პირველი არხი“



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

ბოლო 12 წელი არის ერთადერთი გამონაკლისი პერიოდი, როცა **ქვეყანაში არ ყოფილა ომი და არ დაგვიკარგავს დამატებითი ტერიტორიები.** ბატონი **ბიძინა ივანიშვილი** არის ერთადერთი მმართველი, რომლის დროსაც **ქვეყანაში დამყარდა 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა** და დღეს ქვეყანაში იგი არის ერთადერთი ადამიანი, ვისაც **რეალურად შეუძლია ჩვენი ქვეყნის გაერთიანება.**

„ინტერპრესნიუსი“



**ლაშა ტალახაძე**
*სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატი*

მინდა, ჩემი შესაძლებლობა, ცოდნა მოვახმარო ჩემს ქვეყანას და **ვიყო იმ გუნდის შემადგენელი ნაწილი,** რომელიც საქართველოს თავის **ღირსებით შეიყვანს ევროპაში.**

„TV იმედი“



**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი მთავარეპისკოპოსი*

**ვინც საქართველოს წინააღმდეგ წავა, ყველას მივხედავთ!** არ შემიშვებენ ევროპაში? არც მჭირდება! **არცერთი ერის ვალი არ გვაქვს!**

„ინტერპრესნიუსი“

# და დემაგოგია







**ეს არის პოლიტიკური სპექტაკლი სახელწოდებით „ხარება და დემაგოგია“, რომელსაც გიორგი შენგელაიას გენიალური ფილმის „ხარება და გოგიასაგან“ განსხვავებით, ძალიან უნიჭო სცენარისტები და რეჟისორები ჰყავს!**

## ამერიკის მიერ ხარება ხარაზიშვილისა და მისი მოადგილის სანქცირება გათვლილია საპოლიციო და სპეცდანიშნულების რაზმების დემორალიზაციაზე, რათა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში მოხდეს ის, რაც 2003 წლის 23 ნოემბერს მოხდა!

საშლელად; მაგალითად, **მომიტინგეებისათვის გაწვრთნილი ნაგაზების მიქსევა და ხალხის მასაში ცხენზე ამხედრებული პოლიციელების შევარდნა საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ნიდერლანდებისა და სხვა განვითარებული ქვეყნებისათვის ჩვეულებრივი პრაქტიკაა, მაგრამ არ არსებობს პრეცედენტი, რომ ამის გამო ამერიკის შეერთებულ შტატებს რომელიმე ფრანგი, გერმანელი, იტალიელი, ბელგიელი ან ნიდერლანდელი პოლიციელი დაესანქცირებინოს.**

საერთოდ, მიტინგის, მითუმეტეს, აგრესიული და ძალადობრივი აქციის დაშლის დროს ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ ცალკეულმა პოლიციელმა თუ სპეცრაზმელმა არაპროპორციული ძალა გამოიყენოს, რაც შემდეგ გამოძიების საგანი ხდება, მაგრამ ამის გამო არცერთი ქვეყანა არცერთი სხვა ქვეყნის პოლიციელსა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანს სანქციებს არ უწესებს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი, ყოველგვარი გამოძიებისა და მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ ქართველი „ენჯეოშნიკებისა“ და კოლექტიური ნაცების დემაგოგიის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები დაასანქცირა!

სამაგიეროდ, **იმავე ამერიკის შეერთებულ შტატებს სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი აქციის სასტიკი დარბევის გამო არცერთი ქართველი პოლიციელი და პოლიციის მაღალჩინოსანი არ დაუსანქცირებია!**

იმავე ამერიკის შეერთებულ შტატებს აზრადაც არ მოსვლია, რომელიმე ქართველი სპეცრაზმელი ან შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი დაესანქცირებინა იმის გამო, რომ სააკაშვილის რეჟიმმა 2011 წლის 26 მაისის მშვიდობიანი აქცია სისხლში ჩაახშო, ორი მშვიდობიანი მომიტინგე — **ნიკა კვინტრაძე** და **სულიკო ასათიანი** ცემით მოკლა და მათი ცხედრები ჯიხურის სახურავზე გადამალა!

თუმცა, რომელ სანქციებზეა საუბარი, როცა

### დღევანდელი გადასახედიდან სულ უფრო ცხადი ხდება, რომ სააკაშვილის რეჟიმი ყველა დანაშაულს, მშვიდობიანი აქციების სასტიკი დარბევებით დაწყებული და ციხეებში პატიმრების წამება–გაუპატიურებით დამთავრებული, ამერიკის შეერთებული შტატების ნებართვითა და თანხმობით სჩადიოდა!

მოკლედ, 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის მშვიდობიანი აქციების სისხლში ჩახშობას აშშ-ის მხრიდან ქართული პოლიციის მაღალჩინოსანთა სანქცირება იმიტომ არ მოჰყვა, რომ ორივე ეს დარბევა სააკაშვილის რეჟიმისათვის ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურებოდა, დღეს კი აშშ-მა ქართული პოლიციის მაღალჩინოსნები იმიტომ დაასანქცირა, რომ მათ ხელი შეუშალეს სახელმწიფო გადატრიალებასა და საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილის ბანდის დაბრუნებას!

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსი**

### ხარება ხარაზიშვილი მამა აბრამის ბატკანი ნამდვილად არ არის, რადგან სააკაშვილის რეჟიმის დროსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოსანი იყო, მაგრამ ერთი რამ ცხადია – იგი დღეს იმის გამო დაასანქცირეს, რომ ქართულ სახელმწიფოს არ უღალატა და უცხოეთის გავლენის აგენტურას საქართველოს ხელისუფლების დამხობაში ხელი არ შეუწყო!

თუმცა, მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩაფუშული ე.წ. **თბილისური მაიდნის გეგმა,** რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში კოლექტიური დასავლეთის „მეხუთე კოლონის“ დასმას გულისხმობს, კვლავინდებურად ძალაშია და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანთა დასანქცირებაც სწორედ ამ გეგმის ნაწილი გახლავთ.

უფრო კონკრეტულად, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ **ხარება ხარაზიშვილისა** და მისი მოადგილის დასანქცირება ერთადერთ მიზანს ემსახურება — **26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როცა კოლექტიური ნაცები ქუჩაში რევოლუციის მოსაწყობად და ხელისუფლების დასამხობად გამოცვივდებიან, ქართულმა პოლიციამ და სპეცდანიშნულების რაზმებმა, ამერიკული და ევროპული სანქციების შიშით, მათ ხელი ვეღარ უნდა შეუშალონ!**

სხვანაირად რომ ვთქვათ, **ხარებასა და მისი მოადგილის სანქცირება გათვლილია საპოლიციო და სპეცდანიშნულების რაზმების დემორალიზაციაზე,** რათა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში მოხდეს ის, რაც 2003 წლის 23 ნოემბერს მოხდა!

დიახ, ეს და მხოლოდ ეს არის მიზეზი და მიზანი, რის გამოც ამერიკამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დაასანქცირა!

ყველა სხვა მიზეზი თუ არგუმენტი, რომელიც აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის მიერ **ხარებასა და მისი მოადგილის** სანქცირებასთან დაკავშირებით სახელდება, უსუსური მანიპულაცია და ფუყე დემაგოგიაა!

**ხარება და დემაგოგია!** — შეიძლება, ასეც ვუწოდოთ ამ პოლიტიკურ სპექტაკლს, რომელსაც **გიორგი შენგელაიას** გენიალური ფილმის **„ხარება და გოგიასაგან“** განსხვავებით, ძალიან უნიჭო სცენარისტები და რეჟისორები ჰყავს!

ეს უნიჭო სცენარისტები და რეჟისორები ერთ უმთავრეს რამეს ვერ ხვდებიან —

### დღეს 2003 კი არა, 2024 წელია, საქართველოს ხელისუფლების საჭესთან ედუარდ შევარდნაძე კი არა, ბიძინა ივანიშვილი ზის, ხოლო ქართველი ხალხის გადამწყვეტი უმრავლესობა სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის მომხრე კი არა, მოწინააღმდეგეა,

**რაც იმას ნიშნავს, რომ „თბილისური მაიდნის“ დამგეგმავებს გახარება არ უწერიათ!**

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



საქართველოს წინა ხელისუფლებამ **დაღუპა ქვეყანა, დაკარგა ტერიტორიები,** რომ არა მათი მოღალატეობრივი ქმედებები 2008 წელს, **არ დავკარგავდით გმირ ჯარისკაცებს, მშვიდობიან მოსახლეობას.**

„პირველი არხი“

**მამუკა მდინარაძე**
*„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი*



26 ოქტომბერს **არ უნდა დარჩეს არცერთი ადამიანი სახლში,** რომელსაც შეუძლია, სარკეში ჩაიხედოს, საკუთარ თავს თვალი გაუსწოროს და თამამად თქვას: **მე ჩემს ქვეყანას ვემსახურები და არავის სხვას!**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოხდება **მხოლოდ მშვიდობიანი გზით.** მშვიდობიანი გზა გულისხმობს **მხოლოდ შერიგების გზით** სიარულს, **შერიგება კი გულისხმობს სინანულს და ურთიერთპატიებას.** ეს არის გზა, რომელიც მიგვიყვანს **ერთიან საქართველოსთან.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გენო პეტრიაშვილი**
*ოლიმპიური ჩემპიონი, „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატი*



**წარმოშობით სამაჩაბლოდან ვარ,** ძალიან მიყვარს და გული მტკივა, რომ დროებით ოკუპირებულია, მაგრამ **ჩვენი გუნდი იქნება ის, ვინც მიიყვანს ჩვენს ქვეყანას გაერთიანებამდე** და ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოს ავაშენებთ.

„TV იმედი“



## „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარისა და საპარლამენტო სიის პირველი ნომრის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლიდან 2024 წლის 19 სექტემბერს რუსთავში, წინასაარჩევნო შეხვედრაზე

## ბიძინა ივანიშვილი:

# პირობას გაძლევთ, რომ პირადად მე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდთან ერთად, საქართველოში ომსა და ბომბების წვიმას არაფრის ფასად არ დავუშვებ!

*დასაწყისი მე-2 გვერდზე*

ამ უსამშობლოო ადამიანებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ არამხოლოდ საკუთარი მოქალაქეების წამებასა და მკვლელობაზე, ბიზნესის რეკეტზე, ქვეყანაში გამეფებულ კორუფციაზე და იმ ავტორიტარიზმზე, რომელშიც წლების განმავლობაში გვაცხოვრეს, არამედ, პირველ რიგში, უმძიმეს დანაშაულზე, რომელსაც საქართველო მათ არასოდეს აპატიებს. **სწორედ ნაციონალური მოძრაობაა პასუხისმგებელი იმ უმძიმეს ტრაგედიაზე, რომელიც 2008 წელს დატრიალდა. გარე დავალების შესასრულებლად მათ წამოიწყეს ომი, რომელიც 400-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლის, 30 ათასი ადამიანის დევნილობისა და დაკარგული ტერიტორიების ფასად დაგვიჯდა!**

**26 ოქტომბრის არჩევნებზე მისვლით და „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით, თქვენ იღებთ გარანტიას, რომ საქართველოს ომში ჩართვას ველარავინ შეძლებს, ხოლო ომის დამნაშავეები უმკაცრესად დაისჯებიან.**

დიახ, სწორედ „ქართული ოცნებაა“ ამის გარანტი, რადგან ჩვენ ვართ ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელმაც ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ფონზე, **წარმოუდგენელი ძალისხმევის ფასად, ქვეყანას 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა მოუტანა!** მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით დღესაც უამრავი რისკი და გამოწვევა არსებობს, პირობას გაძლევთ, რომ პირადად მე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდთან ერთად, საქართველოში ომსა და ბომბების წვიმას არაფრის ფასად არ დავუშვებ!

მშვიდობა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ გლობალური ცვლილებების გათვალისწინებით, რაც ჩვენ გარშემო და, ზოგადად, მსოფლიოში ხდება, ვფიქრობთ, ახლოვდება დრო, როდესაც დიდი ხნის ნატვრას ავიხდენთ და მშვიდობიანი გზით გამთლიანებულ საქართველოს ვიხილავთ! ამისათვის ნებისმიერ მომენტში უნდა ვიყოთ მზად. შესაბამისად, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე **საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას** ამ კუთხითაც ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება. ვერავინ უნდა შეძლოს, წინ აღუდგეს **საკონსტიტუციო ცვლილებებს,** რომელთა განხორციელება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისას გახდება აუცილებელი!

როდესაც ქალაქ გორში ჩემს გამოსვლაში შერიგებისა და ურთიერთპატიების მნიშვნელობაზე ვისაუბრე, კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ შერიგებას — ღალატი, ხოლო შენდობას მტრობა დაარქვა. ამით კიდევ ერთხელ აჩვენეს ქართველ ხალხს, რომ გარდა ომისა და ნგრევისა, გარდა ეთნიკური შუღლის გაღვივებისა, მათთვის სხვა გზა და მიზანი არ არსებობს! **ჩვენი ქვეყნის მტრებს ყველაზე მეტად სწორედ მათი სიტყვა და ქმედება ააშკარავებს. უკვე ორ თვეზე მეტია, გადაჭრით ვამბობთ, რომ 2008 წლის ომი, გარე დაკვეთით, სწორედ ნაციონალებმა დაიწყეს, თუმცა, არცერთ მათგანს მცდელობაც კი არ ჰქონია, თავი ემართლებინა.** გასაგებია, რომ ნაცმოძრაობის მიერ ომის გაჩაღების მტკიცებულებები ხელისგულზე დევს, გასაგებია, რომ ცნობილ რეზოლუციაზე ხმის მიცემით, შემდეგ კი **ტალიავინის დასკვნაზე** დათანხმებით, მათ საომარი მოქმედებების დაწყება ისედაც აღიარებული აქვთ, მაგრამ, ალბათ, მსგავს თვითილუსტრაციას მაინც არავინ ელოდა. **ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის, შერიგებისა და ურთიერთშენდობის საკითხი სწორედ ის საკვანძო თემაა, რომელმაც მთელი აგენტურა გავეშებული გამოდევნა უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებული ბუნაგებიდან.** მათი რეაქცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დავალებული ჰქონდათ და აქვთ ერთადერთი რამ — **საქართველო იყოს მუდმივი კონფლიქტისა და დაპირისპირების რეჟიმში.** სწორედ ამიტომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მზადება, პირველ რიგში, **საკონსტიტუციო უმრავლესობის** მოპოვებაზე გადის. „ქართული ოცნების“ მიერ **საკონსტიტუციო უმრავლესობის** მოპოვების პირობებში, რადიკალურ ოპოზიციას ყველანაირი რესურსი გამოეცლება, საქართველოს გამთლიანებას ხელოვნური ბარიერი შეუქმნას და ქვეყანა მუდმივ კონფრონტაციაში ამყოფოს.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომელთა გადასაჭრელადაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება გვჭირდება. „ქართული ოცნების“ მიერ **საკონსტიტუციო უმრავლესობის** მიღების შემდეგ ერთხელ და სამუდამოდ დავასრულებთ ჩვენი ხალხისთვის ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის თავს მოხვევის, ჩვენი ღირებულებების, კულტურისა და ისტორიის შეურაცხყოფისა და დაკნინების ყველა ძალადობრივ მცდელობას! გარდა ამისა, **საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის, კონსტიტუციური სტატუსის განსამტკიცებლად.** მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ამით საქართველოში მოქმედ რომელიმე რელიგიას იოტისოდენა ჩრდილი მაინც მიადგება! მეტიც, **გავაძლიერებთ ძალისხმევას, რათა კიდევ უფრო გავუფრთხილდეთ ჩვენი განსხვავებული რელიგიის მქონე, მაგრამ სამშობლოს სიყვარულით გაერთიანებული ხალხების თანაცხოვრებას.** სწორედ ჩვენი მრავალფეროვნებითა და ტოლერანტობით ვართ ის ხალხი და ქვეყანა, რასაც წარმოვადგენთ, რითიც მთელი მსოფლიო გვიცნობს. ტოლერანტობის ეს საამაყო, უნიკალური, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია კვლავაც გაგრძელდება — **ჩვენს სამშობლოში სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები ისევ ჰარმონიულად განაგრძობენ თანაცხოვრებას და საქართველოს, ჩვენი და ჩვენი შვილების უკეთეს ხვალინდელ დღეზე ზრუნვას!**

# 26 ოქტომბერს

**ბოროტებაზე გაიმარჯვებს სიკეთე, აგენტურაზე გაიმარჯვებს საქართველოს დამოუკიდებლობა, ფსევდოლიბერალურ პროპაგანდაზე გაიმარჯვებს ტრადიციული ფასეულობები.**

# 26 ოქტომბერს

**ომზე გაიმარჯვებს მშვიდობა.**

**ღმერთი იყოს ჩვენი და ჩვენი ქვეყნის მფარველი!**





***ამერიკელი ჟურნალისტი, ჟურნალ „ვეტერანს თუდეის“ საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელი ჯეფრი სილვერმანი აფასებს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პროცესებს და ამერიკის მხრიდან დაწესებულ სანქციებს:***

— არჩევნების წინ პოლიტიკურ პარტიებში დუღილის ტემპერატურამ ისე მოიმატა, რომ ევროკავშირი, რომლის წევრებიც თავიანთ ქვეყნებში სიტუაციას ვერ აგვარებენ, საქართველოს გადმოსწვდა. ხან ვიზალიბერალიზაციის შეწყვეტით იმუქრებიან, ხან — სტატუსის შეჩერებით. იქით ამერიკა ბაქიბუქობს სანქციებით, რამდენიმე ქართველი პოლიციელის დასანქცირების შემდეგ ბიძინა ივანიშვილისა და მთავრობის წევრების შესახებაც ალაპარაკდნენ. თუ ამერიკა და ევროპა საქართველოს პარტნიორები არიან, მაშინ ვსვამ კითხვას: საქართველოსაც აქვს უფლება, სანქციები დაუწესოს მათ, ვინც 2021 წლის 6 იანვარს კაპიტოლიუმში პროტესტის უფლების მქონე ტრამპის მომხრეები დაარბია. ახლა ეშინიათ — ამდენი ფული დახარჯეს და საქართველოს ისე ვერ აკონტროლებენ, როგორც უნდოდათ, ეს მთავრობა არ აღმოჩნდა მათი მარიონეტი. ისინი არ არიან მიჩვეული პატარა ქვეყნებში ისეთ მთავრობებს, რომლებიც უარს ამბობენ მათი ინსტრუქციების შესრულებაზე. ამიტომაც გაუკვირდათ განცხადება გლობალური ომის პარტიაზე.

**— საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ არჩევნების შემდეგ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობა გადაიტვირთება...**

— საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ არაერთხელ აჩვენა, რომ მტკიცედ აკონტროლებს როგორც საქართველოს პოლიციას, ისე შეიარაღებულ ძალებს. მოსახლეობის უმრავლესობა მომხრე იყო, მთავრობას მიეღო კანონი ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ. გმობდნენ პარლამენტის შტურმის მცდელობას და პოლიციისთვის „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლას. ამ ყველაფერს თვალს ადევნებდნენ როგორც ევროპიდან, ისე ოკეანის გაღმიდან. ისინი ოპოზიციას კი თანაუგრძნობენ, თუმცა, კარგად ხედავენ, რომ მოსახლეობის უმრავლესობას მთავრობის ნაბიჯები მოსწონს. **ამერიკისა და ევროპის „მაღალი მამების“ აღშფოთებისთვის ეს საკმარისია — საქართველო იქით არ მიდის, სადაც უნდა მიდიოდეს.** სასოწარკვეთილები არიან, თითქმის ყველა მათი პროექტი წარუმატებელია, უკრაინაში ვერ მოიპოვეს ის შედეგი, რაც უნდოდათ. ამ ფონზე პატარა საქართველო წინ მიდის, დღევანდელი მთავრობის დემოკრატიული ხედვა და წინდახედული აზროვნება გულზე დაადგათ. **ძალიან მწყინს, რომ ამერიკის ახლანდელმა ადმინისტრაციამ თავისი აგრესიული და უგუნური საგარეო პოლიტიკით ამერიკა და ამერიკელები უაღრესად ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა.** ამას მალაპარაკებს ჩემი სამშობლოს სიყვარული, მინდა, ამერიკამ დაიბრუნოს ის სიდიადე, როგორადაც მისმა დამფუძნებელმა მამებმა ჩაიფიქრეს!

**— ამერიკაშიც საარჩევნო მარათონი გრძელდება, ტრამპს მეორედაც ესროლეს...**

## კვირგვინოსნები



**ვატო მაქარიშვილი**

*„ერთიანი ნაციონალური საქართველოს“ წევრი*

აბსოლუტურად სწორად დასახა **ბიძინა ივანიშვილმა** ჩვენი ქვეყნის მთლიანობის აღდგენის გეგმა, **ახლოს ვართ ჩვენს სანუკვარ მიზანთან** და ეს აგიჟებს შიდა მტერს.

„იმედინიუსი“



**ლევან მაჭავარიანი**

*პარლამენტარი*

ვაკვირდები, **როგორ უხეშად ერევა აშშ ჩვენს შიდა საქმეებში,** მითუმეტეს, საარჩევნო პერიოდში ვართ და **ეს ახალი სანქციებიც** უკვე წითელ ზღვართან მიახლოების ნიშანია.

„იმედინიუსი“

## ჯეფრი სილვერმანი:

# საქართველოსაც აქვს უფლება, სანქციები დაუწესოს მათ, ვინც 2021 წლის 6 იანვარს კაპიტოლიუმში პროტესტის უფლების მქონე ტრამპის მომხრეები დაარბია!

## „საქართველო ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა, ქართველი ხალხი არავის ჩაგრავს, არავის ეომება, ტოლერანტია, კულტურული, სტუმარი უყვარს და ღირსეული ცხოვრება მოსწონს!“

**– დღევანდელი ამერიკის პოლიტიკური სისტემა მთლიანად კორუმპირებულია, ფულზე იყიდება პროცესები, გადაწყვეტილებებს იღებენ უგუნური პოლიტიკოსები და სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსი.**

საკანონმდებლო სისტემა მუშაობს ტრამპისა და რიგითი ამერიკელების ნების წინააღმდეგ, დაიკარგა მორალური ავტორიტეტი, რელიგიური პრინციპები და მის ოდესღაც ღირებულ და პატივცემულ კონსტიტუციას მხოლოდ ისტორიულ ფურცლადღა თვლიან.

**— რამდენად რეალურია ევროპის მხრიდან საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერება?**

— არჩევნებამდე ეს მუქარები კიდევ გაძლიერდება. ევროკავშირი არადემოკრატიული ორგანიზაციაა და რა უნდა ამ ორგანიზაციაში საქართველოს? სრული სერიოზულობით ვამბობ, საქართველო ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა, ქართველი ხალხი არავის ჩაგრავს, არავის ეომება, ტოლერანტია, კულტურული, სტუმარი უყვარს და ღირსეული ცხოვრება მოსწონს.

**სჯობს, ევროდეპუტატებმა საქართველოს სოფლებში გაიარონ მასტერკლასები, უბრალო ქართველი კაცი ასწავლის მათ, როგორ უნდა შექმნან დემოკრატია, როგორ უნდა მართონ სახელმწიფო, როგორ უნდა დაალაგონ არეული მსოფლიო.**

ევროკავშირის წევრებმა თვითონაც არ იციან, რა უნდათ, ხოლო, ვინც მათ რიგებში სიმართლის თქმას ცდილობს, მიკროფონებს უთიშავენ. დემოკრატიის დონე ევროკავშირში ლამის ნულს არის გათანაბრებული, ამიტომ საქართველო რატომ უნდა მოეკიდოს სერიოზულად მათ ლაპარაკს?

**— ერთი გერმანელი პოლიტიკოსი საქართველოს მმართველ გუნდს „ქართულ კოშმარს“ უწოდებს...**

— „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებენ, რადგან მათი ფავორიტი ნაციონალური მოძრაობის დასჯის სურვილი გამოთქვა. საქართველომ უარი თქვა, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს შეერთებოდა, ჩართულიყო უკრაინის აგრესიულ ომში. მთავრობამ ძალიან კარგად იცის, რომ უკრაინელებსა და რუსებს ერთი რელიგია აქვთ და, ფაქტობრივად, ერთი ერია, გარდა დასავლეთ უკრაინაში მცხოვრები ნეონაცისტებისა, რომლებიც ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს თანამშრომლობდნენ მომხდურთან. გერმანელებიც კი გაკვირვებულები იყვნენ მათი სისასტიკით. სიგიჟეა იმის გაფიქრებაც კი, რომ საქართველოს ჩაბმა რუსეთთან ომში რაიმე კარგ შედეგს მოუტანს ამ ქვეყანას. ვხედავთ, რომ დასავლური იარაღი უკრაინაში ისე არ მუშაობს, როგორ რეკლამასაც უწევენ, უკრაინელი ხალხი სახელმწიფოს კარგავს, ხოლო ზელენსკის ადმინისტრაცია სულს ღაფავს.

**ვსვამ კითხვას: გვამს რატომ უნდა მიებას დღევანდელი ხელისუფლება?**

**— ოპოზიცია და მათი პატრონები ასე არ ფიქრობენ...**

— არც პრეზიდენტი **ზურაბიშვილი** ფიქრობს ასე, მეორე ვადითაც უნდა მოსვლა, მაგრამ ხალხი მის სურვილს უბადრუკ ხუმრობად თვლის. სულ მალე იგი სრულ დავიწყებას მიეცემა, თუმცა, ჯერჯერობით აგრძელებს მუშაობას არამხოლოდ საფრანგეთის, არამედ კიდევ რამდენიმე უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახურში. **ახლა ყურადღებას იქცევს, ვითომ საქმეს აკეთებს, გასულ კვირას ორი სასაცილო კაციც შეახვედრა ერთმანეთს.** ყურადღებით მიადევნეთ თვალი ამ პროცესებს, შეისწავლეთ **ხაზარაძის** ცხოვრება, აქამდე როგორ მოვიდა, გახსოვდეთ, რომ მასთან არავითარი გარიგება არ უნდა დაიდოს, საკუთარი ბანკი შიგნიდანაც კი გაძარცვა და ხანდაზმული თაღლითია. **დარწმუნებული ვარ, როცა ბახარია ხაზარაძესთან შეხვედრაზე მიდიოდა, სწორედ ამაზე ფიქრობდა.**

**— თუკი ევროპაში საქართველოსთან ურთიერთობას კითხვის ნიშნის ქვეშ სვამენ, რას უნდა ნიშნავდეს ადგილობრივ საავიაციო ბაზარზე ბრიტანეთის ავიახაზების შემოსვლა?**

— ისინი ხედავენ, რომ ამერიკა და ევროკავშირი კარგავენ გავლენას ამ რეგიონში, ამიტომ შეიმუშავეს სტრატეგია, როგორ გამოიყენონ საქართველო რუსეთთან და საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზებისათვის. ბრიტანელები საქართველოში ახალ შესაძლებლობებს ეძებენ. კარგად ვხედავთ, როგორ ხელმძღვანელობენ უკრაინის მიერ რუსეთის მიმართულებით შორ მანძილზე დარტყმების შეზღუდვის მოხსნასაც. მოკლედ, ორმაგი თამაშის ოსტატები არიან, მხოლოდ ყირიმის ომის შემდეგ დაიწყეს მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა, რათა რუსეთი გერმანიის იმპერიას დაპირისპირებოდა.

**საქართველომ არჩევნები უნდა ჩაატაროს მშვიდ გარემოში, ხალხი არ უნდა აყვეს ოპოზიციის პროვოკაციებსა და ტყუილებს.** მჯერა, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველოს წარსული დიდება დაუბრუნოს!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



ტრამპის მხარდამჭერთა აქცია კაპიტოლიუმის შენობასთან. 2021 წლის 6 იანვარი

## „ევროკავშირი არადემოკრატიული ორგანიზაციაა და რა უნდა ამ ორგანიზაციაში საქართველოს?“

## კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



პოლიტიკური სიყვარული **ქორწინებით ვერ დაგვირგვინდა.** ნათესავები ჩარეულან ცუდად და ამიტომ **გადანახულებითა და ნიშნობით დასრულდა კოალიციური გატაცება.** არადა, ანაკლიის აფერის თანხაც დასაბრუნებელია სახელმწიფოსთვის.

„ინტერპრესნიუსი“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



ვინც **ბახარია-ხაზარაძის შეთანხმება ჩაშალა,** იმსახურებს, იცხოვროს **ივანიშვილის** მმართველობის ქვეშ, **კობახიძის** პირადი მეთვალყურეობით.

„რეზონანსი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



**ნაციონალური მოძრაობის ყველა ლიდერი** რომ გავიხსენოთ, თითოეული მათგანი **არის მდიდარი კრიმინალური ისტორიებით.** ეს ადამიანები **იყვნენ კრიმინალები,** როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ; **დარჩნენ კრიმინალებად,** როდესაც ისინი ოპოზიციაში გადავიდნენ და როდესაც საერთოდ გაქრებიან პოლიტიკიდან, **მაშინაც კრიმინალები იქნებიან.**

„იმედინიუსი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



ვიცით, რომ **კეზერაშვილი** სიის ათეულში უკვე **ადგილებს მილიონერ ბიზნესმენებზე ყიდის, სააკაშვილს** კი თავისი ამბიციები აქვს და რამდენიმე დღის წინ ახალი დირექტივები გასცა.

„რეზონანსი“

**მირიან მირიანაშვილი**
*ექსპერტი*



**ფრაგმენტებად დაყოფილი ოპოზიცია** დაკარგავს ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის ძალიან დიდ პროცენტს, რაც **მმართველი პარტიის წისქვილზე დაასხამს წყალს.**

„კვირის პალიტრა“



**ნაცბოევიკ ნადირაძეს სამხედრო სასწავლებელი რუსეთში აქვს დამთავრებული, უკრაინაში მოქმედი „ქართული ლეგიონიდან“ კი რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით გააგდეს!**

# ამ ვანოს ერთი გვამი სჭირდება!

## ნაცბოევიკი ვანო ნადირაძე საჯაროდ ნანობს, რომ ბიძინა ივანიშვილი დღემდე ვერ მოკლა!

***თუ გლობალური ომის პარტიას აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტისა და პრეზიდენტობის მოქმედი კანდიდატის დონალდ ტრამპის მოკვლის სურვილი არ ასვენებს, საქართველოში მოქმედი ლოკალური ომის პარტია — ნაციონალური მოძრაობა ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის სურვილით არის შეპყრობილი.***

ლოკალურ ომის პარტიაში **ივანიშვილის მოკვლის სურვილი და მიზანი** რომ გააჩნიათ, ამის თაობაზე ქართველმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ 2018 წელს გავრცელებული ფარული აუდიოჩანაწერიდან შეიტყო, რომელშიც **მიხეილ სააკაშვილს ბიძამისი თემურ ალასანია ეუბნება:** ***„ერთ მილიონს გადავუხდი, ვინც „სნაიპერსკი ვინტოვკით“ მოკლავს ბიძინას“.***

ცნობილია ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარეობს გამოძიება **ბიძინა ივანიშვილის** წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადების საქმეზე, რომლის ფარგლებშიც, მოწმის სახით, უკვე ათობით პირია გამოკითხული.

საგულისხმოა, რომ **სუს**-ში გამოკითხვაზე მიყვანილთა უმეტესობა სააკაშვილის რეჟიმის დროს სამხედრო მოსამსახურე იყო, ხოლო რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომში უკრაინის მხარეს იბრძოდა. **ივანიშვილის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადების კვალი უკრაინისკენ რომ მიდის, ეს აღნიშნულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაშიც, რომლის თანახმად, სავარაუდო დანაშაულის ორგანიზებისა და დაფინანსების უკან უკრაინაში მყოფი სააკაშვილის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნები და ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომლები დგანან.**

მიუხედავად ამისა, მაინც მოულოდნელი და გამაოგნებელია ის განცხადება, რომელიც უკრაინაში დასაქმებულმა ქართველმა ნაცბოევიკმა, სააკაშვილის აქტიურმა მხარდამჭერმა **ვანო ნადირაძემ** ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში ბიძინა ივანიშვილის შესახებ გააკეთა:

> ***„მე, სხვათაშორის, ვიდეო ჩავწერე და უკვე ბოდიში მოვუხადე ჩვენს დაღუპულ და ბრძოლაში დაცემულ მებრძოლებს იმის გამო კი არა მარტო, რომ ამ ნაძირალამ ეს სიტყვები თქვა; იმის გამო, რომ ჩვენი ბრალია, რომ ეს აქამდე ცოცხალია. პირდაპირ ვამბობ ამ სიტყვებს, ხმამაღლა ვამბობ“.***

ესე იგი, უკრაინაში დასაქმებული **ნაცბოევიკი ნადირაძე** აცხადებს, რომ მას და მისნაირებს **ბიძინა ივანიშვილი** ჯერ კიდევ მანამდე უნდა მოეკლათ, ვიდრე გორში გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრაზე იტყოდა — **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენისათვის აუცილებელია, ქართველებმა და ოსებმა ერთმანეთის ნდობა დავიბრუნოთ, რაც ურთიერთპატიებისა და ურთიერთმობოდიშების გარეშე არ გამოვაო!**

კოლექტიური ნაცბანდის ისტერია განსაკუთრებით იმან გამოიწვია, რომ **ივანიშვილმა** განაცხადა — **2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის ხელისუფლებამ გარე ძალების დაკვეთა შეასრულა და ჩვენო ოსი და-ძმები ცეცხლის ალში გახვია, რის გამოც მათთვის ბოდიში გვაქვს მოსახდელიო!**

არადა, **ივანიშვილს** ახალი არაფერი უთქვამს, რადგან ევროკავშირის მიერ შექმნილი საგამოძიებო კომისიის დასკვნაში, რომელიც **ტალიავინის დასკვნის** სახელით უფროა ცნობილი, ჯერ კიდევ 2009 წელს ჩაიწერა, რომ ე.წ. **სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამხედრო შეჭრა და საომარი მოქმედებების დაწყება მას შემდეგ მოხდა, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ, 2008 წლის 7 აგვისტოს ღამეს, ცხინვალი საარტილერიო ჭურვებით დაბომბა.**

ზუსტად იგივე წერია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წლის 2 ოქტომბრის რეზოლუციაშიც, რომელსაც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა — **გივი თარგამაძემ, გიგა ბოკერიამ, გიორგი კანდელაკმა, პეტრე ცისკარიშვილმა, გოკა გაბაშვილმა, დავით დარჩიაშვილმა და ჩიორა თაქთაქიშვილმა** მოაწერეს ხელი, რითიც აღიარეს, რომ ცხინვალში ომი **სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიწყო.**

თუმცა, უკრაინაში დასაქმებული ნაცბოევიკი **ვანო ნადირაძე,** დისნეის „მეფე ლომისა“ არ იყოს, „საკუთარ შვილს ხომ არ დასჯის“, ანუ თავისიანებს ხომ არ მოკლავს იმის გამო, რომ მათ საერთაშორისო დონეზე აღიარეს — მძინარე ცხინვალს შუაღამისას ბომბები დავაყარეთ და რუსეთს სამხედრო ინტერვენციის საბაბი მივეცითო!

სამაგიეროდ, **უკრაინაში დასაქმებული ნაცბოევიკი ვანო ნადირაძე** ბიძინა ივანიშვილის მოკვლის სურვილს არ მალავს!

**უკრაინაში დასაქმებული ნაცბოევიკი ვანო ნადირაძე** ნანობს, რომ მან და მისნაირებმა **ბიძინა ივანიშვილი** აქამდე ვერ მოკლეს!

**უკრაინაში დასაქმებული ნაცბოევიკი ვანო ნადირაძე** საკუთარ თავსა და თავისნაირებს ადანაშაულებს იმის გამო, რომ **ბიძინა ივანიშვილი** დღემდე ცოცხალია!

ერთი სიტყვით, თუ **ნაცმინისტრ ვანო მერაბიშვილს** ორი გვამი სჭირდებოდა, **ნაცბოევიკ ვანო ნადირაძეს** ერთი გვამი სჭირდება — **ბიძინა ივანიშვილის** გვამი!

**უკრაინაში დასაქმებული ნაცბოევიკის** განცხადება — **ჩვენი ბრალია, რომ ივანიშვილი დღემდე ცოცხალიაო** — კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ტყუილად არ მიმდინარეობს გამოძიება **ბიძინა ივანიშვილის** წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადების საქმეზე!

**უკრაინაში დასაქმებული ნაცბოევიკის** განცხადება — ჩვენი ბრალია, რომ **ივანიშვილი** დღემდე ცოცხალიაო — იმასაც ცხადყოფს, რომ ტყვიაგაუმტარი შუშის კაბინა, რომლის უკანაც **ბიძინა ივანიშვილი** საჯარო გამოსვლების დროს დგას, შესაძლოა, საკმარისი არ იყოს და მის უსაფრთხოებას უფრო მეტად გამკაცრება სჭირდებოდეს!

რაც შეეხება თავად **ნაცბოევიკ ვანო ნადირაძეს,** როგორც ჩანს, იგი რუსეთ-უკრაინის ომში თავს ერთობ უსაფრთხოდ გრძნობს, რადგან ნაკაწრიც კი არა აქვს მაშინ, როცა უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე 70-ზე მეტი ქართველი მებრძოლია დაღუპული!

შეიძლება, ეს **ნადირაძის** განსაკუთრებული ყისმათიანობის ან მისი საბრძოლო ოსტატობის დამსახურება იყოს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ძაღლის თავი მის ბიოგრაფიაში იმალებოდეს.

საქმე ის არის, რომ **უკრაინაში დასაქმებულ ნაცბოევიკ ვანო ნადირაძეს** სამხედრო სასწავლებელი რუსეთში, კერძოდ, მოსკოვის გარეუბან ბალაშიხაში აქვს დამთავრებული. იგი საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში 10 წლის განმავლობაში მსახურობდა, 2014 წელს კი უკრაინაში ქართველი მოხალისეებისაგან შემდგარ სამხედრო ქვედანაყოფს — „ქართულ ლეგიონს“ შეუერთდა, მაგრამ იქიდან ორ კვირაში გააგდეს, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით.

**„ქართული ლეგიონის“ მეთაურის მამუკა მამულაშვილის** განცხადებით, ქვედანაყოფში **ვანო ნადირაძის** გამოჩენის შემდეგ მისი მებრძოლების შესახებ ინფორმაცია, სახელებით, გვარებითა და დაბადების თარიღებით, რუსულ პრესაში მოხვდა. ასე რომ,



**ტყვიაგაუმტარი შუშის კაბინა, რომლის უკანაც ბიძინა ივანიშვილი საჯარო გამოსვლების დროს დგას, შესაძლოა, საკმარისი არ იყოს და მის უსაფრთხოებას უფრო მეტად გამკაცრება სჭირდებოდეს!**

**საკითხავია, ნაცბოევიკი ვანო ნადირაძე რუსეთ-უკრაინის ომში, რეალურად, რომელ მხარეს წარმოადგენს? თუმცა, ეს უკრაინის ხელისუფლებამ იკითხოს, ქართულმა სახელმწიფომ კი იმ კაცის უსაფრთხოება გააძლიეროს, რომლის ვერმოკვლასაც ნაცბოევიკი ნადირაძე საჯაროდ ნანობს!**

*ჯაბა ხუბუა*

# ძლიე საქართველოს - გადაუფორმე ქონება ხაზარაძეს!





9

## ხაზარაძის საარჩევნო კოალიციას „ძლიერი საქართველო“ ჰქვია, მაგრამ უნდა ერქვას „ძლიე საქართველოს - გადაუფორმე ქონება ხაზარაძეს!“

***გასული საუკუნის 60-იან წლებში რობერტ სტურუამ, აქვსენტი ცაგარელის პიესა „ხანუმას“ მიხედვით, რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა იგივე სახელწოდების სპექტაკლი, რომელშიც გაიძვერა და ნემსის ყუნწში გამძრომი მაჭანკლის — ხანუმას როლი დიდებულმა ქართველმა მსახიობმა, საქართველოს სახალხო არტისტმა სალომე ყანჩელმა შეასრულა.***

იმავე **რობერტ სტურუამ,** რომლის დიდ შემოქმედებაში სპექტაკლი **„ხანუმა“** ერთ-ერთი გამორჩეულია, 2024 წლის გაზაფხულზე, ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში, პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილს „პარიზიდან ჩამოსული ხანუმა“** უწოდა:

> ***„აი, ეს ჩვენი ხანუმა, პარიზიდან ჩამოსული, ახლა პრეზიდენტი რომაა, დახტის ხან იქით, ხან — აქეთ. თვითონ არ იცის, რას აკეთებს. ბოლო დროს ძლივს ცოტა ისწავლა ქართული, მაგრამ რა არის საქართველო, აზრზე არ არის და ვერასოდეს ვერ გაიგებს“.***

დიდი რეჟისორის მიერ შერჩეული თიკუნი — **„პარიზიდან ჩამოსული ხანუმა“ — სალომე ზურაბიშვილს,** როგორც იტყვიან, ზედ დააკვდა, რადგან იგი დიდი ხანია, კონსტიტუციით განსაზღვრულ საპრეზიდენტო უფლებამოსილებას აღარ თუ ვეღარ ასრულებს და მხოლოდ **პოლიტიკური მაჭანკლობით** არის დაკავებული.

კერძოდ, **პარიზიდან ჩამოსული ხანუმა,** რომელსაც უფრო ლაკონიურად **პარიზელი ხანუმაც** შეიძლება, დავუძახოთ, თავისი უცხოელი პატრონების დავალებით, მაჭანკლობს და ცდილობს, ე.წ. ცენტრებად, ბლოკებად თუ კოალიციებად დაშლილი კოლექტიური ნაცოპოზიცია როგორმე ისე შეაკოწიწოს, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში სასტიკი ფიასკო არ იწვნიოს.

შესაბამისად, პოლიტიკური მაჭანკლის მანტიამოსხმული **პარიზელი ხანუმა** კოლექტიური ნაცმოძრაობის სხვადასხვა ფრთის წარმომადგენლებს პერიოდულად უხმობს ხოლმე თავის რეზიდენციაში — ორბელიანების ისტორიულ სასახლეში, სადაც ხან რაღაც ქარტიაზე აწერინებს ხელს და ხან — რაღაც დეკლარაციებსა თუ მემორანდუმებზე.

მოკლედ რომ მოვჭრათ, წვალობს, ჯახირობს და წელებზე ფეხს იდგამს **პრეზიდენტობიდან მაჭანკლობამდე ჩამოლაბორანტებული პარიზელი ხანუმა,** მაგრამ ჯერაც ვერ გაჩარხა სარფიანი პოლიტიკური ნიშნობა თუ ქორწინება, რომელიც წყალწაღებულ ნაცოპოზიციას მოსაჭიდებელ ხავსად მაინც გამოადგებოდა.

**პარიზელ ხანუმას** პოლიტიკური მაჭანკლობის მორიგი და, არჩევნებამდე დარჩენილი მცირე დროის გათვალისწინებით, ალბათ, უკანასკნელი რაუნდი გასულ კვირას ჰქონდა, როცა **მამუკა ხაზარაძისა** და **გიორგი გახარიას** პოლიტიკურად დაქორწინება სცადა, თუმცა, კოვზი კვლავ ნაცარში ჩაუვარდა.

ჰო, თუ მსახიობმა **სალომე ყანჩელმა** რუსთაველის თეატრის სცენაზე მაჭანკალი **ხანუმას** როლი ბრწყინვალედ შეასრულა, პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა პარიზელი ხანუმას როლს** თავი ვერ გაართვა!

თუმცა, სიმართლე ითქვას, **პარიზელ ხანუმას** ცდა არ დაუკლია, მაგრამ ვერც მისი სამაჭანკლო მარიფათი და ვერც უცხოელი პატრონებისაგან მიღებული დირექტივა ვერ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ პოლიტიკურად დაეწყვილებინა **ხაზარაძე** და **გახარია,** რომლებსაც, სულ რაღაც, გუშინწინ ერთმანეთზე ისეთი რამეები აქვთ ნალაპარაკები, ადამიანის ყურში არ შეიშვება.

ალბათ, კარგად გახსოვთ, რომ **მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე** და „ლელოს“ სხვა წარმომადგენლები ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრ და მერე პრემიერ-მინისტრ **გახარიას** თვალთხარიას, რუსული, კრიმინალური და მაფიოზური აზროვნების ადამიანს, მახინჯი სისტემის შემოქმედსა და კიდევ უარეს რაღაცებს ეძახდნენ, გახარია და მისი თანაგუნდელები კი ხაზარაძეს მატყუარას, თაღლითსა და მევახშეს უწოდებდნენ.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კოლექტიური ნაცოპოზიციისათვის პრინციპები, ღირებულებები და მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმები ისეთივე უცხო ხილია, როგორიც — ვირისათვის ხურმა, **ხაზარაძისა** და **გახარიას** უცხოელმა პატრონებმა მაინც ჩათვალეს, რომ მათი დაწყვილება შესაძლებელი იქნებოდა ისევე, როგორც, მაგალითად, მთელი ქვეყნის თვალწინ ერთურთის მაგინებელი და ერთმანეთის საცემად გაქაჩული **ხაზარაძე** და **ელისაშვილი** დააწყვილეს.

ჰოდა, ატყდა ხაზარაძისა და გახარიას რეგულარული რეისები ორბელიანების სასახლეში მჯდომ **პარიზელ ხანუმასთან,** რომელსაც უცხოელმა პატრონებმა მაჭანკლის როლი დააკისრეს.

ორი თუ სამი დღის განმავლობაში შვიდჯერ მაინც მივიდნენ **ხაზარაძე** და **გახარია პარიზელი ხანუმას** რეზიდენციაში!

მაჭანკლის გარეშე, პირისპირაც შეხვდნენ ერთმანეთს **ხაზარაძე** და **გახარია!**

ტელეფონითაც რამდენჯერმე ისაუბრეს **ხაზარაძემ** და **გახარიამ!**

თუმცა, ბოლოს ყველაფერი იმგვარად დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო — **ვერ შერიგდნენ, ვერ მორიგდნენ, საარჩევნო სიაში ადგილები ვერ გაინაწილეს, მოუკლავი დათვის ტყავი ვერ გაიყვეს და ისე დაიშალნენ, რომ არც შეერთებულან!**

ასე და ამრიგად, საარჩევნო ბლოკი — **„დაითხარე თვალი და გადაუფორმე ქონება ხაზარაძეს!“** — ვერ შედგა, რაც იმას ნიშნავს, რომ გახარია და მისი პარტია არჩევნებში ცალკე მიიღებენ მონაწილეობას, ხოლო ცალკე საარჩევნო სუბიექტი იქნება **ხაზარაძის, ელისაშვილის, დოლიძისა** და **ცუცქირიძის** კოალიცია, რომელსაც **„ძლიერი საქართველო“** ჰქვია, მაგრამ, რეალურად, **„ძლიე საქართველოს“** უნდა ერქვას!

უფრო ზუსტად, ამ კოალიციის სრული სახელწოდება უნდა იყოს **„ძლიე საქართველოს — გადაუფორმე ქონება ხაზარაძეს!“**

რაც შეეხება **სალომე ზურაბიშვილს,** საქართველოს პრეზიდენტად ხომ ვერ ივარგა, მაგრამ **გახარია-ხაზარაძის** პოლიტიკურ მაჭანკლადაც არ გამოდგა!

სხვანაირად რომ ვთქვათ, **პარიზელი ხანუმა** თავის პრეზიდენტობასაც და პოლიტიკურ მაჭანკლობასაც სამარცხვინოდ ამთავრებს!



**თუ მსახიობმა სალომე ყანჩელმა რუსთაველის თეატრის სცენაზე მაჭანკალი ხანუმას როლი ბრწყინვალედ შეასრულა, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პარიზელი ხანუმას როლს თავი ვერ გაართვა!**



სალომე ყანჩელი ხანუმას როლში

## პარიზელმა ხანუმამ გახარია-ხაზარაძის მაჭანკლადაც ვერ ივარგა!

***ჯაბა ხუბუა***

# „ადამიანს, რომელიც მშიერია, არც პოლიტიკა აინტერესებს და არც ლექსი. აი, ეს საკითხია, პირველ რიგში, მოსაგვარებელი!“



მზია ხეთაგური:

# ბოდიში ყველას გვაქვს მოსახდელი და სიმართლე არავის მხარეს არ არის!

*ბიძინა ივანიშვილის მიერ გორში გაკეთებულ განცხადებას მობოდიშებასთან დაკავშირებით დიდი ვაი-უშველებელი მოჰყვა. ნაცები და მათი ფიურერები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომიდან ვირთხებივით გამოიქცნენ, ერთ ამბავში არიან — აქაოდა, ვინც ანწუხელიძე აწამა, იმას ბოდიშს არ მოვუხდითო! ამ საგიჟეთს ისიც დაემატა, რომ კეზერაშვილის „ფორმულას“ ე.წ. ჟურნალისტმა, ვინმე ლუკა ტყებუჩავამ მამუკა მდინარაძეს მთელი ქართული ტელევიზიების წინ განუცხადა — აფხაზები და ოსები საქართველოს მტრები არიანო! ცნობილი პოეტი **მზია ხეთაგური** ქართველებისა და ოსების შერიგების შესახებ საუბრობს და აცხადებს, რომ ხალხი და ერი ყოველთვის მართალია და არასოდეს დამნაშავე არ არის:*

— **ქართველებმა, ოსებმა და აფხაზებმა ერთმანეთს უნდა მოუბოდიშონ, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ მხოლოდ ქართველებმა მოიხადონ ბოდიში!** ჩვენც შეგვეშალა ბევრი რამ და, რა თქმა უნდა, ოსებსაც და აფხაზებსაც! იმდენი ცუდი გავუკეთეთ ერთმანეთს, იმდენი სიძულვილი და უსამართლობა დავაგროვეთ, ბოდიში ყველას გვაქვს მოსახდელი და სიმართლე არავის მხარეს არ არის! რუსეთიდან თავიდანვე მოდიოდა უამრავი პროვოკაცია, რაზეც ჩვენ ყველანი წამოვეგეთ და ავყევით. ეს პროვოკაციები გაგრძელდება მანამ, ვიდრე რუსეთი მთელ კავკასიასა და შავიზღვისპირეთს არ დაიპყრობს, რაც მისი უძველესი მიზანია. **რუსეთს რომ ვახსენებ, არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობ რუს ხალხს, არამედ მოვიაზრებ რუსეთის იმპერიას, როგორც სამხედრო მანქანას, რომელიც ძალიან საშიშ და ბოროტ ძალას წარმოადგენს.**

## საქართველო თავისი მრავალფეროვნებით იმდენად უნიკალურ ქვეყანას წარმოადგენს, უფლება არა გვაქვს, შეურაცხყოფა მივაყენოთ რომელიმე ერს, რომელიც ისტორიულად აქ ცხოვრობს!

**— ქალბატონო მზია, რას იტყვით იმის შესახებ, რომ კეზერაშვილის ტელევიზიის ე.წ. ჟურნალისტის, ვინმე ლუკა ტყებუჩავას განცხადებით, აფხაზები და ოსები საქართველოსა და ქართველი ხალხის მტრები არიან?**

— ვინც ეს თქვა, იმას თავში ტვინი ნამდვილად არა აქვს! ასეთ ხალხს ჟურნალისტიკასა და ტელევიზიაში რა უნდა, ნამდვილად არ ვიცი... დავით აღმაშენებელს ჩვენზე ნაკლები ჭკუა ჰქონდა, ეკლესიის გვერდით სინაგოგას რომ აშენებდა, ხოლო სინაგოგის გვერდით — მეჩეთს და საკმაოდ მკაცრად ექცეოდა იმათ, ვინც სხვის რელიგიურ გრძნობებს ლახავდა? **ეს გახლდათ შორს გათვლილი პოლიტიკა, რადგან საქართველო ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში იმყოფება, უფლება არა აქვს, დაუფიქრებელი განცხადებები გააკეთოს და მოუზომავი ნაბიჯები გადადგას!** თუ ასე მოვიქცევით, ყველაფერი უკან შემოგვიბრუნდება და სერიოზულად დავზარალდებით. აკი, დავზარალდით კიდეც!

**— სხვათაშორის, დავით აღმაშენებელმა მართლმადიდებელ ქართველებს, რომლებიც თბილისის მუსლიმურ უბნებში ცხოვრობდნენ, ღორის დაკვლა აუკრძალა! როგორ ფიქრობთ, დავით აღმაშენებლის დროს რომ გაეკეთებინა ვინმეს მსგავსი განცხადება — აფხაზები და ოსები ჩვენი მტრები არიანო! — რა მოხდებოდა?**

— რა თქმა უნდა, მაშინ ასეთ განცხადებებს სხვა მეთოდებით განსჯიდნენ და დასჯიდნენ. დღეს, ასე თუ ისე, ევროპულ გზას ვადგავართ... დავით აღმაშენებლის ეპოქაში ამის მთქმელს, ალბათ, თავს მოსჭრიდნენ, მაგრამ დღეს ეს პრობლემას არ მოხსნის. უფრო რთულია ადამიანის ტვინში იმის ჩადება, რომ ამის თქმა არ შეიძლება და ასეთი რიტორიკა ისევ ჩვენ დაგვაზიანებს! **დაჭერა და დახვრეტა არავითარ შედეგს არ მოიტანს, ადამიანს უნდა შევაგნებინოთ, რომ ამის თქმა არ შეიძლება!** მთავარია, ქვეყანაში ისეთი პოლიტიკური ვითარება შევქმნათ, რომ დანარჩენმა ტვინიანებმა ასეთი უტვინოს განცხადება არ გაამართლონ!

**— საერთოდ, ხალხისა და ერის მტრად გამოცხადება რამდენად გამართლებულია? მსგავსი პრეცედენტი მხოლოდ ერთი მახსენდება, როცა მეფის რუსეთმა აფსუები გამოაცხადა მოღალატე ერად და ამის წინააღმდეგ საქართველოს საუკეთესო შვილები — ილია, აკაკი და მთელი მათი დასი გამოვიდნენ!**

— **ხალხი და ერი ყოველთვის მართალია და არასოდეს დამნაშავე არ არის!** ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ხალხებსა და ერებს ერთმანეთს გარეწრები უქსევენ! მე სიმართლის მხარეს ვდგავარ, რომელიც არცერთის მხარეს არ არის! სადღაც ცოტა მეტი სიმართლეა, ხოლო სადღაც — ნაკლები. **მიმაჩნია, რომ დღეს ხალხს ეს გაუთავებელი პოლიტიკური დებატები კი არა, სოციალური პირობების გაუმჯობესება სჭირდება.** პენსიონერები უღირს მდგომარეობაში არიან. თუ ვერ იარსებებ, ვერც პოლიტიკაში ჩაებმები და ვერც იაზროვნებ. ადამიანს, რომელიც მშიერია, არც პოლიტიკა აინტერესებს და არც ლექსი. აი, ეს საკითხია, პირველ რიგში, მოსაგვარებელი! პენსიონერი პენსიით თავს ვერ ინახავს! ამ თანხებით ცხოვრება აღარ შეიძლება, უღირსი სიბერე გვაქვს! როცა ადამიანს შია, მისი მოქრთამვაც ადვილია და გაღიზიანებაც!

## თუ ეს ხელისუფლება ეკონომიკას ააღორძინებს და ხალხს დააპურებს, მერწმუნეთ, პოლიტიკური პროცესი თავისთავად დარეგულირდება და ამდენი ზიზღი და მტრობა აღარ იქნება!

**— რაც უკრაინაში ომი დაიწყო, იმის შემდეგ შინაური თუ გარეული „მრჩევლები“ არ გვეშვებიან — არიქა, რუსეთს სანქციები დაუწესეთო! იარაღი გაუგზავნეთო! მეომრები მიაშველეთო!**

— ხომ გეუბნებით, რუსეთის იმპერია ყველაფერზე წავა და კავკასიას არ დათმობს. ამიტომ მასთან დიდი სიფრთხილეა საჭირო. რუსეთის წინააღმდეგ უკონტროლო განცხადებების კეთება არაფრით არ შეიძლება, რადგან საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ჩვენ საწინააღმდეგოდ შემობრუნდება. არ ვამბობ, რომ რუსეთს უნდა ვეფეროთ, მაგრამ დიპლომატიის ამოქმედება აუცილებელია. საერთოდ, **თუ ხელისუფლებაში გვეყოლება თუნდაც ერთი ილია ჭავჭავაძე, ერთი ექვთიმე თაყაიშვილი და ერთი თევდორე მღვდელი, საქართველო გადარჩება!**

**— თქვენ დღევანდელი საქართველოსგან ძალიან ბევრს, ფაქტობრივად, შეუძლებელს ითხოვთ!**

— (იცინის) კი არ ვითხოვ, სურვილი მაქვს ასეთი! როცა ნამდვილი ხელისუფალი ხარ, ხანდახან შენი ხალხივით უნდა გციოდეს და გშიოდეს!

**— თქვენ ოსებისა და ქართველების შერიგების გჯერათ?**

— ოსებისა და ქართველების შერიგება ძალიან ძნელი იქნება, ურთულესი, რადგან ორივე მხარეს ძალიან ბევრი რამ გატყდა და გაფუჭდა! ბევრი რამ რუსეთზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ რუსეთი მოინდომებს ამას? რატომ მოინდომებს, როცა მისი უპირველესი მიზანია, დაიპყროს კავკასია და შავიზღვისპირეთი? რუსეთს ტერიტორია აინტერესებს, თორემ **მზია ხეთაგური** ქართულად ილაპარაკებს თუ ოსურად, აბსოლუტურად არ ანაღვლებს! ძალიან ჭკვიანური და გაწონასწორებული პოლიტიკის წარმოებაა საჭირო, ახლა საქართველოსთვის ომის კი არა, დიპლომატიის დროა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**გიორგი მანველიძე**
*აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

ნაცებო, ერთხელ მაინც **მოგეხადათ ბოდიში,** ერთხელ მაინც **სინანული დაენახა** თქვენს თვალებში ქართველ ხალხს! მაგრამ **უსისხლო, ურჯულო და უსამშობლოები ხართ!** მშვიდობის **გეშინიათ!** ქართველი კაცის კარგად ყოფნის **გეშინიათ!** საქართველოს გამთლიანების **გეშინიათ!**

„ინტერპრესნიუსი“



**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*

მიუხედავად იმისა, რომ **ეს არჩევნები მნიშვნელობით აღემატება ყველა წინა არჩევნებს,** ყველაზე მდორე და უღიმღამო საარჩევნო კამპანიაა. **მხოლოდ კონტრპროპაგანდით, ტელევიზიებში სხდომით ოპოზიცია ვერაფერს მიაღწევს.** ხალხს კითხვები აქვს და პასუხის გამცემი არავინ ჰყავთ ოპოზიციაში.

„კვირის პალიტრა“



**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*

ხალხმა **ძალიან მძიმე ცხრა წელი** გაიარა და იმასთან მიბრუნება არ უნდა. **ნაციონალებიდან ერთმა მაინც მოიხადა ბოდიში და თქვა, არასწორად ვიქცეოდითო?**

ნაციონალური მოძრაობა **არჩევნებით მომსვლელი არ არის** და ამიტომ უნდათ **რევოლუცია.**

„კვირის პალიტრა“



**ილია ინჯია**
*„ქართული ოცნების“ მარტვილის, აბაშის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს დეპუტატი*

ჩემმა მეგრელებმა ყველაზე კარგად იციან **მშვიდობის ფასი,** ამიტომ ჩვენი ყველა საუბარი სწორედ იმით იწყება, რომ **დღეს მთავარი მშვიდობის შენარჩუნებაა — ჩხოროწყუმ, აბაშამ, წალენჯიხამ და მარტვილმა** უნდა თქვან თავიანთი გამბედავი სიტყვა არჩევნებზე.

„ინტერპრესნიუსი“

# „ნაცებო, გარეწრებო და ქვეყნის მტრებო, ველარასოდეს მოხვალთ ხელისუფლებაში. თქვენი ადგილი ჯოჯოხეთშია!“

***არჩევნების წინ კიდევ უფრო ნათელი გახდა პოლიტიკური პარტიების მთავარი გეგმები და სათქმელი — „ქართული ოცნება“ ნიურნბერგის პროცესს აანონსებს, მარტივ მამრავლებად დაშლილი ნაციონალები ლამის შავ სიებს ადგენენ და ბიძინა ივანიშვილის ქვეყნიდან გაძევებით იმუქრებიან. რაც შეეხება ხალხს, ამჯერად მის სათქმელს მუხროვანის ე.წ. ამბოხის დროს მოკლული გია კრიალაშვილის და ლია კრიალაშვილი ამბობს:***

— ტელევიზორის ჩართვა აღარ მინდა, ერთი სული მაქვს, როდის დასრულდება ეს ჯოჯოხეთი. ამდენი ცილისმწამებლური განცხადებების მოსმენა და მოღალატეების გულზე მჯიღის ცემა — არიქა, ხელისუფლებაში მოვდივართო, მოთმინების ყველანაირ ფიალას ავსებს. **უჯიშოები, ნაგვები და ყველაფერზე წამსვლელები რომ იყვნენ, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ მათი ცინიზმი თუ ასეთ მასშტაბებს მიაღწევდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგინა.**

მოკლედ, ერთიანად გამოეფინნენ როგორც შინაური, ასევე გარეშე მტრები და უკვე აღარც მალავენ, რომ საქართველოში კიდევ ერთი გადატრიალების მოწყობა სურთ. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე აცხადებენ ჩვენი ე.წ. მეგობრები, რომ მათი მიზანი ხელისუფლებაში მკვლელების დაბრუნებაა!

**დიდი ხანია, ვამბობ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ამერიკა და ევროპა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები კი არა, მტრები არიან და ყოველთვის მტრები იყვნენ!** მათი თვალთმაქცობა ჯერ კიდევ მაშინ გაიშიფრა, როდესაც დემოკრატიის შუქურას ეძახდნენ ადამიანს, რომელმაც სისხლის კალო დააყენა საქართველოში. სად იყვნენ ე.წ. სენატორები და ევროპარლამენტარები, როდესაც **ვანო მერაბიშვილი** ორ გვამს ითხოვდა და **გურამ შარაძეს** შუაგულ თბილისში ესროლეს? რატომ არ იღებდნენ ხმას, როდესაც **როინ შავაძე** მოკლეს და ახალგაზრდა ბიჭები ქუჩაში უმოწყალოდ ჩაცხრილეს?

**დღეს რომ ბიძინა ივანიშვილს თაღლითს ეძახიან, ვინ არის სააკაშვილზე მეტი თაღლითი, გაიძვერა და ქვეყნის მოღალატე?! კაცი ერთი წლის წინათ კვდებოდა და დღეს ხელისუფლებაში მოსვლას აპირებს!**

ნუთუ ვერ ხვდებიან ე.წ. სენატორები და ევროპარლამენტარები, რომ ასეთი თვალთმაქცური განცხადებებით კიდევ უფრო აზიზღებენ ხალხს თავს და აშორებენ საქართველოს ევროპასთან?! ბიძინა ივანიშვილის დაანონსებული ნიურნბერგის პროცესი არის დიქტატურა, ხოლო მამუკა ხაზარაძის, ნიკა გვარამიასა და დაბოლილი „გირჩის“ ფაშისტური შეძახილები — დემოკრატია?!

**— გამოდის, იმ ხელისუფლებას იცავთ, რომელმაც თქვენი ძმის საქმე თაროზე შემოდო?!**

— თუ ვინმე არის გულნატკენი ამ ხელისუფლებაზე, ეს მე გახლავართ — 12 წელია, ველოდები სამართლის აღსრულებას, მაგრამ დღეს „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არა აქვს. არჩევანი ერთადერთია — მშვიდობა, რომელსაც ვერაფერი გადაწონის, მითუმეტეს, მკვლელებისა და თაღლითების არმია.

**ნიურნბერგის პროცესი** ჰაერივით საჭიროა ამ ქვეყნისთვის, მაგრამ არ ვეთანხმები „ოცნებას“ იმაში, რომ სააკაშვილი ისევ „ვივამედში“ გდია და ციხეში არ ლპება! რად უნდა მის ციხეში გადათრევას არჩევნების ჩატარება და საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება?!

როდესაც მოსახდელია ბოდიში, აუცილებლად უნდა მოვიხადოთ, მითუმეტეს, იმათ წინაშე, ვისაც ძმებს ვუწოდებთ. არც რუს, არც აფხაზ და არც ქართველ ხალხს არ უნდოდა ომი ერთმანეთთან, მშვიდობიანი მოქალაქეები ერთმანეთს არ ერჩიან!

**უნდა გასამართლდნენ ისინი, ვინც ამ ომის პროვოცირება მოახდინა და საჯიშე ბიჭების სიცოცხლე სასწორზე დადო. დიახ, ბოდიში უნდა მოვუხადოთ ძმებმა ერთმანეთს!**

სწორედ ეს თქვა ბიძინა ივანიშვილმა და არა ის, რისი კუდებიც გამოაბეს მერე ქვეყნის მტრებმა.

***„ნიურნბერგის პროცესი ჰაერივით საჭიროა ამ ქვეყნისთვის!“***



## ლია კრიალაშვილი:

# „ოცნების“ ხელისუფლებამ არამხოლოდ ჩვენს ოს ძმებს უნდა მოუხადოს ბოდიში, არამედ რეპრესირებულ ოჯახებსაც!



მაგრამ, ვიდრე ხელისუფლება ოს ხალხს მოუხდის ბოდიშს, პირველ რიგში, ჩვენ, **გია კრიალაშვილის, როინ შავაძის, სერგო თეთრაძის** და იმ ბიჭების ოჯახებს უნდა მოგვიხადონ ბოდიში, რომლებიც სიცოცხლის ფასად იცავდნენ ქვეყანას და დაფასების ნაცვლად სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლი აღმოჩნდნენ. დღემდე მზარავს ნაძირალა **ბარამიძის** სიტყვები, ამასწინათ პირში რომ მომახალა — **შენი ძმა მოღალატე იყოო.** ბარამიძისნაირი მოღალატე არსებები, ერთ კაპიკად რომ გაყიდდეს თავიანთი გარდაცვლილი მეგობარი **ზურა ჟვანია,** დღემდე ლაფში სვრიან გიას სახელს, პასუხის გამცემი კი მათთვის არავინაა. **დიახ, ოცნების“ ხელისუფლებამ არამხოლოდ ჩვენს ოს ძმებს უნდა მოუხადოს ბოდიში, არამედ, რეპრესირებულ ოჯახებსაც!**

**— როგორც დაზარალებული, გია კრიალაშვილის საქმეზე ვის გასამართლებას მოითხოვთ?**

— **მიხეილ სააკაშვილის და ვანო მერაბიშვილის!** ამ ორმა მონსტრმა არსებამ გასცა ბიჭების ლიკვიდაციის ბრძანება. ყველას კარგად გვახსოვს ნაძირალა სააკაშვილის სიტყვები — **მიწიდან ამოიღეთ გია კრიალაშვილიო!** მერე ვანო მერაბიშვილმა ბეჭედი დაასვა — **ორი გვამი მჭირდება, პრემიები დიდი იქნებაო!** პრემიებიც გაიცა და გიას გვამიც მიიღეს! ეს როგორ უნდა ეპატიოს ამ ნაძირალებს?! **ნაცებო, გარეწრებო და ქვეყნის მტრებო, ველარასოდეს მოხვალთ ხელისუფლებაში. თქვენი ადგილი ჯოჯოხეთშია!**

ახლახან ვფიქრობდი — ხომ არ მივიდე ხაზარაძესთან ოფისში და პირში ვუთხრა სიმართლე, რა ნაძირალაც არის-მეთქი?! **ესენი ყველანი, თავიანთ გახარიან-გვარამიანად გველეშაპის თავები არიან და ერთიანად უნდა მოიკვეთონ, ქვეყანამ შვებით რომ ამოისუნთქოს და ჩვენ, სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამწარებულმა ადამიანებმა, სულის სიმშვიდე ვპოვოთ!**

პასუხი უნდა აგოს პრეზიდენტად წოდებულმა ურცხვმა დედაკაცმაც, რომლის არჩევაშიც, სამწუხაროდ, მეც მიმიძღვის წვლილი. **ეს ადამიანი არის ერის სირცხვილი, მკვლელებისა და მოღალატეების მეხამრიდი და პირობას ვაძლევთ, გაჰყვება კიდევაც პოლიტიკურ და-ძმებს პოლიტიკურ მოუსავლეთში!**

აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო მათ, ვინც ამ შავბნელი ძალების შემოხაზვას აპირებს არჩევნებზე. **ყველანი, ვინც რომელიმე ნაციონალს ან მის რომელიმე პოლიტიკურ ნამსხვრევს შემოხაზავთ, ხართ საქართველოს მტრები!** სულით ხორცამდე მძულხართ, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს შუბლში ტყვიადახლილი გურამ შარაძის კადრი და კვლავ ნაცებზე აკეთებთ არჩევანს!

**ბიძინა ივანიშვილთანაც მაქვს ორიოდე სიტყვა სათქმელი** — გახსოვთ, რამდენს გთხოვდით, მათ შორის, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან, მკვლელების დასჯას? როგორ მინდოდა, ასაკოვანი დედაჩემი მოსწრებოდა გიას მკვლელების ციხეში ხილვას?! გასაგებია, გარე ფაქტორების გამო თქვენ მაშინ ეს ვერ შეძელით, მაგრამ ეს უნდა გააკეთოთ დღეს! **ათიათასობით ადამიანი შემოგცქერით იმედის თვალით!**

*ესაუბრა*

***ნატო ფოცხიშვილი***

# „არ ვეთანხმები „ოცნებას“ იმაში, რომ სააკაშვილი ისევ „ვივამედში“ გდია და ციხეში არ ლპება!“

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კირცხალია**

*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე*



**თვითილუსტრაცია მოახდინა კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ,** რომ ისინი არიან პირდაპირ მოწოდებულები და **შეპყრობილნი ომის მანიით.**

„იმედინიუსი“

**არტემ დმიტრუკი**

*ზელენსკის პარტია „ხალხის მსახურის“ ყოფილი წევრი*



მხოლოდ **საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ გადაარჩინა საქართველო** საშიში ავანტიურისგან, რომელსაც შეეძლო, ასობით ათასი ადამიანის სიცოცხლე მოესპო.

**არჩევნები საქართველოში — ეს არის არჩევანი მშვიდობასა და ომს შორის.** 26 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები, **ქართველი ერის წინაშე უმნიშვნელოვანესი არჩევანი დგას — იცხოვრონ მშვიდობაში თუ ჩაებან ახალ, საშინელ სისხლიან ომში.**

დღეს ქართველ ერს კვლავ ემუქრებიან **ახალი მაიდნით, რევოლუციებით, გადატრიალებებით.** მათ არ აინტერესებთ ქართველების აზრი, რომლებსაც უფლება აქვთ, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი არჩევნებზე. **სულ ერთი და იგივე კლასიკური სცენარია, რომელიც მათ წარმატებით განახორციელეს უკრაინაში.** მოგმართავთ ქართველებს — დღეს თქვენი ეშინიათ, რადგან თქვენ დაამტკიცეთ, რომ შეიძლება იცხოვროთ ღირსეულად და თან თავად მართოთ პროცესები.

„იმედინიუსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**

*„ხალხის ძალის“ წევრი*



**სად გაგიგიათ ნაცი და ბოდიში?** ბოდიშის მოხდა, შეცდომის და თუნდაც დანაშაულის აღიარება **ღირსეული ადამიანების საქციელია.**

„იმედინიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**

*„ხალხის ძალის“ წევრი*



**უსამშობლოთა „რე-ბრენდინგი“ დასასრულს მიუახლოვდა,** ახლა გასარკვევია, **26 ოქტომბერს როგორ ამთავრებენ პოლიტიკურ მოღვაწეობას** — დრამით თუ ტრაგედიით.

„იმედინიუსი“

# მიკირტუმ გასპარიჩებისა და მეკურტუმ ევროპიჩების შესახებ

***თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნის ლიტერატურულმა პერსონაჟმა — თბილისელმა ვაჭარმა და მევახშემ მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვმა გიორგი ერისთავის პიესა „გაყრიდან“ რეალურ ცხოვრებაში გადმოინაცვლა და გაქნილი მომხვეჭელის, მერკანტილისტისა და პირადი სარგებლის მისაღებად ყველაფრის მკადრებელი ადამიანის კრებსით სახედ იქცა.***



სპექტაკლი „გაყრა“ – ვასო აბაშიძე მიკირტუმ გასპარიჩის როლში




კი, სწორედ **გიორგი ერისთავის კომედია „გაყრისა“** და მისი პერსონაჟის — **მიკირტუმ გასპარიჩის** გავლენით ხდება, რომ საქართველოში და, მეტადრე, თბილისში ვაჭრუკანა სულისა და მევახშური მორალის ადამიანებს **მიკირტუმებს** ეძახიან.

მაგალითად, თანამედროვე ქართულ რეალობაში მიკირტუმას ცოცხალი სურათ-ხატი გახლავთ **პარტია „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე,** რომელმაც ყაჩაღ-ბანკირობით, მევახშეობითა და „სახალხო საინვესტიციო კორპორაციაში“ შენახული მოსახლეობის ანაბრების მიტაცებით მილიონები იშოვა, **შემდეგ კი პოლიტიკოსის მანტია მოირგო,** რათა მართლმსაჯულების მარწუხებისაგან დაეძვრინა თავი.

**ხაზარაძის** მიკირტუმობის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითი გახლავთ მის მიერ საფრანგეთის საარბიტრაჟო სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი, რომლითაც ქართული სახელმწიფოსაგან **მილიარდ-ნახევარ დოლარს** ითხოვდა — აქაოდა, ხელისუფლებამ ანაკლიის პორტის მშენებლობის კონტრაქტი უკანონოდ გამიწყვიტაო! თუმცა, ფრანგულმა საარბიტრაჟო სასამართლომ **ხაზარაძეს** არათუ სარჩელი არ დაუკმაყოფილა, არამედ ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ **650 000 დოლარის** გადახდა დააკისრა.

მიუხედავად ამისა, **ხაზარაძე** ტიპურ **მიკირტუმასავით** იქცევა, ფრანგული საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დაკისრებულ ვალდებულებას არ ასრულებს და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში **650 000 დოლარს** არ იხდის.

**მამუკა ხაზარაძესთან** ერთად ქართულ პოლიტიკაში კიდევ ბევრი **მიკირტუმ გასპარიჩია,** რომელსაც საქართველო დახლზე აქვს გამოტანილი და ცდილობს, სარფიანად გაყიდოს!

**ქართული პოლიტიკის მიკირტუმ გასპარიჩები,** რომლებიც, ძირითადად, **კოლექტიურ ნაცმოძრაობაში** არიან თავმოყრილი, ვაჭრობენ და მევახშეობენ საქართველოს ეროვნული ინტერესებით, ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტით, ქართველი ერის ტრადიციული ფასეულობებითა და საერთოდ ყველაფრით, რითიც შეიძლება, პოლიტიკური სარგებელი და პირადი კეთილდღეობა მოიხვეჭონ.

სწორედ საქართველოთი ვაჭრობისა და ქართული სახელმწიფოს ინტერესების გაყიდვის მრავალწლიან პროცესში ჩამოყალიბდა ქართულ პოლიტიკასა და ე.წ. არასამთავრობო სექტორში დახვავებული **მიკურტუმ გასპარიჩების ქვეკლასი,** რომელსაც **მეკურტუმ ევროპიჩებს** ვუწოდებთ!

**მეკურტუმ ევროპიჩები** ის ხალხია, ვინც მიიჩნევს, რომ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზა მეკურტუმეობაზე, უფრო ზუსტად კი, **კურტუმოს ქნევის თავისუფლებაზე** გადის!

ქართული პოლიტიკის **მეკურტუმ ევროპიჩები** ამბობენ, რომ, თუ საქართველოში **მეკურტუმეებს** საშუალება არ ექნებათ, რუსთაველის გამზირზე გეი-აღლუმები გამართონ, საქართველო ევროკავშირის წევრი ვერ გახდება!

ქართული პოლიტიკის **მეკურტუმ ევროპიჩების** მტკიცებით, თუ საქართველოში **მეკურტუმეებს** ერთმანეთზე დაქორწინებისა და ბავშვის შვილად აყვანის უფლება არ ექნებათ, საქართველო ვერც ნატოს წევრი გახდება!

ქართული პოლიტიკის **მეკურტუმ ევროპიჩები** ქართველ ხალხს უჩიჩინებენ, რომ, თუ საქართველოში **მეკურტუმეობის** პროპაგანდა აიკრძალება და არასრულწლოვან ბავშვებს ვერ შთააგონებენ — **უფლება გაქვთ, სქესი შეიცვალოთ და თავად გადაწყვიტოთ, გოგო იქნებით თუ ბიჭიო,** საქართველოსთვის ევროპის კარი სამუდამოდ ჩაირაზება!



ჩვენ, ხელმომწერი პოლიტიკური პარტიები

ვაცნობიერებთ რა, რომ საქართველოში ჰომოფობია წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, რადგან ადამიანები თავიანთი სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის გამო ხშირად ხდებიან ძალადობის, დისკრიმინაციისა თუ სტიგმის მსხვერპლნი;

ვაცხადებთ რა, რომ ჩვენი სურვილია შევქმნათ ისეთი სახელმწიფო, სადაც სამართლის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია განურჩევლად სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობისა;

ვიაზრებთ რა, რომ ჰომოფობიის დაძლევაში შეგვიძლია მნიშვნელოვანი როლი შევასრულოთ როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო პოლიტიკური საქმიანობისას;

ვთანხმდებით, რომ

ჩვენს ხელთ არსებული ყველა მექანიზმის გამოყენებით, მათ შორის შესაბამისი კანონშემოქმედებითი საქმიანობითა და საპარლამენტო კონტროლის განხორციელებით, ვიბრძოლებთ საქართველოში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარ ადამიანების მიმართ არსებული დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად;

საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დავიცავთ ყველა ადამიანის მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, განურჩევლად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა;

არ დავუშვებთ ჩვენი წარმომადგენლების მიერ პოლიტიკურ პროცესში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე სოციალური შუღლის გაღვივებასა და სიძულვილის ენის გამოყენებას.

TBILISI PRIDE

WE, THE SIGNATORY POLITICAL PARTIES

RECOGNIZE THAT HOMOPHOBIA IS A SIGNIFICANT CHALLENGE IN GEORGIA BECAUSE PEOPLE OFTEN EXPERIENCE VIOLENCE, DISCRIMINATION OR STIGMA BASED ON THEIR SEXUAL ORIENTATION AND GENDER IDENTITY;

DECLARE OUR DESIRE TO LIVE IN A STATE WHERE ALL HUMAN BEINGS ARE EQUAL BEFORE THE LAW, REGARDLESS OF THEIR SEXUAL ORIENTATION OR GENDER IDENTITY;

UNDERSTAND THAT WE CAN PLAY AN IMPORTANT ROLE IN OVERCOMING HOMOPHOBIA THROUGH PARLIAMENTARY AND NON-PARLIAMENTARY POLITICAL ACTIVITIES.

WE AGREE THAT

USING ALL MECHANISMS AT OUR DISPOSAL, INCLUDING RELEVANT LEGISLATIVE ACTIVITIES AND PARLIAMENTARY OVERSIGHT, WE WILL FIGHT TO ELIMINATE DISCRIMINATION AND VIOLENCE AGAINST LESBIAN, GAY, BISEXUAL, TRANSGENDER AND GAY PEOPLE IN GEORGIA;

WE WILL PROTECT THE RIGHT TO PEACEFUL ASSEMBLY AND THE FREEDOM OF EXPRESSION OF ALL HUMAN BEINGS, REGARDLESS OF THEIR SEXUAL ORIENTATION OR GENDER IDENTITY IN ACCORDANCE WITH THE CONSTITUTION OF GEORGIA AND INTERNATIONAL HUMAN RIGHTS STANDARDS;

WE WILL NOT ALLOW OUR REPRESENTATIVES TO USE HATE SPEECH AND INCITE SOCIAL STRIFE IN THE POLITICAL PROCESS ON THE BASIS OF SEXUAL ORIENTATION AND GENDER IDENTITY.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ქართული პოლიტიკის **მეკურტუმ ევროპიჩების** თანახმად, ევროკავშირში საქართველოს გასაწევრიანებლად სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკური განვითარება, სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულობა და კანონის უზენაესობა კი არ არის საჭირო, არამედ მთავარია, **კურტუმოს** გამოყენების თავისუფლება საკანონმდებლო დონეზე იქნას უზრუნველყოფილი და **მეკურტუმეობის** განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო ჩამოყალიბდეს.

რაც მთავარია, ქართული პოლიტიკის **მეკურტუმ ევროპიჩებს** ზურგს უმაგრებენ და გულს უკეთებენ მათი **ევროპელი და ამერიკელი პატრონები, ანუ ევროპული და ამერიკული პოლიტიკის მეკურტუმეები,** რომლებიც ახლა ცოფებს ყრიან და ტანსაცმლიდან ხტებიან იმის გამო, რომ 2024 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო **ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონი,** რომლის სრული და ოფიციალური დასახელება გახლავთ **საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ.**

აღსანიშნავია, რომ კოლექტიური ნაცმოძრაობის **მეკურტუმ ევროპიჩები** ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონის მიღებაში დემონსტრაციულად არ მონაწილეობდნენ, რითიც კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მათი პრიორიტეტი საქართველოში ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვა კი არა, **მეკურტუმეობის** პროპაგანდის ხელშეწყობაა.

სხვანაირად თუ ვიტყვით,

**მეკურტუმ ევროპიჩების პოლიტიკური ერთობა იმ 15 ოპოზიციური პარტიისაგან შედგება, რომელმაც 2021 წელს ხელი მოაწერა ლგბტ უფლებების დაცვის მემორანდუმს, მაგრამ 2024 წელს მხარი დაუჭირა ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონს!**

საქართველოს პარლამენტმა მიიღო თუ არა კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, **ქართველი მეკურტუმ ევროპიჩების** უცხოელი პატრონები მაშინვე კრაზანებივით წამოიშალნენ და ქართულ სახელმწიფოს კიდევ ერთხელ დაუქნიეს თითი — **იცოდეთ, ევროკავშირის გზას გადაგიკეტავთო!**

მაგალითად, საქართველოში საფრანგეთის ელჩმა **შერაზ გასრიმ** განაცხადა, რომ ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონი არის საქართველოს მიერ უკან გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე!

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს ევროკავშირისგან აშორებს!

უსაფრთხოებისა და საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა **ჟოზეფ ბორელმა** საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, გაიწვიოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, რადგან მას „საქართველო კიდევ უფრო მეტად გადაჰყავს ევროკავშირში ინტეგრაციის გზიდან!“

მოკლედ, ქართული პოლიტიკის **მეკურტუმ ევროპიჩები** და მათი ევროპელი აპეკუნები ქართველ ხალხს პირდაპირ და დაუფარავად ეუბნებიან, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის გზა **მეკურტუმეობის** პროპაგანდასა და **კურტუმოს ქნევის თავისუფლებაზე** გადის!

შესაბამისად, თუ ქართველ ხალხს სურს, რომ საქართველო ევროკავშირში **მეკურტუმეობის** პროპაგანდასა და **კურტუმოს ქნევის თავისუფლებაზე** გამალი გზით შევიდეს, 26 ოქტომბერს ხელისუფლებაში **მიკირტუმ გასპარიჩები** და **მეკურტუმ ევროპიჩები** უნდა მოიყვანოს!

ხოლო, თუ ქართველ ხალხს მიაჩნია, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის გზა **მეკურტუმეობის** პროპაგანდასა და **კურტუმოს ქნევის თავისუფლებაზე** არ უნდა გადიოდეს, 26 ოქტომბრის არჩევნებში **მიკირტუმ გასპარიჩებსა** და **მეკურტუმ ევროპიჩებს** პოლიტიკური სანაგვის ცალმხრივი ბილეთი უნდა აუღოს!

**One Way Ticket, როგორც ცნობილ სიმღერაშია!**

## საქართველოს ევროპული გზა კურტუმოს ქნევის თავისუფლებაზე არ უნდა გადიოდეს!

**ჯაბა ხუბუა**

# განა ამ ქალ-კაცას მოშორება ეგეთი რთულია?!




არჩევნებამდე **ეს ბაუზებროზა** კიდე არაერთხელ ჩამოეთრევა და კვლავ დაიწყებს ტვინის **იმას.** ალბათ, არჩევნების დღეებშიც აქ ჩამოგვიჯდება და შეურაცხყოფასაც მოგვაყენებს. ჩვენ კიდე, იმის გამო, რომ სტუმარი ღვთისაა, ცალყბად გავიცინებთ.

**უკაცრავად, მაგრამ ვინ გითხრათ ქართველებს, რომ სტუმარი ყოველთვის ღვთისაა?**

ერთი **შაჰ-აბასი** იყო ღვთის სტუმარი, მეორე — **ალა-მაჰმად-ხანი,** მესამე — **ჯალალედინი** და მეოთხე კიდე — **ამისი ფიურერი.**

მართალია, **ამისმა ფიურერმა, იოსება პაპას** წყალობით, აქამდე ვერ ჩამოაღწია, მაგრამ ხომ ეწადა?

**გადავაქციოთ თბილისი კვლავ ევროპის დედაქალაქად...** ადრე, როცა პატიმრებს ცოცხებით აუპატიურებდნენ, დედაქალაქი იყო და ახლა აღარ არიო.

დავუშვათ, საზღვრიდან უკან ვერ აბრუნებთ, ხომ შეიძლება, ქვეყანაში შემოსულს ორაყის დალევა და თრიაქის მოწევა აუკრძალოთ?

**მოუსმენენ უდღეურები ამას და მართლა დაიჯერებენ, რომ მიხას ზეობის ხანაში თბილისი ევროპული მეგაპოლისი იყო ან ეს როთი გახლდათ ქალიშვილი!**

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ხედელაშვილთან ერთად

# ბახმუტელა ვანო

**ბახმუტელა ვანო,** უკრაინაში რაგატკით რომ იბრძვის, **აქუბარდიასთან** აცხადებს — **ჩვენი ბრალია, ბიძინა ივანიშვილი აქამდე რომ ცოცხალიაო!**

**ბახმუტელა ვანო** რამდენიმეჯერ კი ახოხიალეს იატაკზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ჭკუა ვერ ისწავლა. ან კი ჭკუას როგორ ისწავლიდა, როცა გოდორივით თავში მხოლოდ ნამჯა უყრია?!

**ბახმუტელა ვანოს აქუბარდია** ეთანხმება — მეც ძალიან გაბრაზებული ვარო.

გამოდის, **აქუბარდიაც** იმიტომ არის გაბრაზებული, რომ **ბიძინა ივანიშვილი** აქამდე ცოცხალია.

**ამოცანა გვეკითხება:**



## და მაინც, რა უნდა ბახმუტელა ვანოს? ახმედელი და ახმეტელი მისგან ისედაც არ გამოვა!

# გოგინდარები,




**გოგია** ტელევიზიის კიბეზე იდგა და პუტჩისტებს ეჩხუბებოდა — **ზვიად გამსახურდია ცოცხალი რატომ გაუშვით, რატომ არ მოკალითო?**

**გოგიამ** უღალატა იმ ადამიანს, რომელმაც დააფასა და დანიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად. **გოგიამ** უღალატა ქვეყანას, როცა მინისტრობის პერიოდში უცხოეთიდან ჭინჭების ჩამოტანა და ქორვაჭრობა დაიწყო. შემდეგ კი გადავიდა პუტჩისტების მხარეს და იკადრა ის, რაც უკვე გითხარით.

მერე **აგენტმა გოგიამ** თავისი შვილი **ჰელენი** მოაწყო **მგიმოში** — კაგებეს უმაღლეს სასწავლებელში და ისიც აკურთხა აგენტად.

**გოგია და ჰელენი** დღემდე იღებენ რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან დაფინანსებას.

☺

ასე რომ, **ბიძინა ივანიშვილს მართლაც აქვს ბოდიში მოსახდელი, აგენტები და გოგინდარები ასე რომ დაპარპაშებენ საქართველოში.**

არადა, ხალხს ეგენი მხოლოდ უწყინარი **ხოშტერიები** ეგონა.

# როცა ხელისუფლებაში ეგდო, რა გაგიკეთათ?






ერთი უყურეთ, ნიუ-იორკელ ემიგრანტებს როგორი გადაღლილი სახეები აქვთ, უკანა რიგებში რამდენიმეს სძინავს კიდეც. ჯერ ამ დეფექტიანი მეტყველების მოსმენა როგორია, მერე **ბირჩის** ნათქვამიდან აზრის გამოტანა?

**ამხელა მანძილზე გადახვეწილხართ, რაღაცის გაკეთებას ცდილობთ, წვალობთ, წელებზე ფეხს იდგამთ და ამ კრეტინის მოსასმენად გცალიათ?**

რომც ჩამოუჯდეთ და მოუსმინოთ, მერე რა? ამას ხმა რანაირად უნდა მისცეთ? ეს ხელისუფლებაში რანაირად უნდა დააბრუნოთ? როცა ეგდო, რა გაგიკეთათ? თავი რით დაგამახსოვრათ?

არც არაფერი გაუკეთებია, არც არაფრით დაუმახსოვრებია, **შარვალი რომ არ ჩაეხადნა და რუსებისთვის ხორცის ტანკი არ მიეშვირნა, ალბათ, მაგისი არსებობაც არ გეცოდინებოდათ.** ხო კიდევ — **პლანი დათესა პირდაპირ ეთერში!**

გაგრძელება მე-12 გვერდზე

# რომ წაგიყვანო, სად წაგიყვანო?



ვუყურებ ე.წ. ოპოზიციონრების საცოდაობას და **ჯონ სტაინბეკის** რომანიდან **„მრისხანების მტევნები“** ერთი ადგილი მახსენდება: ციხიდან გამოსული **ტომ ჯოუდი** სახლში მიდის, გზად ყოფილ მოძღვარს **ჯიმ კეისს** შეხვდება, რომელიც შესჩივლებს — ვგრძნობ, ხალხს უნდა გავუძღვე, მაგრამ არ ვიცი, სად წავიყვანოო. **ტომ ჯოუდი** პასუხობს: **შენც ადექი და გაუძეხი, ირგვლივ ატარე, სადაც სარწყავ არხს გადააწყდები, შიგ ჩაყარე და უთხარი, რომ ჯოჯოხეთში დაიწვებიან, შენ თუ არ გამოგყვებიან“.**

შეხედეთ სურათს, მთლად სარწყავ არხში არა, მაგრამ სადღაც დაღმართიან ორღობეში კი შეუყრიათ თავისი ე.წ. ელაქტორატი და ეუბნებიან — ჯოჯოხეთში დაიწვებით, თუ არ გამოგვყვებითო.

**ესენიც სხედან ვიწრო დაღმართში, ხელში პაწაწა დროშები უჭირავთ და მიჰყვებიან, რათა ჯოჯოხეთში არ დაიწვან...** მაგათ ისიც ეყოფათ, რომ **ძალიან დამწვრები არიან** სააკაშვილის სიყვარულით!

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

დასაწყისი მე-11 გვერდზე

# ვოზდუხა და ხანდაზმული თაღლითები

ესე იგი, **ვოზდუხა** მისულა **ხანდაზმულ თაღლითებთან** მოსალაპარაკებლად და **ხანდაზმულებს** უთქვამთ — **კი ბატონო, შევერთდეთ, ბიძინა ივანიშვილის მოსაშორებლად ეშმაკსაც შევეკრათ, მაგრამ სიაში შენ ვერ ჩაგსვამთო.**

ტიპს ეძახიან — **შევრიგდეთ, ერთად შევუტიოთ, მაგრამ სიაში ვერ ჩაგსვამთო...** მაგარი შეთავაზებაა, ამას მარტო **ხანდაზმული თაღლითები** თუ მოიფიქრებენ.

**ვოზდუხას** უთქვამს — **კაი, ძმებო, მაგრამ სამ ცალ პირობას წამოგიყენებთო:**

1. აისერიო, მისერიო, მისერო!

2. სერენუს სიმონიკუს კარაკალა, ანუ გადაჭყლეტილი ღობეებიო!

3. პუბლიუს სეპტიმიუს არდანბურდანიო!

**ხანდაზმულებს** ერთმანეთისთვის გადაუხედნიათ — **კაი, პირველი პირობა გვესმის, ეგ მარტო წყლის ქვემოთ მაცხოვრებელთა დარდი არ არი, ხმელეთზე მაცხოვრებლებსაც გვაწუხებსო.** რაც შეეხება მეორე და მესამე პირობას, ეგ რო გავიგოთ, ჩვენც **ლომონოსოვის უნივერსიტეტი** უნდა გვქონდეს დამთავრებულიო.

**ვოზდუხას** უთქვამს — **თქვენ თუ მეორე და მესამე პუნქტები არ გესმით, მაშინ თქვენთან საქმე არ მაქვსო.**

ავი ენები ამბობენ, ამერიკელებმა **ვოზდუხა** დატუქსეს — **ეგეთი რთული პირობები არ უნდა შეგეთავაზებინაო.**

**ვოზდუხას** უთქვამს — **რთული კი არა, ყველაზე მარტივი პირობები შევთავაზე, მაგრამ მაინც ვერ გაიგესო... ნუ მტუქსავთ, მე პრემიერი ვიყავი პირველ მსოფლიო ომამდეო.**

ისე კი, ამათ სამ კაცში ვერაფერი გაურკვევიათ და კოალიციურ მთავრობაზე როგორ იქაჩებოდნენ, ალბათ, **დეპუტატ მაჭუტაძეს** უფრო ეცოდინება!







# მამისგულოვი

**გულბოზიჩმა** სუ მოღალატე ეძახა **ბიძინა ივანიშვილს** — 12 წელია, ქვეყანას ღალატობსო.

ამასაც მაგრად აქვს მოწყვეტილი ფერადო, ის აღარ ახსოვს, რომ

## 2016 წლამდე მამამისიც იქ იყო და გამოდის, ისიც 4 წელიწადი ღალატობდა.

გონორი იგივე აქვს, **მამასა** ჰბაძავს. გამოხედვა და წარბების შეყრა კავკასიონის ქედებივით ამასაც კარგად აქვს დამუღამებული.

ტონი აქვს, მიდი-მოვდივარ, ეგრევე დაგადებს ვალსა.

ფერ-ხორცი არც ამას აკლია, ცოტა ხანში ესეც გაიწევს სიგანეში.

როგორც ჩანს, მარტო ბიძინასთან აქვს საქმე, მაგას ერქინება და **მამასთან** ერთად თავსაც უტოლებს. **მორჩაო, მაგ კაცმა 12 წელი იბაირამა და ეყოფაო, მუდამ რუსულ დავალებას ასრულებდა და ახლაც ასრულებსო.**

☺

**მე შვილებზე არ მიყვარს წერა. არც ახლა ვიტყოდი რამეს, რომ არა ამ ბალღის თავხედური გამოხტომები და შეუფერებელი ტონი.**

ცოტა ფითილს დაუწიე, ნუ იბრიქები, თორემ ერთხელაც ცხოვრება ისე ამოგკრავს კინკრიხოში, კაი ხანს აზრზე ვეღარ მოხვალ **მამაშენივით** და ვერც მილიონს დაიდებ!



# ამ სახედარს უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს, ვიდრე მამუკა ხაზარაძის დაფინანსებულ კონცერტს!



მე უკვე მჯერა, **სახედარი** არამხოლოდ საქსაფონზე დაუკრავს, არამედ ლეღვის ტოტზეც გავა, ბლის ჭამასაც დაიწყებს და „მაკნატუნადან“ არიასაც შეასრულებს, მაგრამ ესენი, **ეს ხაზარაძეები, ბაზარაძეები, იმანოები, ამანოები, მიეთები, მოეთები და ტრამპა-ცუმპები** ხელისუფლებაში ვერასდროს მოვლენ. ბუნების კანონია — **შეიძლება, თაღლითებს მომენტალურად გაუმართლოთ, მაგრამ საბოლოოდ ნაკერავზეც რომ გაიფხრიწონ, ქვეყნის სამართავად არავინ მოუშვებს.** უკაცრავად და... საქართველოს მოსახლეობა უკვე ისე გაიზარდა, ვეღარაფერს გამოაპარებენ.

ისე, **სახედარს რომ შენზე მეტი მაყურებელი ეყოლება,** ამ ქვეყნიდან საერთოდ უნდა გადაიკარგო... რა პოლიტიკა, რის პოლიტიკა და პარლამენტი, თქვე ჩემა?!

## კვირგვინოსნები

**თინა ბოკუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



სხვა პარტიებმა რა გადაწყვეტილებაც უნდა მიიღონ, ჩვენ ვიქნებით **ღიდი ეროვნული გამარჯვების** მედროშე.

„რეზონანსი“

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



**მიხეილ სააკაშვილი** ისჯება იმის გამო, რომ **ქვეყანა რუსეთს არ ჩააბარა.**

„რეზონანსი“

**ზურაბ ჩხაიძე**
*„ვივამედის“ კლინიკური დირექტორი*



**სააკაშვილი** უკვე სრულფასოვნად იკვებება, ვარჯიშობს, **სატურაციის უმნიშვნელო ცვლილება უკავშირდება ფიზიკურ აქტივობას,** არაფერი გასაკვირი არ არის.

„პირველი არხი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**სააკაშვილთან** სეანსები იმართებოდა — **ციხეში გადაღებულ კადრებს იქ ყველა ერთად უყურებდა,** სახარებაზე ხელს დავდებ და ნებისმიერ სასამართლოში **დავადასტურებ, რომ ამას აკეთებდნენ.**

„TV იმედი“

**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ნაცხელისუფლება **უნდა გასამართლდეს** და მათ პოლიტიკური საქმიანობა **უნდა აეკრძალოთ!**

„ახალი თაობა“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



ჩვენს ქვეყანას **სერიოზული გამოცდა ელის** და ძალიან მნიშვნელოვანია, **რამდენად მშვიდად გავივლით საარჩევნო პროცესს** და არჩევნებს.

„კვირის პალიტრა“




# ხდება ხოლმე...

კარგი, ჰო, შუბლის ძარღვის გაწყვეტაც გამიგია **(ხდება ხოლმე)**, თავზე ხელის აღებაც გამიგია **(ხდება ხოლმე)**, ხელიდან წასვლაც გამიგია **(ხდება ხოლმე)**, გზიდან აცდენაც გამიგია **(ხდება ხოლმე)**, რელსებიდან გადავარდნაც გამიგია **(ხდება ხოლმე)**, რამსების არევაც გამიგია **(ხდება ხოლმე)**, მაგრამ ნამუსისგან მთელი ორგანიზმის გარეცხვა, კაცო? რავი, ეგეთი რამე ცოტა რთულ საქმედ მესახება. ჩვენს კოალიციას არასოდეს უთქვამს, რომ ვითხოვთ რუსეთისთვის სანქციების დაწესებასო, — ეგრევე გადაატრიალა ფირფიტა.

**როგორც ჩანს, როცა ადამიანი სინდის-ნამუსისგან „მოიკაზე" გაირეცხები, მერე ძაან იოლია ცხოვრება — არაკუნე, რაც გინდა, გნებავს, რუსეთს გადაუხსენი ძუძუ-გული!**

# თვენახევარში სუნს ისევ დააყენებს!

ისევ მოიდა და იმსიგრძე შესავალი გააკეთა, თვითონაც გაუკვირდა. თან ხელები იფშვნიტა — **მორჩაო, დამთავრდაო, „ქართული ოცნება" დამარცხებულიაო, ბიძინა ივანიშვილს ცალი ფეხი ჩელიაბინსკში აქვსო.** პერიოდულად თვალსაც ჩაგვიკრამდა ხოლმე, დამიჯერეთ, არ გატყუებთო.

ისე კი, ძაან გაშავებულა, თან ხო იცით, **ნოდარას** მუქი ფონი უყვარს, ჩაბნელებული და ამიტომაც ღრიჭოდან გამამძვრალ ტარაკანასავით გამაიყურება, კახეთში კუანა ჭიას რო ეძახიან.

**ესე იგი, მოიდა და ეგრევე ამოქოქა გამომგონებელთა და თავდაუზანელ ქალთა საგუშაგო:** ერთი აღმოსავლეთით აფრინა, მეორე — დასავლეთით. აღმოსავლეთით წასული გამომკვლევარი **ნუნუკა თამაზაშვილის** დაბადების დღის ამბებს კვლევებულობდა, დასავლეთით წასული გამომკვლევარი კიდე — „ქართული ოცნების" საარჩევნო სიის პირველ ოცეულში შესული ახალი კაცის ავან-ჩავნობას, რომელიც, თურმე, ამავდროულად რუსეთის მოქალაქეც ყოფილა.

აღმოსავლეთში ჩასულმა ბევრი იბოდიალა თუ ცოტა, **ნუნუკა თამაზაშვილის** დაბდღემდე მაინც ვერ მიაღწია, **ტარიელ ღარიბაშვილის** ბაღვენახების მისადგომებთან გააჩერეს, იქით აღარ გაუშვეს. ბევრი იწვალა **ნოდარას ჩუსტებიანმა ქალმა,** ბევრი იჯიჯღინა, პროვოკაციის მოწყობაც სცადა, შუაზე გახევაც, ყურებზე დადგომაც, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, სათანადო „იმფორმაცია" ვერ მოიპოვა.

დასავლეთით წასული გორამდეც არ იყო ჩასული, უკან მოაბრუნეს და თბილისში გამოაკვლევებინეს, რომ პირველ ოცეულში ჩასმული **ბერეკაშვილი,** რომელიც, ამავდროულად, **ბერიკაშვილადაც** მოიხსენიეს, რუსეთის მოქალაქეც ყოფილა და საქართველოსიც. დაიწყო **ფლოსტებიანმა ქალმა** „ოცნების" წევრების გამოკითხვა — **სიაში რუსეთის მოქალაქე რომ გყავთ, არა გრცხვენიათო?** „ოცნების" წევრებმა კითხვა იქით ვერ შეუბრუნეს — შე ცოცხზე შემომჯდარო, **კობა ნაყოფია** რომ გყავს რუსეთის მოქალაქე, არ გრცხვენიაო?

მოკლედ, მოიდა ისევ **ნოდარა,** იმაზე უფრო შავი, ვიდრე აქამდე იყო და ხელებსაც კი იფშვნეტს — **მორჩაო, დამთავრდაო, ბიძინა ივანიშვილი შეშინებულიაო, ამიტომაც ლაპარაკობს შუშის იქიდანო.**

მოკლედ, **ბიძინა ივანიშვილი** შეშინებულია და **ნოდარა** კიდე ფოლადი ყოფილა...

## არადა, სულ ის მახსენდება, სოფო ნიჟარაძემ რო უთხრა სააკაშვილს – ნოდარამ ჩაისვარა, უკვე სუნი დააყენაო.

**თვენახევარში ისევ დააყენებს!**






# 29 ათასი ფუნტი მიეცათ!

**ეტყვი** — რუბლებში ჩამირიცხეო, ჩაგირიცხავენ. **ეტყვი** — რუბლებში არ მაწყობს, დოლარებში ჩამირიცხეო, გირიცხავენ. **ეტყვი** — ევროებში ჩამირიცხეო, ეგრევე გირიცხავენ. **ეტყვი** — ფუნტებში ჩამირიცხეო, გირიცხავენ. თან გეუბნებიან — „ნოუ პრობლემო!"

ეგ კიდე არაფერი — **ყველაზე მაგარი მაინც ის არი, რომ ფულებს გირიცხავენ პეტერბურგიდან „ჩერეზ" ჩელიაბინსკი და „ჩერეზ" საიქიო სოლიკო ვირსალაძის სახელით.**

ავი ენები ამბობენ — **გოგიევიჩის დედამ, ანუ გოგიას კნეინამ 14 ათას დოლარად რუსთავის ბაზრობაზე „მაზდა" იყიდაო.**

იყიდის, რატო არ იყიდის, ჭკუა დაუშლის, გონება თუ უფულობა?

სოლიკო ვირსალაძე რომ **სამოთხეშია** და ფულის საბეჭდი დაზგა აბარია, გასაგებია, მაგრამ ხოშტარიებიც **სამოთხეში** არიან, ოღონდ — აქა.

ისე კი, **ედუარდ შევარდნაძის** მიერ 1995 წლის **29 აგვისტოს** მოწყობილი აუტოტერაქტიდან **29 წლის** შემდეგ **26 ათასი ფუნტის** ჩარიცხვა რა ბედენაა? **3 ათასიც** დაემატებინათ და მთლა **29 ათასი** იქნებოდა! აკი, **ლენინის** სიკვდილიდან (1924) **სტალინის** მკვლელობამდეც (1953) **29 წელი გავიდა** და **სტალინის** მკვლელობასა (1953) და **ბრეჟნევის** გარდაცვალებასაც (1982) **29 წელი აშორებს.** აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ **კენედის** მკვლელობიდან (1963) ასევე **29 წლის შემდეგ,** 1992 წელს ედუარდ **შევარდნაძე** მეორედ შემოჯდა საქართველოს ტახტზე!

ამიტომაც უსტვენს ეს ოხერი — **29-იანებში** რომ ვერ გავიდა!

## კვირგვინოსნები



**გივი თარგამაძე**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი*

ამ ქვეყანას არანაირ ვერსიაში არ დაგითმობთ, **სულ რომ თავზე ხელის აღება დაგვჭირდეს,** მისაღებს მიიღებთ, **მკაცრად და დაუნდობლად.**

„პირველი არხი"



**ლევან ვარშალომიძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის" პოლიტსაბჭოს წევრი*

ივანიშვილი 39 დღეში უნდა **გავუშვათ სახლში** და მიხეილ სააკაშვილი **გავათავისუფლოთ.**

„რეზონანსი"



**თემურ ჯანაშია**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატი*

**წალენჯიხა ევროპასთან ყველაზე ახლოსაა.**

„ინტერპრესნიუსი"



**ირმა ზავრადაშვილი**
*პარლამენტარი*

**ჩემს დასანქცირებაზე თქვენ არ ინერვიულოთ** — ამ ქვეყნის კეთილდღეობისთვის ადამიანებმა სიცოცხლე გაწირეს და **როგორმე ჩვენ ამ სანქციებს გადავიტანთ,** თუ იქნება.

„ინტერპრესნიუსი"



**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*

ჩვენი ქვეყნის სახელით მოასპარეზე ჩემპიონები გახდნენ **ნაცსექტანტებისთვის შეტევის, ზიზღისა და სიძულვილის ფრქვევის ობიექტები,** ასეთია უშინაარსო და ავის მოსურნე ადამიანების რეალური სახე.

„ინტერპრესნიუსი"



**გიორგი ცუცქირიძე**
*ეკონომისტი*

**ოპოზიცია არჩევნებს აშკარად აგებს.** დესტაბილიზაციის მცდელობა ნამდვილად იქნება, მაგრამ **რამე სერიოზული რყევა არ მოხდება.**

„რეზონანსი"

# ვაშაძემ მასროლინაო!

***ვინაიდან გიორგი ვაშაძეს თავისი 3-კაციანი და 1-პროცენტიანი პარტიით საარჩევნო ბარიერის გადალახვის არავითარი შანსი არ გააჩნია, ახალ პარლამენტში შეძრომის მიზნით, ისევ ნაციონალურ მოძრაობას მიეკედლა, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოს მაგივრად შესაძლოა, ვირის აბანოში აღმოჩნდეს.***

## ბრალდებული ბუბუტეიშვილი გიორგი ვაშაძეს დანაშაულის დაკვეთაში ამხელს!






საქმე ის არის, რომ 2016 წელს სააკაშვილის **ნაციდან გასულ,** მაგრამ დღეს ისევ სააკაშვილის **ნაცში შესულ** ჭიჭე ვაშაძეს გამჭვირვალობის კანონის საწინააღმდეგო აქციებზე ძალადობის წაქეზებასა და დანაშაულის დაკვეთაში ადებენ ხელს. კერძოდ, ვინმე **ფრიდონ ბუბუტეიშვილმა,** რომელიც საპროტესტო აქციების დროს პარლამენტის ჭიშკრის დაზიანებისა და მეხანძრე-მაშველისათვის ქვის სროლის ბრალდებით არის დაპატიმრებული, გასულ კვირას თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე განაცხადა:

> ***„ეს ყველაფერი გავაკეთე გიორგი ვაშაძის დაკვეთით. მან მითხრა, რომ ისროლე და თუ რამეა, მე აქ ვარ და გაგიყვანო. ფაქტი სახეზეა, არ გავყავარ“.***

**ბრალდებულმა ბუბუტეიშვილმა** სასამართლო პროცესზე არც საკუთარი ადვოკატისადმი უკმაყოფილება დამალა და პირდაპირ მიმართა:

> ***„ორი თვეა, სამი თვეა მეუბნები — არ აღიარო, ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, გაგიყვანოთო. ფაქტი სახეზეა, უკვე 5 თვეა, ციხეში ვიმყოფები. არც ვაშაძეა, ყურადღებასაც არ მაქცევს არავინ. დაკვეთით გავაკეთე ეს ყველაფერი, გეუბნებით და „დალშე“ თქვენ იცით“.***

ბრალდებულის ამ განცხადების შემდეგ მისმა **ადვოკატმა ტყეშელაძემ** თვითაცილება მოითხოვა, რის გამოც მომდევნო სასამართლო პროცესებზე **ბუბუტეიშვილის** ინტერესებს სახელმწიფოს მიერ დანიშნული სახაზინო ადვოკატი დაიცავს.

## საქართველოს პროკურატურა საპროცესო კოდექსით არის ვალდებული, დაიწყოს გამოძიება გიორგი ვაშაძის მიერ სავარაუდო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შესახებ!

ასე და ამრიგად, **პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ თავმჯდომარე და საარჩევნო ბლოკ „ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე** სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაშია მხილებული, რასაც საქართველოს პროკურატურის მხრიდან შესაბამისი რეაგირება უნდა მოჰყვეს.

აკი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მკაფიოდ არის გაწერილი, რომ **დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მასმედიის საშუალებით გავრცელდა ან სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს სხვა გზით ჩაუვარდა ხელში, გამოძიების დაწყების საფუძველი უნდა გახდეს.**

მითუმეტეს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, ანუ **ბრალდებულ ბუბუტეიშვილის** განცხადება — **მეხანძრისათვის ქვის სროლის დაკვეთა გიორგი ვაშაძემ მომცაო** — არამხოლოდ მასმედიით გავრცელდა, არამედ სასამართლო პროცესზე მყოფმა პროკურორმა საკუთარი ყურით მოისმინა.

ამდენად, საქართველოს პროკურატურა არამხოლოდ უფლებამოსილია, არამედ საპროცესო კოდექსით არის ვალდებული, დაიწყოს გამოძიება **გიორგი ვაშაძის** მიერ სავარაუდო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შესახებ!

გულწრფელად რომ გითხრათ, აქ სიტყვა „სავარაუდო“ მხოლოდ უდანაშაულობის პრეზუმფციის გამო ვიხმარეთ, თორემ ჩვენი შინაგანი რწმენა გვკარნახობს, რომ **ბრალდებული ბუბუტეიშვილი** სრულ სიმართლეს ამბობს და საპროტესტო აქციაზე მეხანძრისათვის ქვის სროლა ნამდვილად **ჭიჭე ვაშაძემ** დაუკვეთა!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გამჭვირვალობის კანონის საწინააღმდეგო ძალადობრივ პროტესტს კოლექტიური ნაცმოძრაობიდან უამრავი ორგანიზატორი ჰყავდა და **ბრალდებულმა ბუბუტეიშვილმა** რაღა მაინცდამაინც ჭიჭე ვაშაძეს დაადო ხელი?

თუ ბრალდებულ ბუბუტეიშვილს საქმეში რომელიმე პოლიტიკური ლიდერის გაყვანა და მისთვის დანაშაულის დაკვეთის დაბრალება საკუთარი დანაშაულის შესამსუბუქებლად სჭირდება, ხომ შეეძლო, ვაშაძის ნაცვლად, მაგალითად, **ლევან ხაბეიშვილი, ნიკა გვარამია, ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია** ან ნებისმიერი სხვა ნაცი დაესახელებინა?

მაგრამ ფაქტია, რომ **ბრალდებულმა ბუბუტეიშვილმა** ხელი სწორედ **გიორგი-ჭიჭე ვაშაძეს** დაადო, როგორც დანაშაულის დამკვეთსა და ძალადობის წამქეზებელს!

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **ჭიჭე ვაშაძე** თავისი კარიერისტული ვნებებითა და თანამდებობის გამო ყველაფრის მკადრებლობით თვით კოლექტიურ ნაცებს შორისაც კი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია, **ბრალდებულ ბუბუტეიშვილის** განცხადება — **მეხანძრისათვის ქვის სროლა ვაშაძემ დამიკვეთაო** — კიდევ უფრო დამაჯერებელი და წყალგაუვალი გახდება!

სხვათაშორის, **ჭიჭე ვაშაძის** ყველაზე ზუსტი და სწორი დახასიათება ფართო საზოგადოებამ 2015 წელს გავრცელებულ ფარულ აუდიოჩანაწერში მოისმინა, რომელშიც **ნაცი ბოკა ბაბაშვილი** თავის ძმას — **ლადო ბაბაშვილს** ეუბნება: ***„ვაშაძეს ჰყავს რაღაც „სასტავი“, მაგრამ „კამსამოლები“, როგორიც თვითონაა, ჭიათურელი „ნაგლი“ კომკავშირელია, ღირებულებების და პრინციპების გარეშე“.***

მაშ, რატომ არ უნდა დავიჯეროთ, რომ უპრინციპო და უღირებულებო **ჭიჭე ვაშაძემ აქტივისტი ბუბუტეიშვილი** დანაშაულის ჩასადენად მართლაც წააქეზა და ძალადობრივ საპროტესტო აქციაზე უსაფრთხოების დამცველი მეხანძრე-მაშველისათვის ქვის სროლა დაავალა?

მოკლედ,

**ბრალდებულ ბუბუტეიშვილის მიერ სასამართლო პროცესზე გაკეთებული მამხილებელი განცხადების შემდეგ უტიფარი ჭიჭე ვაშაძე პრემიერ კობახიძესთან ტელედებატებს კი არ უნდა ითხოვდეს, არამედ პროკურატურის შენობაში უნდა იჯდეს და გამომძიებლის კითხვებს პასუხობდეს!**

და კიდევ: **ბრალდებულ ფრიდონ ბუბუტეიშვილის** მაგალითი ცხადყოფს, რომ **კოლექტიური ჭიჭევაშაძეები** მუდამ მზად არიან, თავცხელი ახალგაზრდა აქტივისტები პოლიციელებისათვის „მოლოტოვის კოქტეილების“ სასროლად, ქვების დასაშენად და სახელმწიფოს წინააღმდეგ სხვა დანაშაულების ჩასადენად გამოიყენონ, მერე კი მიატოვონ და საციხედ გაწირონ!

ეს კარგად უნდა გაითავისოს და გაითვალისწინოს ყველა **„ფრიდონ ბუბუტეიშვილმა“,** რომელსაც **კოლექტიური ჭიჭევაშაძე** 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ქუჩაში გამოიხმობს და სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებებისკენ წააქეზებს!

**ასე რომ, ფრთხილად და ჭკუით იყავით, პოტენციურო „ფრიდონ ბუბუტეიშვილებო“, არჩევნების შემდეგ დაგეგმილი „თბილისური მაიდნის“ ორგანიზატორებმა საბურავების მაგივრად არ დაგწვან!**

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**გიორგი ვაშაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ველოდები **ირაკლი კობახიძის** პასუხს დებატებთან დაკავშირებით, **მკაფიოდ გამცეს პასუხი — კი თუ არა.**

„რეზონანსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**გიორგი ვაშაძეს** შეიძლება, ადამიანების წამებასა და მკვლელობებში არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ **სხვა დარღვევებში, როგორიცაა საარჩევნო ფალსიფიკაცია,** მისი თანამდებობიდან გამომდინარე, **საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება!**

„საერთო გაზეთი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**„ჭიჭე“** იმდენად უავტორიტეტოა თავის გუნდშიც — **იმ მწვალებელთა პარტიაში,** რომ არავინ სერიოზულად არ აღიქვამს და **ავტორიტეტი რომ აიმაღლოს,** ამიტომ ითხოვს ხან **ბიძინა ივანიშვილთან,** ხან **ირაკლი კობახიძესთან,** ხან ჩვენს სხვა ლიდერებთან დებატს.

„რეზონანსი“

**თეიმურაზ ქორიძე**
*ჟურნალისტი*



ოპოზიციის ბინძურ ინტრიგებს აყოლილი **ქართველი ახალგაზრდებისა** და **ზრდასრული ინტრიგანების** გასაგონად: **შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დასამხობად** *(სახელმწიფო გადატრიალება ან გადატრიალების მცდელობა)* **ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.** იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, **ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

გენერალისიმუსი

№46 (282)★ 2024 წლის 23 სექტემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

# რუსეთო, გეშინოდეს ბაქოში გამართული თურქულენოვანი ქვეყნების შეხვედრის!


რეჯეფ ტაიპ ერდოღანი და ვლადიმერ პუტინი




## ლათინურ დამწერლობაზე შექმნილი თურქული ალფაბეტი აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა და უზბეკეთმა თავიანთ საერთო ანბანად აღიარეს!

### გეოპოლიტიკური ანბანთქება ★



*2024 წლის 9-11 სექტემბერს ბაქოში გაიმართა ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა, სადაც თურქულენოვანი სახელმწიფოები — თურქეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი და უზბეკეთი შეთანხმდნენ, რომ ყველა ამ სახელმწიფოში უახლოეს მომავალში შემოღებულ იქნეს ლათინურ დამწერლობაზე დაფუძნებული საერთო თურქული ანბანი, რომელიც საბჭოთა კავშირის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში კირილიცაზე დაყრდნობით შექმნილ ადგილობრივ ანბანებს შეცვლის!*

თურქულმა აკადემიამ მომხდარის ისტორიული მნიშვნელობა უკვე სათანადოდ შეაფასა და განაცხადა, რომ **„საერთო თურქული ანბანის შემუშავება ხელს შეუწყობს თურქ ხალხებს შორის ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას მათი ენობრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებით!“**

ფაქტი მართლაც საყურადღებო და მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ დროს, როცა მართლმადიდებელი რუსეთი და უკრაინა ერთმანეთს უკვე ორ წელიწად-ნახევარია ხოცავენ. აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ რუსეთს თავისი უგუნური პოლიტიკით მომდურებული ჰყავს ქრისტიანული საქართველო, რომელსაც ამ ბოლო დროს სომხეთიც მიემატა.

მოკლედ, **იმ დროს, როცა რუსეთი სამკვდრო-სასიცოცხლო ომშია ჩართული, კავკასიასა და საქართველოში თურქული გავლენა იზრდება და ყოველწლიურად 700-ზე მეტი ქართველი ქალი ოფიციალურად, ქორწინების ძალით იყოფს სარეცელს თურქ კაცთან.** შუა აზიის რესპუბლიკების ნაწილმა და ყარაბაღის ომში გამარჯვებულმა აზერბაიჯანმა განაცხადეს, რომ მათ რუსულ კირილიცაზე შექმნილ ანბანს ლათინურზე დაფუძნებული თურქული ანბანი ურჩევნიათ. ამით შუა აზიის რესპუბლიკებმა და აზერბაიჯანმა, რომლებსაც სახელმწიფოებრიობა არასოდეს ჰქონიათ და რუსეთის ნაწილს წარმოადგენდნენ, ხოლო საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი მხოლოდ სტალინის ხელდასხმით, 1936 წლის 5 დეკემბერს მიენიჭათ, ფაქტობრივად, კვერი დაუკრეს ოსმალეთის იმპერიის ვილაიეთებად ქცევას.

„ასავალ-დასავალის“ მკითხველისათვის არაერთხელ შეგვიხსენებია, რომ 1920 წლის 28 იანვარს თურქეთის მეჯლისის, ანუ პარლამენტის მიერ მიღებული **„ეროვნული აღთქმის დოკუმენტი“**, რომელშიც თურქეთის მომავალი საზღვრები შემოიხაზა, დღესაც მოქმედი სახელმძღვანელო მანიფესტია თურქეთის ხელისუფლებისთვის! **ამ დოკუმენტში ბათუმი თურქეთის ტერიტორიად არის გამოცხადებული და ხაზგასმით არის მითითებული, რომ ყოველი თურქი უზენაესი ხელისუფლის უპირველესი მოვალეობაა, „დედასამშობლოს“, ანუ თურქეთს დაუბრუნოს თურქული მიწები, ცხადია, მათ შორის, ბათუმიც!**

1918 წლის ივნისში, როცა თურქებმა აჭარა და ბათუმი დროებით წაგვართვეს, მაშინ ანკარასა და სტამბოლში ზეიმობდნენ — „ისტორიული მიწები“ „დედასამშობლოს“ დავუბრუნეთო!

**რომელ „ისტორიულ“ მიწებს გულისხმობდნენ თურქები, რომლებიც მცირე აზიასა და კავკასიაში მხოლოდ მე-10 საუკუნეში გამოჩნდნენ, ჩვენთვის გაუგებარი და, ცოტა არ იყოს, სასაცილოა...** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ **ანატოლიაში, რომელიც მაშინდელი ბიზანტიის იმპერიისა და დღევანდელი თურქეთის სული და გულია, თურქებმა დაფუძნება მხოლოდ 1071 წლის 19 აგვისტოს მანაზკერტის ბრძოლის შემდეგ შეძლეს, როცა თურქ-სელჩუკთა სულთანმა ალფ-არსლანმა ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ მეოთხე დიოგენე სასტიკად დაამარცხა და შეიპყრო.** ბიზანტიამ თურქებს მაშინ 1 მილიონი ბიზანტიური დრაქმა გადაუხადა და იმპერატორი ასე გამოისყიდა, პარალელურად დათმო მთელი ანატოლიაც.




აი, სწორედ ამის შემდეგ დაფუძნდნენ თურქები ანატოლიაში და ასე შემოიხაზა მომავალი ოსმალეთის იმპერიის საზღვრები, რომელიც მე-17 საუკუნეში ატლანტის ოკეანიდან

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე*

# რუსეთო, გეშინოდეს ბაქოში გამართული თურქულენოვანი ქვეყნების შეხვედრის!

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

იწყებოდა და ინდოეთის ოკეანესთან მთავრდებოდა.

თურქები გლოვობდნენ მაშინ, როცა 1920 წლის ივლისში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეძლო და **ბათუმზე, აჭარასა და ართვინზე** კონტროლი აღადგინა. სხვათაშორის, გიორგი ბრწყინვალეს ეპოქის შემდეგ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ყველაზე მეტ ქართულ მიწას სწორედ 1920 წლის ზაფხულში აკონტროლებდა! აქედან გამომდინარე, **ნოე ჟორდანიას უხერხემლო და ცრუქაქუნა ხელისუფლების ქვეყნის სათავეში ყოფნის მიუხედავად, 1920 წლის ზაფხული საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში „ოქროს ხანად“ უნდა მივიჩნიოთ!**

საიდუმლოებას არავისთვის წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ 80-მილიონიან თურქეთს ისტორიულად გააჩნია დასაბუთებული პრეტენზია და ამბიცია, წარმოადგენდეს იმ 500-მილიონიანი ხალხის მორალურ და პოლიტიკურ ხელმძღვანელს, რომელიც ალტაის მთიანეთიდან მოყოლებული, ბალკანეთამდე გადაჭიმულა. სწორედ ამას ქადაგებს **„დიდი თურანის იდეა“** და **„პანთურქიზმი“.** თურქეთის ისტორიული ოცნებაა, ეს 500 მილიონი კაცი ერთად შეკრას და ოფიციალური ანკარას პოლიტიკურ დღის წესრიგს დაუქვემდებაროს!

სწორედ ამ პოლიტიკური გეგმის აღსრულებას ემსახურება ის შეხვედრა, სადაც **ლათინურ დამწერლობაზე შექმნილი თურქული ალფაბეტი** აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა და უზბეკეთმა თავიანთ საერთო ანბანად აღიარეს!

**„დიდი თურანის იდეა“** რუსეთის სახელმწიფო ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდის, რადგან მთელი ციმბირი, ვოლგისპირეთი, ურალის მხარე და, რაც ყველაზე მთავარია, თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკა, სწორედ თურქულენოვანი ხალხით არის სავსე. ამ ყველაფერს ემატება კავკასიაც, სადაც თურქულენოვანი ხალხი არ ცხოვრობს, მაგრამ სარწმუნოების ფაქტორიდან გამომდინარე, თურქეთის გავლენა ხუთას წელზე მეტი ხანია, რაც დიდია.

**თუ ამ ხალხების პოლიტიკურ და მორალურ ლიდერად თურქეთის ხელისუფლება იქცა, მაშინ გამოდის, რომ რუსეთი დაშლილა და კრემლს თავის მოქალაქეებზე გავლენა და კონტროლი დაუკარგავს!**

ცხადია, ამ საფრთხეებს მოსკოვში აცნობიერებენ, მაგრამ კრემლის ზოგადკავკასიური პოლიტიკა და ქრისტიანული საქართველოსადმი დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ მოსკოვი ნირისა და ზნის შეცვლას ჯერჯერობით არ აპირებს. არადა,

## საქართველო ისლამურ გარემოცვაში ძლიერი ქრისტიანი მოკავშირის გარეშე რჩება, რაც ქმნის იმის ცდუნებას, რომ თურქეთმა „ეროვნული აღთქმის დოკუმენტში“ ჩამოთვლილი პუნქტების შესრულება სწორედ საქართველოდან დაიწყოს!

**კაცმა რომ თქვას, ბათუმი და აჭარა თურქეთს, ფაქტობრივად, მიტაცებულიც აქვს!**

**რუსეთსა და საქართველოს ისე არ დაემართოთ, ბიზანტიასა და საქართველოს რომ დაემართათ!** კერძოდ, ვიდრე ბიზანტია ფეხზე იდგა, ხან ეკლესიის ავტოკეფალიის გამო გვედავებოდა, ხანაც ტერიტორიებს გვართმევდა და სიცოცხლეს გვიმწარებდა. დასრულდა ბიზანტია, გადათქერეს კონსტანტინოპოლი თურქებმა, დაამხეს აია-სოფია და წარწყმიდეს ჯვარი პატიოსანი...

მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდნენ საქართველოში, თუ რა უბედურება დაგვატყდა თავს და ქრისტიანული ბიზანტიის დაცემა მზის დაბნელებას შეადარეს!

ჩვენ არ ვამბობთ, რომ რუსეთი მზეა, მაგრამ კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს კავკასიაში თურქული მთვარე!

**რუსეთო, გეშინოდეს ბაქოში გამართული თურქულენოვანი ქვეყნების სამიტის!**



რეჯეფ ტაიპ ერდოღანი და ვლადიმერ პუტინი



ილჰამ ალიევი და რეჯეფ ტაიპ ერდოღანი

## ჩვენ არ ვამბობთ, რომ რუსეთი მზეა, მაგრამ კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს კავკასიაში თურქული მთვარე!




## სადაც კი თურქეთმა ქართული ასომთავრული თურქულით შეცვალა, იქ საქართველოც მოკვდა! სადაც კირილიცას ათათურქის მიერ შემოღებული ანბანით შეცვლიან, იქ რუსეთიც მოკვდება!

*დიტო ჩუბინიძე*

**გეოპოლიტიკური ანბანთქება ★**






მიხეილ კვესელავა

# ას ერგასის დღე

## იბეჭდება შემოკლებით



საკონცენტრაციო ბანაკის ყოველ ტუსაღს „თავისი რიცხვი“ უნდა ჰქონოდა ამოშანთული

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-45*

### სიკუდილითა სიკუდილისა...

...ნიურნბერგის დარბაზში შემოიყვანეს ჭაღარა ქალი, ცნობილი ფრანგი პოეტის ვაიან კუტიურიეს მეუღლე, კლოდ მარი — საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. იგი ნელ-ნელა ავიდა ტრიბუნაზე, არამარტო როგორც მოწმე, არამედ ბრალმდებელიც.

მოსამართლეებმა უკვე იცოდნენ, რაც მას გადახდა საკონცენტრაციო ბანაკში. ეს ისე შემაძრწუნებელი იყო, რომ ტრიბუნალი შიშობდა კიდეც, „შურისძიების გრძნობას არ დაებნელებინა“ სიმართლის ძალა და, ამ ერთადერთ შემთხვევაში, ნაწილობრივ შეცვალა ტრადიციული ფიცის ტექსტი: „ვფიცავ, რომ ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს გარდა სიმართლისა“.

ამის ნაცვლად ტრიბუნალის თავმჯდომარემ ლოურენსმა წარმოთქვა იმავე ფიცის შესწორებული ტექსტი, რაც კლოდ მარიმ სიტყვასიტყვით გაიმეორა:

— ვფიცავ, რომ ყოველგვარი გაბოროტებისა და შურისძიების გრძნობის გარეშე ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს გარდა სიმართლისა!..

ამის შემდეგ მან სამსჯავროს უამბო, თუ როგორ გაიყვანეს სამასი ფრანგი ქალი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ეზოში, გააშიშვლეს და სამი საათის განმავლობაში ამყოფეს 10-15 გრადუს ყინვაში. შემდეგ სიცივისაგან დაკრუნჩხულებს გამოუცხადეს: ოთხ მწკრივად მოეწყვეთ, რომ სადეზინფექციო კამერაში გაგატაროთო.

კლოდ მარიმ იცოდა, რა „კამერაც“ იყო ეს და, როდესაც 300 შიშველი ქალი მწკრივებად მოეწყო, გესტაპოელებს მიმართა:

— არ გვინდა სამარცხვინო სიკვდილი გაზკამერაში. ჩვენ მზად ვართ, პირდაპირ წავიდეთ კრემატორიუმში და ცოცხლად დავიწვათ!..

მერე თავის თანამემამულეებს მიუბრუნდა და შესძახა:

— მეგობრებო! ვაჩვენოთ ამ ბოშებს, როგორ კვდებიან ფრანგი ქალები!..

და წამოიწყო მარსელიოზა! 300 ქალი აჰყვა ამ სიმღერას და ისე გაემართნენ კრემატორიუმისაკენ!..

გესტაპოელები დაიბნენ. ჯერ კლოდ მარის სტაცეს ხელი და კარცერში შეათრიეს. მერე სხვებს დაერივნენ და ჯოხებით შერეკეს „სადეზინფექციო კამერაში“...

ნახევარი საათის შემდეგ კვამლს გაჰყვა მათი სიცოცხლე.

— ისე დაიწვნენ, რომ არც გამთბარანო, — თქვა კლოდ მარიმ.

თვითონ კი ტრებლინკის საკონცენტრაციო ბანაკის სპეციალურ საწამებელ კამერაში გაგზავნეს.

ადამიანური გძნობების შეურაცხყოფა იქნება იმის მოყოლა, რაც მას იქ გადახდა... მაგრამ ყველაფერს გაუძლო: ცემას, ფრჩხილების დაგლეჯას, სხეულის დაშანთვას, თმებით დაკიდებას. ახლა ძნელიცაა იმის თქმა, თუ რა ძალამ აატანინა ამ ნაზი აგებულების ქალს იმდენი წამება... იქნებ მისი გალელი წინაპრების სიბრძნემ, ამ წიგნის ეპიგრაფად რომ მაქვს არჩეული:

— სანამ ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი!

არც „გაუბედავს“, არ მომკვდარა, ყველაფერს გაუძლო, გადაიტანა... და აი, ახლა დგას ხალხთა სამსჯავროს მაღალ ტრიბუნაზე როგორც ბრალმდებელი...

თურმე ტყუილად შიშობდა ლოურენსი. კლოდ მარის სულაც არ ეტყობოდა გაბოროტება ან შურისძიების გრძნობით გამსჭვალვა. პირიქით, ამ შემაძრწუნებელი ამბების მოყოლა რომ დაამთავრა, ხელები ზეცისკენ აღაპყრო და წყნარად წარმოთქვა:

— შეუნდოს მათ უფალმა დანაშაული, რამეთუ ისინიც ადამიანები არიან!..

•

...ნიურნბერგის ე.წ. „პოლონურ საქმეებში“ ასეთი ამბავი ამოვიკითხე: ერთი სოფლის მთელი მოსახლეობა გაიყვანეს მოედანზე და, რომ დაემცირებინათ ისინი, უბრძანეს დაეჩოქათ. არცერთი მათგანი არ განძრეულა. ბრძანება გაიმეორეს, მაგრამ ამაოდ, გესტაპოელებმა ავტომატები მომართეს და დაემუქრნენ: ვინც არ დაიჩოქებს, დავხვრეტთო. არც ამან გაჭრა. ყველა გაქვავებული იდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა ავტომატების სროლის ხმა და ათიოდე კაცი დაეცა. სხვები მაინც არ განძრეულან. მუქარა გაუმეორეს, მაგრამ ისევ ისე იდგნენ, გაუნძრევლად. გესტაპოელები გაცეცხლდნენ. შტურმფიურერმა იყვირა:

— მოემზადეთ!

ავტომატები ისევ მომართეს, ხალხი კი მაინც დუმდა. მერე ოციოდე წლის ყმაწვილი წამოიწია წინ, მუშტი აღმართა და დაიძახა:

— ძირს ჰიტლერი, გაუმარჯოს პოლონეთს!..

გაიყვანეს და იქვე დახვრიტეს ყველას თვალწინ. ამის პასუხად ხუთმა ახალგაზრდამ შესძახა:

— ძირს ჰიტლერი, გაუმარჯოს პოლონეთს!..

ხუთივე დახვრიტეს. ვერც ამით დააშინეს პატრიოტები.

ახლა ოციოდე მამაკაცი გამოვიდა წინ და იგივე გაიმეორა. ოცივე ტყვიით დაცხრილეს! მოედანი კი ერთხმად გუგუნებდა:

— ძირს ჰიტლერი, გაუმარჯოს პოლონეთს!..

იმ დღიდან პოლონელ პატრიოტებს პირდაპირ ქუჩებში ხვრეტდნენ. შეძრწუნებული მოსახლეობა ფარდებაფარებული ფანჯრებიდან და დერეფნებიდან უთვალთვალებდა ამ საშინელ სურათს.

მერე, როცა მკვლელები წავიდოდნენ, კაცები ჩუმად გამოდიოდნენ სახლებიდან და მარხავდნენ დახოცილებს, ქალები კი თანამემამულეების ჯერ კიდევ თბილი სისხლით გაჟღენთილ მიწას იღებდნენ პეშვით, ლარნაკებში ყრიდნენ და მიჰქონდათ ეკლესიაში, რომ იქ პარაკლისი გადაეხადათ მათი სულის მოსახსენებლად...

### მესამე ხარისხი...

პროცესზე ბრალმდებლების მიერ წაკითხულ ერთ-ერთ დოკუმენტში ასე ეწერა: „პოლიტიკური ძალაუფლების მქონე პირების, კომისრების, პოლიტხელების ტყვედ წამოყვანა არ შეიძლება. ისინი დახვრეტილ უნდა იქნენ ადგილობრივ, არა უგვიანეს სატრანზიტო ბანაკებში ყოფნისა. მათი ზურგში ტრანსპორტირება აკრძალულია“.

ამ ბრძანების მიღებისთანავე უმაღლესი სარდლობის (OKW) საერთო სამმართველოს უფროსმა გენერალმა რაინეკემ მოიწვია თათბირი, რომელსაც ესწრებოდა სამხედრო დაზვერვის უფროსის ადმირალ კანარისის მოადგილე, გენერალი ერვინ ლაჰუზენი. ნიურნბერგის პროცესზე მოწმედ გამოძახებულ ლაჰუზენს ამერიკელმა ბრალმდებელმა ეიმენმა ჰკითხა:

— რა მიზანი ჰქონდა დასახული ამ თათბირს?

— ძირითადად შემდეგი, — მიუგო ლაჰუზენმა: — კომენტირება მიღებული ბრძანებების სამხედრო ტყვეებთან დამოკიდებულების შესახებ, მათი განმარტება და დასაბუთება.

შემდეგ ლაჰუზენმა მოკლედ გადმოსცა ამ ბრძანებებისა და ინსტრუქციების შინაარსი:

— განსახორციელებლად დასახული იყო ორგვარი ღონისძიება — თქვა მან: — პირველი: პოლიტიკური კომისრების მოსპობა; მეორე: სამხედრო ტყვეთა შორის იმ ელემენტების დახოცვა, რომლებიც გამოვლენილ იქნებოდნენ უშიშროების სამსახურის (SD) მიერ, ე.ი. ბოლშევიკებისა და ბოლშევიკური მსოფლმხედველობის პირებისა.

— ახლა გთხოვთ, აუხსნათ ტრიბუნალს, როგორ ხდებოდა ასეთი ელემენტების გამოვლინება. როგორ ადგენდნენ, ვინ უნდა ყოფილიყო მოკლული?

ლაჰუზენმა არც ისე ხალისიანად, მაგრამ მაინც გასცა პასუხი ამ კითხვაზე:

— სამხედრო ტყვეების გადარჩევას აწარმოებდნენ უშიშროების სამსახურის მიერ სპეციალურად შედგენილი საგანგებო რაზმები. ეს ხდებოდა სრულიად თვითნებურად. საგანგებო რაზმების ზოგიერთი მეთაური ხელმძღვანელობდა რასიული მოსაზრებით. იმ სამხედრო ტყვეს, რომელსაც არ გააჩნდა გარკვეული რასიული ნიშანი, იყო ებრაელი, ებრაული ტიპისა და ან სხვა რომელიმე დაბალი რასის წარმომადგენელი — ხვრეტდნენ. სხვებს არჩევდნენ ინტელექტუალობისა და ინტელიგენტურობის მიხედვით. იყო შერჩევის სხვა პრინციპებიც.

თვითონ ლაჰუზენს რომ ჰკითხოთ, ის არც იზიარებდა ამ „პრინციპებს“: სულერთია, სამხედრო ტყვეების უმრავლესობა ისედაც იხოცებოდა შიმშილით, სიცივითა და მოუვლელობითო...

...მერე იმ ბრძანებებს ახალი დაემატა, ე.წ. Kugel-Erlass — „ტყვიის კანონი“, რაც იმ სამხედრო ტყვეებთან დამოკიდებულებას „აწესრიგებდა“, ვინც საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცევას შეეცდებოდა... მათთვის ბორკილები უნდა დაედოთ და გადაეცათ უშიშროების სამსახურისათვის გრიფით — „მესამე ხარისხი“, რაც მაუტჰაუზენის სასიკვდილო ბანაკში გადაგზავნასა და მოსპობას ნიშნავდა. მერე ესეც დაეზარათ და ადგილობრივ ხვრეტდნენ ყველას.

ეს ისეთი საშინელი ბრძანება იყო, რომ ნიურნბერგის პროცესზე კალტენბრუნერს თუმცა აშკარა მამხილებელი დოკუმენტები წარუდგინეს, მაგრამ მაინც გაიძახოდა, ამის შესახებ არაფერი ვიციო. ფაქტები კი უფრო ჯიუტი აღმოჩნდა, ვიდრე ის: ინგლისელმა ბრალმდებელმა შოუკროსმა მას წინ ისეთი დოკუმენტი დაუდო, რაზედაც ხელს თვითონ კალტენბრუნერი აწერდა. ეს იყო ინსტრუქცია „ტყვიის კანონის“ შესრულების შესახებ. კალტენბრუნერი არც ამ შემთხვევაში დაიბნა და სრულიად უცერემონიოდ განაცხადა, ეს ჩემი ხელმოწერა არ არისო, რაზედაც დარბაზში მსხდომ ხალხს კი არა, ბრალდებულებსაც გაეცინათ, კაიტელისა და იოდლის გარდა: აბა, იმათ სიცილის თავი სად ჰქონდათ. ის კი არა, სულგანაბული უსმენდნენ, როდის ახსენებდნენ ამ საშინელ ბრძანებებთან დაკავშირებით მათ სახელს...

...ბრალმდებლებმა კი ჯერ ჰიტლერის განკარგულება გამოაქვეყნეს: სამხედრო ტრიბუნალისათვის გადაეცათ ყველა, გენერალი იქნებოდა თუ ოფიცერი, ვინც „ტყვიის კანონს“ მთელი სისასტიკით არ შეასრულებდა.

მერე იოდლიც ახსენეს. იგი შეიშმუშნა ადგილზე, თითქოს დაპატარავდა კიდეც, ძირს ჩაიწია და წინა რიგში მსხდომთ ამოეფარა. ბრალმდებელი მის ინსტრუქციას კითხულობდა:

— ის ოფიცრები და უნტეროფიცრები, ვინც ამ შემთხვევაში სისუსტეს გამოიჩენს, შეუბრალებლად უნდა იქნენ დასმენილი და სასტიკ პასუხისგებაში მიცემული. მიზანშეწონილია, რომ გაქცევის ცდის შემთხვევაში სამხედრო ტყვეები დაჰკითხონ და იქვე დახვრიტონ.

ეს ინსტრუქცია უფრო სასტიკი იყო, ვიდრე „ტყვიის კანონი“...

...მერე კაიტელიც ახსენეს. ბრალმდებელმა ჰკითხა მას:

— განა თქვენც არ მოიწონეთ და სწორად არ მიიჩნიეთ ბრძანებები სამხედრო ტყვეების დახვრეტის შესახებ?

აქამდე ის ძველებური გოროზი გამომეტყველებით იჯდა განსასჯელთა სკამზე: ყოველთვის სუფთად გაპარსული, თუმცა, პაგონებჩამოგლეჯილი, მაგრამ კარგად დაუთოებული მუნდირითა და გაპრიალებული პრუსიული ჩექმებით. ერთიღა ფელდმარშლის კვერთხი აკლდა მხოლოდ... სწორედ ის კვერთხი, ცხრა მაისს ბერლინში კაპიტულაციაზე ხელის მოწერის შემდეგ რომ დადო გამარჯვებულთა მაგიდაზე...

ეს უსიამოვნო კითხვა რომ მისცეს, თვალზე მონოკლი აუცახცახდა... ხმაც გაებზარა და დაბნეულმა თქვა:

— მე არაფერი შემეძლო, მეთქვა ამის საწინააღმდეგოდ: ერთი მხრივ, დასჯის შიშით, მეორე მხრივ კი, მე ხომ მაინც ვერაფერს შევცვლიდი ფიურერის მითითების გარეშე.

ბრალმდებელი არ დაკმაყოფილდა ამ პასუხით და ირონიული ღიმილით მიმართა კაიტელს:

— კი მაგრამ, თქვენ ხომ ფელდმარშალი იყავით, აღზრდილი ბლიუხერის, გნაიზენაუსა და მოლტკეს ტრადიციებზე, როგორ შეგეძლოთ, ასე უსიტყვოდ მოგეთმინათ, როცა ამდენ ახალგაზრდებს ხვრეტდნენ?

კაიტელი მაინც თავისაზე იდგა:

— მე უკვე მოგახსენეთ იმ მიზეზებზე, თუ რატომ არ გავილაშქრე ამ ბრძანებების წინააღმდეგ. ახლა კი მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია. ეს ამბები მოხდა და ჩემთვის ცნობილია ყოველივე ამის შედეგი.

ეს კიდევ არაფერი! კაიტელს მართლაც შეეძლო, ეთქვა, ეს ბრძანებები სხვისი დაწერილია და მე დასჯის შიშით არ შემეძლო პროტესტის განცხადებაო, რაც უფრო მორალური მსჯავრდების სფეროს განეკუთვნება, ვიდრე იურიდიულისა. მაგრამ ბრალმდებელმა ახლა მისი საკუთარი ბრძანება დაუდო წინ არმიის, ესესისა და პოლიციის საერთო ღონისძიებით იმ ფრანგი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ოჯახის წევრთა დასჯის შესახებ, ვინც „რუსების მხარეს“ იბრძოდა. თან ასეთი „მწარე სიტყვებიც“ დააყოლა:

— შეგიძლიათ, ამაზე საშინელი რამ წარმოიდგინოთ? მიმართოთ სამხედრო ძალადობას დედის მიმართ, რომლის შვილი იბრძვის მოკავშირეებთან ერთად თავისი სამშობლოს გასათავისუფლებლად?! განა შეიძლება ამაზე ამაზრზენი საზიზღრობა?!

— მე ბევრი რამის წარმოდგენა შემიძლია, თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითონაც ორი შვილი დავკარგე ამ ომში. — მი-

რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე*

## მიხეილ კვესელავა

# ას ერგასის დღე

**იბეჭდება შემოკლებით**



საკონცენტრაციო ბანაკებში არსებული კრემატორიუმის ღუმლები

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-3 გვერდზე*

უგო კაიტელმა, მაგრამ ბრალმდებელი მაინც ბოლომდე ჩაჰყვა აღძრულ საკითხს:

— ბრალდებულო! — მიმართა მან კაიტელს, — გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს, განსხვავება ჩემსა და თქვენს თვალსაზრისს შორის: დაკარგოთ შვილები ომში — ეს საშინელი ტრაგედიაა, მაგრამ სამხედრო ძალის გამოყენება დედის მიმართ, რომლის შვილი იბრძვის თავისი სამშობლოსათვის მოკავშირეებთან ერთად, — ეს ამაზრზენი საზიზღრობაა. პირველი საშინელი ტრაგედიაა, მეორე — ამაზრზენი საზიზღრობა, სისასტიკის მწვერვალი. ეს სულ სხვადასხვაა.

კაიტელმა ამაზე ვერაფერი უპასუხა, გარდა იმისა, რომ ჩაიბურტყუნა:

— მე ვწუხვარ, რომ ცალკეული ნათესავები გავხადეთ პასუხისმგებელი მათი შვილების დანაშაულზე.

მაინც ასე თქვა, „დანაშაულზეო“! ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა ბრალმდებელს და ასეთი სიტყვებით შეწყვიტა კაიტელის დაკითხვა:

— მე არ მინდა, დრო დავკარგო იმაზე, რომ უფრო ღრმა ანალიზი გავუკეთო თქვენს გამოთქმას — „დანაშაული“, მაგრამ პროტესტს კი ვაცხადებ ამაზე და უარვყოფ!..

## ღირსების საქმე...

კაიტელმა კი თქვა, ყოველივე ამის შედეგი ჩემთვის ცნობილიაო, მაგრამ განა მართლაც ასე ადვილია ამის წარმოდგენა! „უშიშროების რაზმები“, **ზონდერ-აინზატც-ააუსროტტუნგს კომანდოები** თუ ესესელები რომ ვერ „აუთავდნენ საქმეს“, მერე არმიაც დაახმარეს. სარდლობის განკარგულებით ჯარის ნაწილები იგზავნებოდნენ სამხედრო ტყვეების დასახვრეტად, მათი მეთაურები კი გასაოცარი პუნქტუალობით აღრიცხავდნენ მათ მიერ ჩატარებულ „სამუშაოებს“. ზოგი ასეთ დღიურებსაც ადგენდა:

ოთხშაბათი. ასეულმა გამოყო დამსჯელი ჯგუფი 2 ოფიცრისა და 51 ჯარისკაცის შემადგენლობით, რომელიც გაემართა პროსტკაუს სამხედრო ტყვეთა ბანაკში. ჯგუფი ბანაკში გამოცხადდა 7 საათსა და 50 წუთზე. 141 ტყვის დახვრეტა დამთავრებულ იქნა 11 საათსა და 50 წუთზე. ფიშბორნისა და იოჰანესბურგის ბანაკებში 15 საათსა და 30 წუთზე დამატებით დახვრეტილ იქნა კიდევ 51 ტყვე. ჯგუფი ყაზარმებში დაბრუნდა 19 საათსა და 45 წუთზე.

ხუთშაბათი. ასეულმა გამოყო დამსჯელი რაზმი ერთი ოფიცრისა და 50 ჯარისკაცის შემადგენლობით, უფროს ლეიტენანტ მაიერის მეთაურობით. 7 საათსა და 00 წუთზე რაზმი გამოცხადდა ადგილობრივი გესტაპოს განკარგულებაში. დახვრეტილ იქნა 166 ტყვე. დახვრეტა დამთავრდა 9 საათსა და 30 წუთზე...

ასე განაგრძობდნენ დღიდან დღემდე, თანაც სრულიად შეხმატკბილებულად... ჯარის რეგულარული ნაწილები, გესტაპო და ესესი, რაზედაც თვით მათ მიერვე შედგენილი დოკუმენტები მეტყველებენ.

— ყოველგვარი უმნიშვნელო შემთხვევის გამო მცველები ადგილობრივ ხვრეტენ ტყვეებს, — წერს ერთ-ერთი სამხედრო ოლქის ტყვეების განყოფილების უფროსი. — ამგვარად დახვრეტილთა რიცხვი წარმოუდგენლად გაიზარდა, ამიტომ წესად უნდა იქნეს შემოღებული ჯერ კონდახის გამოყენება, მერე — ხიშტის, ბოლოს კი — ცეცხლმსროლელი იარაღისა.

როგორც ჩანს, „ზედმეტი სიმკაცრის“ გამოაშკარავებასაც უფრთხოდნენ. უშიშროების პოლიციის უფროსი წერს:

— სამხედრო ტყვეების ბანაკებში გადაყვანის დროს დიდი ნაწილი გზაში იხოცება შიმშილისა და დაუძლურებისაგან, გერმანელი მოსახლეობისათვის ამის დამალვა შეუძლებელია. ამასთანავე ტყვეების ტრანსპორტირებას ახდენენ არმიელები, მოსახლეობა კი ყოველივე ამას აბრალებს ესესს...

ამით „შეურაცხყოფილმა“ ესესელებმა განკარგულება გასცეს: ავადმყოფ, დასუსტებულ და მომაკვდავ ტყვეებს ნუღარ მოიყვანთ ბანაკებში, ე.ი. ადგილობრივ დახვრიტეთო.

...და ასე მოდის ზღვა დოკუმენტებისა, სადაც აღრიცხულია სამხედრო ტყვეების მასობრივი დახვრეტის შემთხვევები... ვინც ცოცხალი რჩებოდა, „უფასო მუშახელად“ იყენებდნენ სამთო-სამრეწველო და სამხედრო ობიექტებზე. ესეც სასიკვდილო განაჩენს უდრიდა, რადგან საიდუმლო სამხედრო ობიექტების მშენებლობაზე გამწესებულთ ბრძანებასაც მიაყოლებდნენ, იქიდან ცოცხალი არ გაეშვათ არცერთი, რომ ობიექტის საიდუმლოება არ გამჟღავნებულიყო... ამის შედეგია იმ „სამი მილიონ ექვსასი ათასი“ სამხედრო ტყვის დაღუპვა, რაც „მეოცე საუკუნის მითის“ ავტორმაც „გრანდიოზულ ტრაგედიად“ მიიჩნია...

...იოდლს ეს არ მოეწონა. იგი ერთხანს ლაშდაღრენილი უსმენდა, ბრალმდებლები რომ ამ „საშინელ ტრაგედიაზე“ ლაპარაკობდნენ.

— შიმშილი, სიცივე, ეპიდემია მუსრს ავლებდა ათასობით სამხედრო ტყვესო, — გაისმოდა ტრიბუნიდან.

სუსხიან ზამთარში თითქმის შიშველ ტყვეებს 30-40 გრადუსი ყინვის დროს ყოველგვარი თავშესაფრის გარეშე ტოვებდნენ მავთულხლართებით შემოკავებულ მინდვრებზე. მათ არც სასმელს აძლევდნენ და არც საჭმელს. ან სასმელ-საჭმელი რად უნდოდათ, როცა რამდენიმე დღეში იყინებოდნენ. მერე თოვლი ფარავდა მათ სხეულებს. გერმანელები კი საცვლებსაც ხდიდნენ გაყინულ გვამებს და ახალ „ბუნებრივ სასაფლაოზე“ გადადიოდნენ...

მარშის დროსაც ასეთი სურათი იყო. ტყვეებს დაუყოვნებლივ გახდიდნენ ჩექმებს, ფარაჯას, თბილ ტანისამოსს და ისე მიჰყავდათ საშინელ ქარბუქში; მინდორ-ველები მოფენილი იყო მათი გაყინული სხეულებით...

...შემდეგ ტრიბუნალი შეუდგა იმის რკვევას, სად რამდენი დახოცეს ასე, რამდენი გაიყინა და რამდენი მოკვდა შიმშილითა თუ ეპიდემიით?

აქ კი ვეღარ მოითმინა იოდლმა, ფეხზე წამოიჭრა და, რაკი ტრიბუნალისათვის უშუალო მიმართვის უფლება არ ჰქონდა, ჯაჭვით დაბმული ნაგაზივით შეუღრინა თავის დამცველს:

— ეშმაკსაც წაუღიხარ! რატომ არ ადგები და არ ეტყვი მაგათ, რაც ყველამ იცის! ან პროტესტს რატომ არ აცხადებ, როცა ასეთ სულელურ კითხვებს იძლევიან?! რა თქმა უნდა, ათასობით რუსი ტყვე კვდებოდა და იყინებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის დროს. მერე რა? ასევე იყინებოდნენ და იხოცებოდნენ ბრძოლის ველზე ჩვენი ჯარისკაცებიც. მათი გვამებით მოფენილი იყო რუსეთის ველ-მინდვრები! ომი ომია! რატომ მე არ მაძლევენ ასეთ კითხვებს?! აბა, მკითხონ! მე გავცემდი მათ პასუხს!..

სამხედრო პოლიციელებმა ის ძალით დასვეს თავის ადგილას. ლოურენსმა წესრიგისაკენ მოუწოდა გაცოფებულ იოდლს. ის კი საღამოთიც ბორგავდა ციხეში:

— ეს საშინელება იყო, საშინელება! ჩვენ ვიბრძოდით 40 გრადუსი ყინვის დროს, ამათ კი ჩაუყვიათ ცხვირი ქაღალდებში და კითხულობენ, რა ნომერი აქვს ამა და ამ დოკუმენტსო. რატომ იმას არ იკითხავენ, ნაპოლეონი როგორ იხევდა მოსკოვიდან! ჩვენი უკანდახევა უარესი იყო!

გაშმაგებული იოდლის პათეტიკას ციხის ექიმმა ჯილბერტმა გადაასხა ცივი წყალი:

— კი მაგრამ, ვისი ბრალია! რატომ იბრძოდით 40 გრადუს ყინვაში მოსკოვთან?! ბრძანებულიყავით თქვენს თბილ ბერლინში და ის იქნებოდა!..

იოდლი არც ისე ენამოსწრებული იყო, რომ ამაზე პასუხი გაეცა, ხოლო ეშმაკი — საკმაოდ. როცა გაუჭირდებოდა, თავსაც იბრიყვებდა, ამისი არაფერი მესმისო. ისე კი კაიტელივით თავი ღირსეულ ჯარისკაცად მოჰქონდა და, გარდა საკუთარი ღირსებისა, „გერმანული არმიის პრესტიჟის დაცვასაც“ კისრულობდა.

ერთხელ ნიურნბერგში ასეთი დიალოგიც გაიმართა იოდლსა და ამერიკელ ბრალმდებელ რობერტსს შორის:

რობერტსი: ბრალდებულო იოდლ! თქვენ თქვით გუშინ, რომ სულიან-ხორციანად ჯარისკაცი ხართ, სწორია თუ არა ეს?

იოდლი: დიახ, ეს სწორია.

რობერტსი: თქვენ თქვით აგრეთვე, რომ აქ იმისთვის ხართ, რათა დაიცვათ გერმანელი ჯარისკაცის ღირსება. ასეა, არა?

იოდლი: დიახ, და ამას ვახმარ მთელ ჩემს ძალ-ღონეს.

რობერტსი: ძალიან კარგი. მაშასადამე, თქვენ თავი პატიოსან ჯარისკაცად მიგაჩნიათ?

იოდლი: დიახ, რასაც ვაკეთებდი, სრულიად შეგნებულად ვაკეთებდი.

რობერტსი: თქვენ განაცხადეთ აგრეთვე, რომ ხართ მართალი კაცი?

იოდლი: დიახ, მე ასე დავახასიათე ჩემი თავი და ასეთიც ვარ.

რობერტსი: კეთილი. მაშასადამე, თქვენ ამბობთ, რომ თქვენს ღირსებას ჩირქი არა აქვს მოცხებული. ნამდვილია თუ არა, რომ ამ უკანასკნელი ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში, როცა, თქვენივე თქმისამებრ, იძულებული იყავით, ჩაგედინათ სხვადასხვა მოქმედება, თქვენი სიმართლისმოყვარეობა რჩებოდა ისევ იმ მაღალ დონეზე?

იოდლი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ ამის საწინააღმდეგოდ ბრალმდებელი რამე საშინელ მამხილებელ საბუთს დაუდებდა წინ და დუმილით სცადა პასუხის აცილება. ოქმშიც ასე წერია: „იოდლი დუმს“. მაგრამ ბრალმდებელი არ ეშვება:

რობერტსი: შეგიძლიათ თუ არა, უპასუხოთ ჩემს კითხვას?

იოდლი: მე ვფიქრობ, იმდენად ბრიყვი ვარ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია *(დარბაზში სიცილია)*.

როგორ არ შეეძლო, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდა...

პროცესზე ბრალმდებლები ისეთ დოკუმენტებს ადგენდნენ, რომ იოდლს კი არა, გერინგსაც მოუხდა რამდენჯერმე თავის გაბრიყვება, რადგან საქმე საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულ სამხედრო ტყვეებსა და მშვიდობიან მოსახლეობას შეეხო...

## სოდომის დალი

ასეთი ბანაკები გაიხსნა სმოლენსკში, ხარკოვში, კიევში, ლვოვში, პოლტავაში, ნოვგოროდში, ორიოლში, დნეპროპეტროვსკში, ოდესაში, კამენეც-პოდოლსკში, გომელში, ქერჩში, სტალინგრადის ოლქში, კაუნასში, რიგაში და, ვინ იცის, კიდევ სად. მარტო საკონცენტრაციო ბანაკებში კი არა, სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის „ლიკვიდაცია“ ხდებოდა ტყეებში, ჭაობებში, ქალაქების განაპირა უბნებში. მარტო ლისიცკის ტყეში ორასი ათასი კაცი დახვრიტეს. ბაგეროვოსა და ბაბიე იარის ტანსაწინააღმდეგო თხრილები, აგრეთვე ორმოები, ჭები და შახტები ამოვსებული იყო დახოცილთა გვამებით. საკონცენტრაციო ბანაკებში კი ესესელები და გესტაპოელები თანდათან შედიოდნენ მასობრივ მკვლელობათა ეშხში. ჯერ მათ სამხედრო ტყვეებისა და სხვების დადაღვა შემოიღეს. ყველასათვის ხელზე უნდა ამოეშანთათ საკუთარი ნომერი, რაღაც იმის მსგავსი, ბიბლიური ცეცხლის წვიმით რომ დაღავდა სოდომის მცხოვრებთ, თუმცა, უფრო „ფილოსოფიურად მოფიქრებული“. როცა ამის შესახებ როზენბერგს ჰკითხეს, მან პითაგორას სიტყვებით „იხუმრა“:

— არაფერი არ არსებობს თავისი რიცხვის გარეშე...

საკონცენტრაციო ბანაკის ყოველ ტუსაღსაც უნდა ჰქონოდა „თავისი რიცხვი“ ამოშანთული, როგორც სოდომის დაღი. ამით საკონცენტრაციო ბანაკების ადმინისტრაციას უამრავი საზრუნავი გაუჩნდა. ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ საკმაოდ გაწვრთნილები და ეგონათ, რომ დადაღვის დროს ელემენტარული სანიტარიული წესების დაცვა მაინც იყო საჭირო. ეს არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა, თუ გავითვალისწინებთ საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულთა კოლოსალურ რაოდენობას. შემდეგ მათ სპეციალური ინსტრუქციით მოაგონეს, რომ „დადაღვა არ არის სანიტარიული ღონისძიება“. საქმე უცებ გამარტივდა, მაგრამ გზადაგზა ახალი სიძნელეებიც გაჩნდა: პატარა ბავშვებს მრავალნიშნიანი ციფრები არ ეტეოდათ ხელზე. არც ეს დაბრკოლება აღმოჩნდა გადაულახავი. მოვიდა ახალი ინსტრუქცია, რაც საკონცენტრაციო ბანაკების ადმინისტრაციას ნებას რთავდა, ბავშვები სხეულის „სხვა შესაფერის ადგილებზეც“ დაედაღათ.

„ფიზიკური დასჯის ტექნიკაც“ სწრაფად გაუმჯობესდა. ჯერ ყოფილმა მოჭიდავემ რუდოლფ რადკემ თუნუქის მათრახები გააკეთა და ამაში ჯილდოც მიიღო. მერე რომელიღაც ინჟინერმა „ჯოხის დამრტყმელი მანქანა“ გამოიგონა. ისიც დააჯილდოვეს. თან ეკონომიაზეც იზრუნეს და მშენებლობის მინისტრ შპეერის განკარგულებით დეფიციტური რეზინის ჯოხები რკინის ხელკეტებით შეცვალეს...

...ნიურნბერგის პროცესზე ამის თაობაზე, მგონი, ინგლისელმა ბრალმდებელმა შეკითხვა მისცა იმავე შპეერს, რომელიც ბრალდებულთა შორის იყო.

ბრწყინვალე გარეგნობის „ჯენტლმენი“ წამოდგა, ისეთი, ცხვირზე ბუზს არ ისვამსო, რომ იტყვიან. იგი თავისი „რესპექტაბელობის შეურაცხყოფას“ ვერ იტანდა. თავი ისე მოჰქონდა, თითქოს რაღაც გაუგებრობით მოხვდა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიაში, თორემ გამოჩენილ არქიტექტორსა და მშენებელს, აბა, რა საქმე აქვს ამ საშინელებებთან! თითქოს საკონცენტრაციო ბანაკების „გაზკამერები“ და კრემატორიუმები მისი უწყებების აშენებული არ ყოფილიყოს!

ახლაც გულმოსული ადგა, შავი სათვალე მოიძრო და გულუბრყვილოდ იკითხა, რა ბრძანეთო.

— გაეცით თუ არა განკარგულება, რომ საკონცენტრაციო ბანაკებში პოლიციელებისათვის რეზინის ჯოხები რკინის ხელკეტებით შეეცვალათ? — გაუმეორეს მას.

შპეერი უფრო აღელდა, მაგრამ რა ექნა, უკვე გამოცდილებით იცოდა, უარი რომ ეთქვა, წინ მაშინვე მის ბრძანებას დაუდებდნენ, ამიტომ ჩათრევას ჩაყოლა არჩია.

— დიახ, ბატონო პროკურორო, რეზინი დეფიციტური საქონელი გახლდათ, და ვამჯობინეთ, ადვილად მოსაპოვებელი ლითონით — რკინით შეგვეცვალა!

— რეზინისა და რკინის ჯოხის დარტყმებს შორის რომ განსხვავებაა, ეს ხომ გესმით? — ჩაერია დაკითხვაში ტრიბუნალის თავმჯდომარე ლოურენსი.

— დიახ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ასეც იყოს! — ბურტყუნებს შპეერი.

— რომელი უფრო მტკივნეულია? — არ ეშვებიან მას. შპეერი კი ისევ უხერხულად იშმუშნება, არ იცის, თავი სად წაიღოს ან ხელებს რა უქნას, ისეა დაბნეული... ბოლოს მაინც გამოცრა კბილებიდან: ალბათ, რკინის უფრო მტკივნეული იქნებაო... და რომ დაინახა, ჩემმა პასუხმა დარბაზში სიცილი გამოიწვიაო, სასწრაფოდ დაუმატა:

— რკინისა, რა თქმა უნდა!..

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

გენერალისიმუსი
2024 წლის 23 სექტემბერი, №46 (282)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

***წინა კვირას ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი კვლავ გადაურჩა სიკვდილს. ფლორიდაში, გოლფის კლუბთან, საიდუმლო სამსახურმა „კალაშნიკოვის“ ავტომატით შეიარაღებული 58 წლის რაიან უესლი რუთი შენიშნა და სროლა აუტეხა, რის შემდეგაც ის უმალ გაეცალა იქაურობას, თუმცა, პოლიციამ მაინც შეიპყრო.*** *მოგეხსენებათ, პირველად ტრამპს 2024 წლის 13 ივლისს პენსილვანიაში ესროლეს. მაშინ ის ყურში დაიჭრა და სასწაულებრივად გადარჩა, ხოლო ამჯერად საიდუმლო სამსახურმა მასზე შესაძლო თავდასხმის პრევენცია შეძლო.* ***რამ მიიყვანა ამერიკა აქამდე და რას უნდა ველოდოთ ამერიკელებისგან, რომლებმაც წინა კვირას საქართველოს სამოცი მაღალჩინოსანი დაასანქცირეს, ამის შესახებ „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი, ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი გვესაუბრება:***



## დავით ქართველიშვილი:

# ტრამპს მოსაკლავად იმიტომ დასდევენ, რომ ცდილობს, ამერიკა ჭაობიდან და სიბინძურიდან ამოათრიოს!

— 2026 წელს 250 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც 1776 წლის 4 ივლისს **თომას ჯეფერსონის თავისუფლების დეკლარაცია** გამოქვეყნდა და, ფაქტობრივად, ამერიკის შეერთებული შტატები შეიქმნა. საქართველოს, მინიმუმ, 3-ათასწლოვანი ისტორიიდან ჩვენ ხშირად ვიხსენებთ გმირობის მაგალითებს, ტრადიციებს, სასახელო მეფეებს, ბრწყინვალე მხედართმთავრებს... ამერიკელებს ამ 250-წლიანი ისტორიიდან, როგორც ჩანს, ბევრი გასახსენებელი და საამაყო არა აქვთ, მაგრამ მე გავიხსენებ 1861-1865 წლების ამერიკის სამოქალაქო ომის გმირის, **გენერალ შერიდანის** ცნობილ სიტყვებს — **„კარგი ინდიელი მკვდარი ინდიელია!“** სწორედ ამ დევიზით ხდებოდა ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის — ინდიელების მასობრივი განადგურება, რასაც არც ადამიანის უფლებებთან, არც თავისუფლებასთან, არც დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს.

**— ბატონო დავით, დაახლოებით გამოთვლილია, რომ გენერალმა შერიდანმა და მისთანა სოციოპათებმა ამერიკაში, საერთო ჯამში, 30 მილიონზე მეტი ინდიელი გაჟუჟეს!**

— კი ბატონო! **შერიდანის** ამ განცხადებას მოჰყვა ამერიკული ფაშისტური ორგანიზაციის — კუ-კლუქს-კლანის შექმნა თავისი **ლინჩის სასამართლოთი,** რომელიც მერე ჰიტლერმა ევროპაში წამოიღო და დანერგა! რასისტული დამოკიდებულება შავკანიანებისადმი საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ მაღაზიებში — ეს ხომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ ახლახან იყო? აღარაფერს ვამბობ **„მოძრაობა ანტიფაზე“,** რომელსაც შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებში მუხლს უდრეკენ და უჩოქებენ. **როცა რეალურ ამერიკაზე ვსაუბრობთ, ჩვენ სწორედ ამ ტიპის ცივილიზაციასთან გვაქვს საქმე. ეს ის ამერიკაა, რომელმაც ამ ორი წლის წინათ კონგრესის წევრებად მიცვალებულები აირჩია,** რომლებიც არჩევნებს საფოსტო კონვერტებით ატარებენ და უნდობლობას უცხადებენ საქართველოში ამ მიზნით ულტრათანამედროვე აპარატურის გამოყენებას. რაც შეეხება **ტრამპს,** რომელიც მეორეჯერაც გადაურჩა სიკვდილს, **გენერალ შერიდანის** ზემოხსენებული განცხადების პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ — **„ამერიკაში კარგი საპრეზიდენტო კანდიდატი მკვდარი კანდიდატია!“** სხვა რა უნდა დავარქვათ იმას, რაც უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში შეერთებულ შტატებში არაერთგზის მოხდა? **ლინკოლნი** მოკლეს, **კენედების** ოჯახი ამოწყვიტეს, **რეიგანს** ესროლეს და ბეწვზე გადარჩა... მოკლედ,

**ამერიკული დემოკრატიის არსი ასეთია – „მოკალი შენი კონკურენტი და გზა ხსნილი გაქვს უმაღლესი ძალაუფლებისკენ!“ აი, ასეთი ქვეყნისგან მომდინარე ინსტრუქციების ცხოვრებაში გატარება ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენს 30-საუკუნოვან სახელმწიფოებრიობას, ჩვენს ტრადიციებსა და გენეტიკას უნდა მივაფურთხოთ და უარი ვუთხრათ?**






აშშ-ის მოქალაქე რაიან უესლი რუთი, რომელიც დონალდ ტრამპზე შეიარაღებული თავდასხმის მცდელობაშია ეჭვმიტანილი

**— მაინც რატომ დასდევენ დონალდ ტრამპს მოსაკლავად?**

— **ტრამპს მოსაკლავად იმიტომ დასდევენ, რომ ცდილობს, ამერიკა ჭაობიდან და სიბინძურიდან ამოათრიოს!** „ედისონ რისერჩიმ“, „აირაიმ“, „ენდიაიმ“ და სხვა ამერიკულმა ფეიკმკვლევარებმა წლების განმავლობაში იანგარიშეს, იმაიმუნეს და მორიგი სიტუტუცე გამოგვიცხადეს — ქართველების მხოლოდ 15 პროცენტი მიიჩნევს ნომერ პირველ პრიორიტეტად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ხოლო 85 პროცენტი ფიქრობს, რომ ნომერ პირველი ამოცანა ქვეყნის ნატოში გაწევრიანება არისო! ასე შექმნეს **ფეიკი „ქართველი ხალხი“,** რათა არჩევნების შედეგები გააპროტესტონ და ქვეყანა თავდაყირა დააყენონ! ყველაფრიდან ჩანს, რომ ამერიკელები **იან კელისა** და სხვათა მეშვეობით, ღიად გვემუქრებიან ჯოჯოხეთის მოწყობით და გადატრიალებით, თუ ჩვენს სუვერენიტეტზე უარს არ ვიტყვით! ამერიკელებს აქ გენმოდიფიცირებული ქართველების ბიომასა სჭირდებათ, რომელსაც თავში ჩაუკაკუნებენ და უკრაინასავით უკანასკნელ ქართველამდე შეალეწავენ რუსეთს! ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას დანარჩენი მსოფლიო და, მათ შორის, საქართველო და უკრაინა, უნდათ ერთადერთი მიზნისთვის — როგორმე დაასუსტონ რუსეთი და ჩინეთი! აი, ასეთი უმძიმესი გამოწვევების წინაშე ვდგავართ და ასეთი საფრთხეებით ვუახლოვდებით 26 ოქტომბერს. დღეს აღარ არის ვარდისფერი სათვალეებიდან ცქერის დრო!

**— და მაინც, რა იქნება არჩევნების შემდეგ?**

— **ჩემთვის 2024 წლის 26 ოქტომბერი ქართველობის რეფერენდუმია!** მაინტერესებს, 26 ოქტომბერს იხუვლებს თუ არა ჩემი ერი და ჩვენს „დაუძინებელ მეგობრებს“ დავანახვებთ, რამდენი ვართ? თუ ჩვენ ამას შევძლებთ და იმ დღეს სახლში არ დავრჩებით, მაშინ გადავრჩებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გამოვალთ ამ მოჯადოებული წრიდან, ვერ მოვიშორებთ „დამარცხებულის კომპლექსს“ და უფლის მიერ ჩვენ გასაკეთილშობილებლად დაშვებული განსაცდელი, ალბათ, კიდევ გაგრძელდება!

**— ბოლოს და ბოლოს, რა მოხდება, ამერიკაში ტრამპს არჩევნებამდე არ მიუშვებენ?**

— არ ვიცი, მოკლავენ თუ არა ტრამპს, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანის მოსპობის პოლიტიკას მსოფლიოში საზღვარი არა აქვს. აღმოჩნდა, რომ ამ დღეებში ლიბანში ტერაქტები პეიჯერებით მოაწყვეს, რასაც 3 ათასამდე ადამიანი შეეწირა. გავრცელებული ინფორმაციით, ირანის პრეზიდენტი **იბრაჰიმ რაისი,** რომელიც 2024 წლის 19 მაისს 7 უმაღლეს თანამდებობის პირთან ერთად ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად დაიღუპა, სწორედ პეიჯერით სარგებლობდა. პეიჯერის უპირატესობა ერთადერთია — მობილური ტელეფონისგან განსხვავებით, მისი საშუალებით პიროვნების ადგილმდებარეობის განსაზღვრა შეუძლებელია! ასე რომ, ძალიან ძნელი სათქმელია, რა მოეპრიანება მსოფლიოს მმართველ ოლიგარქატს და რა ვერდიქტს გამოუტანენ **დონალდ ტრამპს!** კიდევ ვიმეორებ:

**ამერიკის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქვეყანასთან, სადაც დღიდან მისი შექმნისა, კონკურენტის თავიდან მოშორების საუკეთესო გზად მისი მკვლელობა იყო მიჩნეული!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**მეთიუ მილერი**

*აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერი*

მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნისგან განსხვავებით, **აშშ-ში დემოკრატიულად არჩეული მთავრობა** იღებს ჩვენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და არავინ სხვა.

„აიპრესი“



**ჟოზეპ ბორელი**

*ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში*

მოვუწოდებ საქართველოს, **გაიწვიოს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის“ შესახებ კანონი,** რომელიც ქვეყანას ევროკავშირს კიდევ უფრო აშორებს.

„აიპრესი“



**ირაკლი ქადაგიშვილი**

*პარლამენტარი*

**ომის პარტია** — ნაცმოძრაობა ისევ იმ გმირებს ამოეფარა, რომლებიც მიატოვეს ჯერ ბრძოლის ველზე, შემდეგ **მიცვალებულებისთვისაც ველარ მოიცალეს, გარბოდნენ საზღვარგარეთ.**

„პირველი არხი“



**რიჩარდ იოზვიაკი**

*„რადიო თავისუფლების“ ევროპის ბიუროს რედაქტორი*

არჩევნებამდე **საქართველოსთან ვიზალიბერალიზაციის შეჩერებაზე** არაფერი მსმენია.

„რეზონანსი“



**მიხაელ როთი**

*გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე*

**ანტილგბტ კანონი** და სექსუალური უმცირესობების მიმართ სიძულვილი **დაბრკოლებაა ევროკავშირისკენ საქართველოს გზაზე,** ეს უნდა შეჩერდეს.

„პირველი არხი“



**ნიკოლოზ სამხარაძე**

*პარლამენტარი*

**როთმა შეურაცხყოფა მიაყენა ქართულ ეკლესიას,** ქართველ ხალხს, „ქართულ ოცნებას“ და ქართველ ფეხბურთელებსაც კი, ამ განცხადებების გამო **ბოდიშს ვიდრე არ მოიხდის, არ შევხვდებით.**

„პირველი არხი“

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2024 წლის №30–39



# ლაზარე ჯორბენაძე:

# დანაშაულის შემსრულებელი პროკურორები და მოსამართლეები, რომელთა მეშვეობითაც სააკაშვილმა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს „იმედი“ წაართვა, დღესაც პროკურატურასა და სასამართლოში სხედან!

# ბადრი პატარკაციშვილის

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე ბიძინა ივანიშვილის ბოლოდროინდელ მოწოდებას ეხმიანება, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეს პირადი დაცვის გაძლიერებისკენ მოუწოდებს და ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის სკანდალურ დეტალებს ასაჯაროებს:***

— თავიდანვე ვაცხადებ, რომ საქართველოს ისტორიაში ყველა დროის უდიდეს ქველმოქმედს, ბატონ **ბიძინა ივანიშვილს** პიროვნულად ძალიან დიდ პატივს ვცემ. დღეს ქვეყნის მშვიდობის გარანტი სწორედ ივანიშვილია, მაგრამ მისი მმართველობის შესახებ რაც არ მომწონს, იმასაც ვამბობ! მაგალითად, **არ მომწონს კოჰაბიტაცია, სააკაშვილის დროინდელ ეშმაკებთან და ვირთხებთან ერთად ქვეყნის მართვა და სასამართლოსა და პროკურატურის ნაცჯალათებით გამოტენა...** თუ ვინმე ნაძირალა და სატანა შევარდნაძის სამსახურში იყო, სააკაშვილმა ყველა გადაიბარა და თავის სამსახურში ჩააყენა. საუბედუროდ, იგივე განმეორდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგაც, როცა სააკაშვილის რეჟიმის დამნაშავე პროკურორები, დამნაშავე მოსამართლეები და დამნაშავე სპეცსამსახურები, ამერიკელთა ბრძანებით, ბიძინა ივანიშვილმაც გადმოიბარა. სწორედ ასე გახდა „კუდი“ „სუსი“, თუმცა, ივანიშვილის პირადი დამსახურებაა, რომ ვერც სასამართლოში, ვერც პროკურატურასა და ვერც სპეცსამსახურებში ვერ ბედავენ იმ საზიზღრობების ჩადენას, რასაც სააკაშვილის დროს აკეთებდნენ. არადა, **ხომ გეუბნებით, სისტემა ისევ იმ ნაცჯალათებითა და ვირთხებით არის სავსე.**

ადრეც გითხარით და კიდევ ერთხელ გეუბნებით, ყოფილი მთავარი პროკურორი **არჩილ კბილაშვილი** ჩემი უახლოესი მეგობარია — სტუდქალაქში სამი წლის განმავლობაში ერთ ოთახში ვცხოვრობდით. საჭმელი რომ არ გვქონდა, ხშირად ხახვი და პური ერთად გვიჭამია. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ახალი მოსული იყო, როცა არჩილმა მთავარი პროკურორის მოადგილეობა შემომთავაზა, მაგრამ ამასთან გენერალურ პროკურატურაში მაჩვენა ერთი ოთახი, რომელზეც მითხრა — **აქ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ზის და რასაც გვეტყვის, ისე უნდა მოვიქცეთო!** მაშინვე მივხვდი, რომ საქართველოში არავითარი სამართლიანობა არ აღდგებოდა და სააკაშვილსა და მის ჯალათებს არავინ დასჯიდა. იმის შემდეგ **არჩილ კბილაშვილს** არც შევხვედრივარ.

**სააკაშვილმაც, უგულავამაც, გვარამიამაც, მეზის ქარადავამაც და ბაჩო ახალაიამაც** ხელისუფლებას თავიანთი უტვინობით დააჭერინეს თავი, თორემ არავინ მათ დატუსაღებას არ აპირებდა, რადგან ასეთი იყო შეთანხმება და ამერიკელთა ბრძანება!

**— ახლა ის მითხარით, რა მოგწონთ ამ ხელისუფლების?**

— **მომწონს ბატონი ბიძინას მიერ გორში გაკეთებული განცხადება, რომ ქართველებმა და ოსებმა ერთმანეთს ბოდიში უნდა მოვუხადოთ!** შერიგება და საქართველოს გაერთიანება სხვანაირად არ მოხდება. დიახ,

**ჩვენ ბოდიში უნდა მოვიხადოთ ოსებთან იმის გამო, რაც სააკაშვილის სპეცსამსახურებმა იქ დაატრიალეს! ბოდიში უნდა მოვუხადოთ აფხაზებს, რადგან შევარდნაძის ბანდებმა და განსაკუთრებით „მხედრიონმა“ სოხუმში**

**და და გენოციდი ჰქვია!** ბიძინა ივანიშვილს არსად უთქვამს, ოკუპანტებს უნდა მოვუხადოთ ბოდიშიო! მან თქვა, რომ ოსებმა და ქართველებმა ერთმანეთს უნდა მოვუბოდიშოთო! **ეს არის შერიგების რეალური გზა, სხვანაირად ეს კონფლიქტი არასოდეს დასრულდება და საქართველო, რუსეთის ფაქტორიდან გამომდინარე, ცხინვალისა და აფხაზეთის იარაღის ძალით დაბრუნებას ვერასოდეს შეძლებს!**

ჩვენ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ კრიმინალები, მწამებლები და უბრალო ხალხი. არ შეიძლება ერი და ხალხი იყოს დამნაშავე! აფხაზებიც და ოსებიც ჩვენი ხალხია, ჩვენი მოქალაქეენეთს! ასე შევრიგდებით, სხვა დანარჩენი სააკაშვილისა და მისი ვირთხების მიერ ყურით მოთრეული ინსინუაციებია!

**— მოდით, ახლა ჩვენი ინტერვიუს მთავარ თემაზე ვისაუბროთ! ვინ და რა ვითარებაში მოკლა ბადრი პატარკაციშვილი?**

— **ბადრი პატარკაციშვილმა** 2007 წელს სცადა იმის გაკეთება, რაც 2012 წელს **ბიძინა ივანიშვილმა** წარმატებით განახორციელა და სააკაშვილის რეჟიმი პოლიტიკურ სანაგვეზე გაისტუმრა! **ბადრის შეცდომა ის იყო, რომ მან სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა ამერიკელებთან შეთანხმების გარეშე მოინდომა.** მეორე საბედისწერო შეცდომა — **ბადრიმ დააპირა სააკაშვილის ჯალათებისა და კრიმინალების მიმხრობა და ფულით მოსყიდვა!**



გია დგებუაძე, იგივე „მასტერა“

> **„იმ ნივთიერების შესახებ, რომლითაც ამერიკულმა და ბრიტანულმა სპეცსამსახურებმა ერეკლე კოდუა ლონდონში აღჭურვეს და მერე ბადრის გული გაუჩერეს, დაწვრილებით ინფორმაციას ფლობს „მასტერა“, ანუ იგივე გია დგებუაძე!“**

ბადრის დონის კაცს მსგავსი შეცდომა არ უნდა დაეშვა. სხვათაშორის, ჯვარი სწერია და სულ მეშინია **ბიძინა ივანიშვილის,** რადგან სააკაშვილის ჯალათები და კრიმინალები მის გარშემოც ბლომად არიან, ეს ხალხი კი ღალატში ძალიან გაწაფულია! ბადრი იყო პატრიოტი და ეროვნული კაცი, ქართველი ებრაელი, რომლისთვისაც საქართველო ნამდვილად სამშობლო გახლდათ. რაკი ამერიკელების თანხმობის გარეშე სცადა ამერიკელების მარიონეტისა და მსოფლიო ლგბტ მაფიის მიერ ხელდასხმული სააკაშვილის ჩამოგდება, ამის გამო **პატარკაციშვილი** ამერიკულმა „ცერეუმ“ და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა მოკლეს!

**— როგორ მოკლეს და ვინ მოკლა?**

— **ბადრი პატარკაციშვილი,** როგორც „მილიარდერთა კლუბის“ წევრი, დაცვის განსაკუთრებული პროგრამით სარგებლობდა. მის ინგლისურ სასახლეში ჩიტიც კი ვერ შეფრინდებოდა. **ერთადერთი ძალა, რომელსაც ბადრის სასახლეში შეეძლო სპეცოპერაციის ჩატარება, ამერიკული „ცერეუ“ და ბრიტანული სპეცსამსახური იყო.** სწორედ მათ უზრუნველყვეს **ერეკლე კოდუას** — „სოდის“ უფროსის ვიზიტი მასთან!

**— რატომ მიიღო ბადრიმ კოდუა მას შემდეგ, რაც ვალერი გელბახიანისა და კოდუას შეხვედრის ამბავი გამჟღავნდა?**

— **ერეკლე კოდუა** ამერიკული „ცერეუს“ აგენტია, რომელმაც **ნანუკა ჟორჟოლიანის** შემდეგ ორი თუ სამი ცო-

**აფხაზები პირწმინდად გაძარცვეს და მერე ქართველებს დაერივნენ.**

თავის მხრივ, **რა თქმა უნდა, აფხაზებმაც და ოსებმაც ბოდიში უნდა მოგვიხადონ იმის გამო, რასაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართველთა ეთნოწმენ**ბი არიან და მათი დაბრუნების გარეშე საქართველოს მთლიანობა ვერ აღდგება! იმ აფხაზებსა და ოსებს, რომლებსაც იარაღი არ ეჭირათ ხელში და ასეთი მათი დიდი უმრავლესობაა, ქართველებისთვის არაფერი დაუშავებიათ. ამიტომ ამ ხალხის გაიგივება კრიმინალებთან და მწამებლებთან ყოვლად დაუშვებელია. **აი, ამ ხალხს უნდა ველაპარაკოთ, სწორედ ამ ხალხმა და ქართველებმა უნდა მოუბოდიშონ ერთმა-**

## კვირგვინოსნები



**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*

მკაფიოდ ვხედავ, რომ **ვერც კი მოასწრებენ ეს ოლიმპიური ჩემპიონები ქოცების ზონდერებად გადაქცევას,** მაღალი ალბათობით, ეს ხელისუფლება **ბოლო არჩევნებს** ატარებს ხელისუფლების სტატუსით.

„ახალი თაობა“



**სოსო მანჯავიძე**
*ანალიტიკოსი*

ევროკავშირთან კარგი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს, მაგრამ **მის მონად არ უნდა გადავიქცეთ.** ღიად გვეუბნებიან, **აუცილებლად ლგბტ ფასეულობები უნდა დანერგოთ და პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონი არ მიიღოთო,** თანაც თავიანთ აღიარებულ გეებს გვიგზავნიან. დიახ, ავანსად, გვეუბნებიან — **გაპიდარასტით და მერე ან მიგიღებთ ევროკავშირში ან არა,** მაგრამ ეგ ბედნიერება ხომ შეგრჩებათო.

„საერთო გაზეთი“



**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ დეპუტატი*

ოპოზიცია 4 წელია, **ბოიკოტობანას თამაშობს,** არ იციან, რა არის პარლამენტი, რა უნდა აკეთონ, **სახლში არიან და ისვენებენ.**

„ინტერპრესნიუსი“



**ლაშა ბაქრაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ **თანხები, რომელიც ევროპას საქართველოსთვის აქვს გამოყოფილი,** მივიღოთ.

„ინტერპრესნიუსი“

ლი გამოიცვალა, ევროპაში მეფესავით ცხოვრობს და კაციშვილი ხელს არ კიდებს! როგორ ფიქრობთ, ვინ მფარველობს კოდუას? **ცხადია, მფარველობს ამერიკული „ცერეუ“, იმიტომაც არის ხელშეუხებელი.** ქართული სპეცსამსახურების გასაგონად ვკითხულობ: დალოცვილებო, თუ **დათა ახალაია და ზურაბ ადეიშვილი** არიან ნაცრეჟიმის ჯალათები, **ერეკლე კოდუა** ჯალათი არ არის, კაციშვილი რომ არ ახსენებთ? რა ხდება? ბადრის საბედისწერო შეცდომა იყო **ვალერი გელბახიანი** — სააკაშვილის სპეცსამსახურების აგენტი, რომელმაც ბადრისა და კოდუას შეხვედრა უზრუნველყო! **სწორედ გელბახიანის „რჩევით“ შეხვდა პატარკაციშვილი ერეკლე კოდუას, თორემ სხვანაირად ეს შეხვედრა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხდებოდა.** ლონდონში ჩასულ **კოდუას** ამერი-

## თუ საქართველოს ხელისუფლებას სურს, გაიგოს მაინც რა საშუალებით მოკლეს ბადრი, აალაპარაკოს „მასტერა“, რომელიც ამ საქმეზე თავიდან ბოლომდე ინფორმირებულია!

სხვათაშორის, **„მასტერა“** სააკაშვილის ჯალათებს შორის შედარებით პატიოსანი კაცი იყო და რაღაც ადამიანური მას დარჩენილი ჯერ კიდევ ჰქონდა. ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, „მასტერა“ რომ იგინებოდა და ცხონებული **სერგო თეთრაძის** შესახებ სინანულით ამბობდა — **ამ არაკაცებმა თეთრაძე უზნაძის ქუჩაზე, თავდაცვის სამინისტროს „ოტოს“ შენობიდნენ „მასტერასთან“ ციხეში და იმასაც მოუყვებათ, როგორ მოხვდა კოდუა პატარკაციშვილთან!**

**— ვალერი გელბახიანი სააკაშვილის აგენტი თავიდანვე იყო თუ მერე გადაიბირეს?**

— **ვალერი გელბახიანი** აგენტი კი არა, ცოტა მაღალი დონეა, რადგან პირდაპირ უცხოურ სპეცსამსახურებთან ჰქონდა და აქვს ურთიერთობა. იგივე შემიძლია ვთქვა **გიორგი თარგამაძეზეც,** რომელიც დღეს **კეზერაშვილის ტელევიზიაში** ზის და იქიდან გვმოძღვრავს. **ელისო კილაძე** უბრალო აგენტია, რომელსაც ევალებოდა და ევალება ინფორმაციების მიტან-მოტანა, ყალბი ცნობების გავრცელება და აჟიოტაჟის შექმნა. ელისო კილაძის ქმარი **ხარშილაძე** ნაცების დროს ქუთაისში პოლიციის მაღალჩინოსანი იყო და, როგორ ფიქრობთ, ბადრი პატარკაციშვილის შტაბში სააკაშვილის რეჟიმის დასამხობად დაიწყო მუშაობა? ეს



## „ერთადერთი ქალა, რომელსაც ბადრის სასახლეში შეეძლო სპეც-ოპერაციის ჩატარება, ამერიკული „ცერეუ“ და ბრიტანული სპეც-სამსახური იყო!“

**— თარგამაძეს რა როლი ჰქონდა?**

— აი, მაგალითად, 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილის ჯალათები რომ „იმედში“ შევარდნენ, ამის შესახებ აგენტმა **გიორგი თარგამაძემ** წინასწარ იცოდა და გაფრთხილებულიც იყო, რომ ხელს არ ახლებდნენ. ამიტომაც იჯდა პირდაპირ ეთერში და თამაშობდა „ვაჟკაცობანას“, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, მაგას ცემით მოკლავდნენ! **ბადრი პატარკაციშვილის** ოჯახს მაშინ „იმედი“ არჩადენილი დანაშაულის გამო წაართვეს და ეს ყველაფერი გაამართლებინეს პროკურორ **ნიკა გვარამიას,** რომელსაც ამისთვის პასუხი არ უგია.

**— ამ დანაშაულის შემსრულებელი პროკურორები და მოსამართლეები დღეს სად არიან?**

— **დანაშაულებრივი დავალების შემსრულებელი პროკურორები და მოსამართლეები, რომელთა მეშვეობითაც სააკაშვილმა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს „იმედი“ წაართვა, დღესაც პროკურატურასა და სასამართლოში სხედან!** უფრო მეტიც, **ეს დამნაშავე მოსამართლეები, რომლებმაც უკანონო განაჩენი გამოიტანეს, დააწინაურეს** — ერთი უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლეა, ხოლო ორი — სააპელაციო სასამართლოში გადაიყვანეს!

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, მოგეხსენებათ, „იმედი“ **ბადრი პატარკაციშვილის** ოჯახს უპირობოდ დაუბრუნა, რითიც დადასტურდა, რომ თავის დროზე მისი წართმევით ნაცხროვამ დანაშაული ჩაიდინა. საინტერესოა, ვინ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დანაშაულის გამამართლებელ მოსამართლეებს, გამომძიებლებსა და პროკურორებს არ შეხებოდნენ? აი, ამის გამორკვევაა ძალიან მნიშვნელოვანი!

**— მაინც რატომ შემოვიდა ბადრი პატარკაციშვილი პოლიტიკაში?**

— ბადრი საქართველოს პატრიოტი იყო და სწორად განჭვრიტა, თუ რას უპირებდნენ ეს **ლგბტ ფაშისტები** საქართველოს. აი, ამის აღსაკვეთად და ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად მოდიოდა პოლიტიკაში. ფაქტობრივად, დაამარცხა სააკაშვილი, მაგრამ გამარჯვება ვერ გაიფორმა, რადგან ამერიკელებმა და ევროპელებმა სააკაშვილს 2008 წლის 5 იანვრის გაყალბებული არჩევნები უღიარეს.

ბადრი პატარკაციშვილის მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მაშინდელი სამარცხვინო ოპოზიციაც იყო, რომელიც დაფრთხა — **ნაწილი მიშას პირდაპირ მიეყიდა, ხოლო ნაწილი ფარულად გაურიგდა და ფული აიღო!** აი, მაგალითად, მაშინ, 2008 წელს, ოპოზიცია პარლამენტში რომ არ შევიდა და მანდატები დაჭრა, მთელი ეს ცერემონიალი სააკაშვილთან იყო შეთანხმებული და ამაში სააკაშვილის მიერ დიდძალი ფული იყო გადახდილი. პირდაპირ უნდა ითქვას — მაშინ ოპოზიციამ ბადრი პატარკაციშვილსა და ქართველ ერს უღალატა!

**დასასრულ, ბატონ ბიძინას ვთხოვ, გაიძლიეროს პირადი დაცვა. ხომ ხედავთ, მსოფლიო ისე შეიშალა, ამერიკაში ტრამპს „კალაშნიკოვის“ ავტომატით დასდევენ მოსაკლავად.**

მაქსიმალური სიფრთხილეა საჭირო, რათა ეს რთული პერიოდი გადავლახოთ. მერე ყველაფერი დაწყნარდება, რადგან მსოფლიოში ეს საგიჟეთი და ლგბტ ფაშიზმის დიქტატი დიდხანს ვერ გაგრძელდება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# მკვლელობის სკანდალური დეტალები

კელმა და ბრიტანელმა საიდუმლო აგენტებმა სპეციალური ნივთიერება გადასცეს...

**— მაინც რა ნივთიერება იყო ეს?**

— ზუსტად ვიცი, რომ **კოდუა** ამერიკელებმა და ბრიტანელებმა ბადრისთან მოსაკლავად შეგზავნეს და ოპერაცია წარმატებით ჩაატარეს. მისი შესვლა პატარკაციშვილის სასახლეში და ამ ნივთიერების დაუბრკოლებლად შეტანაც ამერიკულმა „ცერეუმ“ და ბრიტანულმა „ინტელიჯენს სერვისმა“ უზრუნველყო. **ერეკლე კოდუა** გამოიყენეს, როგორც მკვლელობის შემსრულებელი, თორემ ბადრის ლიკვიდაცია ანგლოსაქსებმა — ამერიკელებმა და ბრიტანელებმა ერთად დაგეგმეს! სწორედ ამიტომაა, რომ **პატარკაციშვილის** მკვლელობის გამოძიება ამერიკისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურების ინტერესებში არ შედის.

ბადრის მკვლელობიდან 16 წელია გასული და მთელი ამ ხნის განმავლობაში „სკოტლანდ იარდმა“ მხოლოდ ის გაარკვია, რომ, თურმე, **ბადრი პატარკაციშვილი** გულის შეტევით ყოფილა გარდაცვლილი! მეტი არაფერი გაურკვევიათ და არც არაფერს გაარკვევენ და გამოიძიებენ, რადგან კაცი თვითონ მოკლეს და თავიანთ **ლგბტ აგენტს — სააკაშვილს** მოედანი მოუსუფთავეს!

იმ ნივთიერების შესახებ, რომლითაც ამერიკულმა და ბრიტანულმა სპეცსამსახურებმა **ერეკლე კოდუა** ლონდონში აღჭურვეს და მერე ბადრის გული გაუჩერეს, დაწვრილებით ინფორმაციას ფლობს **„მასტერა“, ანუ იგივე გია დგებუაძე,** რომელიც დღეს პატიმრობაშია. ასე რომ,



ერეკლე კოდუა და ნანუკა ჟორჟოლიანი

ქალი ბადრის შტაბში მიიყვანა სააკაშვილის სპეცსამსახურების აგენტმა **ვალერი გელბახიანმა,** რომელიც დღეს მიშას მზეს იფიცებს. ცხადია, ორივენი მუშაობდნენ სააკაშვილის სასარგებლოდ და ერთმაც და მეორემაც დაკისრებული დავალება ბრწყინვალედ შეასრულა! **გიორგი თარგამაძესაც** ჰქონდა მნიშვნელოვანი როლი **ბადრი პატარკაციშვილის** წინააღმდეგ დაგეგმილ სპეცოპერაციაში.

**ბაში აწამეს და გაგუდეს, ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა წამების დროს იქ იყვნენო!** დიახ, „მასტერა“ ამას განიცდიდა და ამის მომსწრე პირადად ვარ... თუმცა, „მასტერაც“ იმდენად იყო გასვრილი, იმ დამპალი და საშინელი სისტემიდან ვეღარ გამოდიოდა...**მი-**

## „ერეკლე კოდუა ამერიკული „ცერეუს“ აგენტია, რომელმაც ნანუკა ჟორჟოლიანის შემდეგ ორი თუ სამი ცოლი გამოიცვალა, ევროპაში მეფესავით ცხოვრობს და კაციშვილი ხელს არ კიდებს!“



## „ელისო კილაძე ბადრის შტაბში მიიყვანა სააკაშვილის სპეცსამსახურების აგენტმა ვალერი გელბახიანმა, რომელიც დღეს მიშას მზეს იფიცებს!“



## კვირგვინოსნები

**მამუკა გამყრელიძე**
*პოლიტიკოსი*



**ქუჩის აქციები გარდაუვალია.** ასე მარტივად არცერთი მხარე არ დათმობს. ვნახეთ, რომ **დასავლეთიც ძალიან გამწარებულია, ვიგინდარები უწოდეს** და ძალიან ცუდად მოიხსენიეს ეს ხელისუფლება. მოკლედ, **წინ მძიმე და რთული პერიოდი გველოდება.**

„ახალი თაობა“

**პეტრე მამრაძე**
*პოლიტიკოსი*



გერმანიაში არსებულმა **მარშალის ფონდმა** ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია: **თუ „ქართული ოცნება“ თავის ცესკოს პირით მაინც გამოაცხადებს, რომ გაიმარჯვა,** თუნდაც 50 პროცენტზე ოდნავ მეტით, დასავლეთის ლიდერებმა მაშინვე ერთხმად უნდა განაცხადონ — **საქართველოში მასობრივი გაყალბება მოხდაო.**

„საერთო გაზეთი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



თუ ოპოზიცია **არჩევნებს წააგებს,** მერე თავის თავს დააბრალოს. **სალომე ზურაბიშვილი** არასდროს ყოფილა დიდი გამაერთიანებელი.

„ახალი თაობა“

**ნიკა ჩიტაძე**
*ანალიტიკოსი*



კი ბატონო, **რთული სიტუაცია ნაცებში,** რადგან იქ ბევრი სხვადასხვა ჯგუფია, მაგრამ მე არ მგონია, რომ იქ **მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილივით** გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებს.

„რეზონანსი“

# ბესო მიქავა: შევარდნაძეს რომ უნდა დახმარებოდა და მისთვის ბალტინის ფლოტი გაეგზავნა, ბორის ელცინს ამის შესახებ ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა კლინტონმა დაურეკა!



***„იბერიულ-კავკასიური მოძრაობის" თავმჯდომარე და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი ბესო მიქავა ბოლო ხანს სოციალურ ქსელებში გავრცელებულ იმ ვიდეოგანცხადებას ეხმაურება, სადაც შევარდნაძე ამბობს, რომ 1993 წლის შემოდგომაზე საქართველო დაღუპვისგან უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა იხსნა, რომელმაც, თურმე, ედუარდს საშველად სამხედრო ფლოტი გამოუგზავნა. ცხადია, შევარდნაძე საზოგადოებას განგებ აბიაბრუებს და სიმართლეს მალავს, რადგან იმ ფლოტს, რომელმაც ედუარდ ამბროსოვიჩის ხელისუფლება უცილობელი დამხობისგან იხსნა, სინამდვილეში არა უკრაინელი, არამედ რუსი ადმირალი ედუარდ ბალტინი მეთაურობდა! თუმცა, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ უკრაინელებიც რომ მრავლად იბრძოდნენ, ესეც ფაქტია:***

— 1993 წლის 24 სექტემბერს ჩეჩნეთიდან საქართველოში დაბრუნდა დევნილობაში მყოფი **ზვიად გამსახურდია,** რომლის ორგანიზებულმა სამხედრო დანაყოფებმა დაამარცხეს შევარდნაძის ბანდფორმირებები და შეუფერხებლად მიიწევდნენ თბილისისაკენ. **შევარდნაძემ** საშველად რუსეთს მიმართა, სამაგიეროდ კი, **ბორის ელცინს** საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზებისათვის ვადის გახანგრძლივებას დაჰპირდა. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალები **გენერალ ბალტინის** მეთაურობით 1993 წლის ოქტომბერში დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქალაქ ფოთს მოადგა. **ბალტინის** განკარგულებაში იყო 10 კრეისერი და ძერჟინსკის სახელობის საჰაერო დივიზია. ამ უკანასკნელმა თავისი სიმხეცით ძალიან „ისახელა თავი" 1989 წლის 9 აპრილის აქციის დარბევით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რასაც პირადად სახელმწიფო მდივანი **ჯეიმს ბეიკერი** ხელმძღვანელობდა, **შევარდნაძეს** მისცა დიდძალი ფული, რომლითაც მან **ადმირალი ბალტინი** დაიქირავა და რუსის ჯარს საქართველო გადააქელინა.

რუსმა ადმირალმა გაანადგურა ეროვნული ხელისუფლების არმია, ძალაუფლება შეუნარჩუნა **შევარდნაძეს,** ხოლო დამარცხებული **ზვიად გამსახურდია,** რომელიც სამეგრელოს სოფლებსა და ტყეებს



ბორის ელცინი და ბილ კლინტონი



ლეონიდ კრავჩუკი



აფარებდა თავს, 1993 წლის ბოლოს მოკლეს. **შევარდნაძემ** ფოთში **ბალტინის** გემზე ხელი მოაწერა რუსეთის ბაზების საქართველოში ყოფნას 10 წლით, 2003 წლამდე დარჩენას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელსაც ეს შეთანხმება საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებასთან შედარებით ნაკლები ბოროტება ეგონა, ამ შეთანხმებაზე თვალი დახუჭა.

**— შევარდნაძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამ ყველაფერზე სულ სხვაგვარად ლაპარაკობს — 1993 წლის მიწურულს უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა თავისი ფლოტი დაგვახმარაო! მაინც რა მოხდა 1993 წლის შემოდგომაზე?**

— **შევარდნაძე** მთავარს არ ლაპარაკობს! კერძოდ, იმას, რომ **ბალტინი,** რომელმაც მაშინ მისი ხუნტა სამარცხვინო განადგურებისგან იხსნა, იყო არა უკრაინელი, არამედ რუსი და გახლდათ არა **ლეონიდ კრავჩუკის,** არამედ რუსეთის პრეზიდენტის **ბორის ელცინის** ვიცე-ადმირალი!

1993 წლის შემოდგომაზე მოხდა ის, რომ რუსმა ადმირალმა **ედუარდ ბალტინმა,** რომელიც მთელ აფხაზეთსა და სოხუმს ბომბავდა, **ედუარდ შევარდნაძე** სიკვდილს ორჯერ გადაარჩინა. პირველად **შევარდნაძე** 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს გადაარჩინეს რუსებმა, როცა მან **ჟიული შარტავა** სოხუმში განგებ ჩატოვა და მერე აფსუა სეპარატისტებსა და რუს სპეცრაზმელებს მოაკვლევინა, რათა აფხაზეთის დაცემის შესახებ სიმართლე არ ეთქვა. მაშინ სწორედ **ედუარდ ბალტინის** ბრძანებით, **შევარდნაძე** ცეცხლწაკიდებული სოხუმიდან „ზუბრის" საშუალებით გამოიყვანეს, რის შესახებაც **ბალტინი** თავის წიგნში დაწვრილებით წერს, ხოლო მეორეჯერ **ბალტინმა** შევარდნაძე 1993 წლის ოქტომბერ-ნოემბერში იხსნა, როცა მთლიანად დემორალიზებულ და გაკოტრებულ ხუნტის ჯარს, რომელიც პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** ერთგულ გვარდიას ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევდა, სამხედრო კრეისერებით, ტანკებით, ჯავშანმანქანებითა და, რაც ყველაზე მთავარია, ცოცხალი ძალით დაეხმარა.

უფრო მეტიც, უკრაინელი გენერალი **იური ალეროვი,** რომელიც „რუსთავი-2"-ის კორესპონდენტმა 2014 წლის მაიდნის ცნობილი მოვლენების შემდეგ მოინახულა, უკრაინულ სამხედრო ბაზაზე სიამაყით აც-




## კვირგვინოსნები

**რომან ფიფია**
*„დინამო თბილისის" პრეზიდენტი*



რაღაც დონეზე **„დინამოში"** მისია შევასრულე, **ქვეყანას მომავალი გავუზარდე,** თუმცა, ამაზე ნაკლებად საუბრობენ. **წეროებს არ მოუყვანიათ ეს ბავშვები ეროვნულ ნაკრებში,** უმეტესობა **„დინამოს აკადემიის"** აღზრდილია.

„კვირის პალიტრა"

**გრიშა ონიანი**
*საზოგადოება „სტალინის" თავმჯდომარე*



ჩვენმა ფეხბურთელებმა **ალბანელებს რომ მოუგეს,** ეს ამბავი სვანეთში გავიგე და მიხარია. ერთი ეს არ ვიცოდი, **ალბანელები საქართველოს ჭიმნზე რომ სტვენდნენ** და მე გავცემ მაგათ პასუხს, გავახსენებ, რაც გავაკეთეთ ქართველებმა და **სტალინმა** მაგათი ქვეყნისთვის. **ტონობით ქართული სიმინდი და ევკალიპტის ნერგი რომ გავზიდეთ ალბანეთში, ეს არაფერია?** კიდევ სამი ქართველი ვარსკვლავი გავგზავნეთ, რომ კინოგადაღებები დაეწყოთ. **ენვერ ხოჯა** ცოცხალი რომ ყოფილიყო, **ასე უზრდელად ვერ მოიქცეოდნენ.** ენვერ ხოჯა 40 წელიწადს მართავდა ალბანეთს და **სტალინთან** მეგობრობით აყვავა.

„კვირის პალიტრა"

**რამაზ ნოზაძე**
*ყოფილი მოჭიდავე*



როდესაც ყველაზე კარგი დრო მქონდა იმისთვის, რომ გავმხდარიყავი **ლაშა ბექაური, ლაშა ტალახაძე** და ამ გვარებს შორის ყოფილიყო ჩემიც, **ცუდი ინციდენტი მომივიდა.** ამან ჩემს ცხოვრებაზე ძალიან დიდი გავლენა იქონია, ჩემი ფსიქოლოგია შეცვალა და **იმ დროს ჩამოვრჩი მოვლენებს, როცა შემეძლო, ლეგენდა გავმხდარიყავი.** აი, ამაში მივიჩნევ თავს უიღბლოდ.

„თბილისელები"

**მერაბ დვალიშვილი**
*„იუ-ეფ-სი-ის" ჩემპიონი*



შემომხედეთ, **უკვე ჩემპიონი ვარ.** ამავდროულად, **ისევ ის ვარ, მშენებლობაზე რომ მუშაობდა.**

„რეზონანსი"

ხადებდა, რომ მან თავის მებრძოლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო **ზვიად გამსახურდიას** დამხობაში. ამის დამამტკიცებელი ვიდეოკადრები არსებობს... მოკლედ, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფმა **შევარდნაძემ,** როგორც თავად ამბობს, 1993 წელს დახმარებისათვის მიმართა უკრაინის პრეზიდენტ **ლეონიდ კრავჩუკს,** რადგან, თურმე, **ელცინი** მასზე ნაწყენი ყოფილა. ერთი სიტყვით, **შევარდნაძის** მიერ მოთხრობილი ზღაპრის თანახმად, **ელცინის** დასტურის გარეშე, უკრაინის პრეზიდენტმა **კრავჩუკმა** რუსი ადმირალის **ედუარდ ბალტინის** შავი ზღვის ფლოტი გადმოისროლა საქართველოს აკვატორიაში, 1993 წლის 4 ნოემბერს ჩაკეტა როგორც ჩვენი საზღვაო, ისე საჰაერო სივრცე და შევარდნაძეს მიეხმარა **ზვიად გამსახურდიასა** და მისი „ბანდების“ განადგურებაში! აი, ამ სიტუტუცეს მოუთხრობს შევარდნაძე საქართველოს მოსახლეობას და ამ სიტუტუცეს იმეორებს ბევრი ნაცსექტანტი, მათ შორის, უკრაინაში მყოფი **დავით საყვარელიძე!**

**— როგორც ვიცი, შავი ზღვის ფლოტი საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ემორჩილებოდა რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებს...**

— 1998 წლის 12 თებერვალს „ნეზავისიმაია გაზეტას“ 23-ე ნომერში გამოქვეყნდა უაღრესად საინტერესო წერილი, რომლის ავტორიც გახლავთ **ალან კასაევი.** წერილის სათაურია — *„ნავთობის ტერორიზმის ყოვლისშემძლეობა ძალზე გადაჭარბებულია!“* წერილში ბევრ რამეს ფარდა აქვს ახდილი. კერძოდ, როგორც **კასაევი** ირწმუნება, **ზვიად გამსახურდიას** მკვლელობის გარემოება მეტ-ნაკლებად ნათელია. იგი სიცოცხლეს გამოასალმა რუსეთ-უკრაინის შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქვეითი ჯარის სპეციალური დანიშნულების ნაწილმა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1992 წლის 3 აგვისტოდან 1995 წლის 9 ივნისამდე, შავი ზღვის ფლოტი წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის გაერთიანებულ ფლოტს. ამ ფლოტის სრული გაყოფა რუსეთსა და უკრაინას შორის 1997 წლის 28 მაისს მოხდა.

1993 წლის იანვრიდან 1996 წლის იანვრამდე შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ხელმძღვანელობდა რუსეთის პრეზიდენტის **ბორის ელცინისა** და უკრაინის პრეზიდენტის **ლეონიდ კრავჩუკის** მიერ ერთობლივად შერჩეული პირი — **ვიცე-ადმირალი ედუარდ ბალტინი,** რომელმაც 1993 წლის შემოდგომაზე საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში სამხედრო ინტერვენცია განახორციელა. აღნიშნულმა ფლოტმა **ედუარდ ბალტინის** სარდლობით მოახდინა მთელი ქართული სანაპიროს ბლოკირება და დახურულად გამოაცხადა საჰაერო სივრცე. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე დესანტირება მოახდინა შავი ზღვის ფლოტის 810-ე ცალკეული საზღვაო ქვეითი ბრიგადის 888-ე სადაზვერვო ბატალიონმა. ბატალიონს მეთაურობდა მაიორი **ნოვიკოვი** და პოლკოვნიკი **ალექსანდრე ევგენის ძე სმალიაკი.** ეს დესანტი 1993 წლის 4 ნოემბერს გადმოისხა ფოთში.

# „ზვიად გამსახურდია სიცოცხლეს გამოასალმა რუსეთ-უკრაინის შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქვეითი ჯარის სპეცდანიშნულების ნაწილმა!“

**— ვინ დახვდა ბალტინის საზღვაო დესანტს საქართველოში?**

— 1993 წლის 4 ნოემბერს ადმირალ ედუარდ ბალტინის სამხედრო ფლოტს ფოთში **ედუარდ შევარდნაძე,** ფოთის მერი **რომან მელია, ლეონარდო დევდარიანი, ავთანდილ მარგიანი** და ხუნტის ხელისუფლების სხვა წევრები დახვდნენ! რაც ყველაზე მთავარია, **ზვიად გამსახურდიას** კანონიერი ხელისუფლების საბოლოოდ დამხობასა და განადგურებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს უკრაინის ნაციონალური გასამხედროებული ორგანიზაციის — „უნა-უნსოს“ წევრებმა, რომლებიც ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდნენ. მაგალითად, „უნა-უნსოს“ ხელმძღვანელი **კაჩინსკი** ერთ-ერთ ვიდეოში პირდაპირ აცხადებს, რომ ზვიადისტების წინააღმდეგ ის და მისი ხალხი სამეგრელოში იბრძოდნენ. მართალია, „უნა-უნსოს“ ბიჭები აფხაზეთშიც ომობდნენ რუსების წინააღმდეგ, მაგრამ, როცა ბალტინის ავიაციამ სენაკი დაბომბა, ხოლო ათეულობით რუსული ტანკი და ჯავშანმანქანა ჩვენ წინააღმდეგ დაიძრა, სწორედ ამ დროს უკრაინელი **„უნაუნსოელები“ თუ უნამუსოები** რუსებთან ერთად **ზვიად გამსახურდიას** ხელისუფლების სამხედრო ნაწილებს ტყვიას ესროდნენ! უკრაინისა და რუსეთის გაერთიანებულ ჯარს, ანუ ბალტინის არმადას, შავი „ვოლგით“ წინ მოუძღოდნენ **ავთანდილ მარგიანი, ოთარ ფაცაცია და ვახტანგ გოგუაძე!** 1998 წლის 20 ივნისს გაზეთ „ახალ თაობაში“ **ავთანდილ მარგიანმა** ამის შესახებ პირდაპირ განაცხადა.






ედუარდ ბალტინი, რომან მელია, ლეონარდო დევდარიანი, ავთანდილ მარგიანი

**„1993 წლის 4 ნოემბერს ადმირალ ედუარდ ბალტინის სამხედრო ფლოტს ფოთში ედუარდ შევარდნაძე, ფოთის მერი რომან მელია, ლეონარდო დევდარიანი, ავთანდილ მარგიანი და ხუნტის ხელისუფლების სხვა წევრები დახვდნენ!“**



უკრაინელი გენერალი იური ალეროვი

**„უკრაინელი გენერალი იური ალეროვი, რომელიც „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტმა 2014 წლის მაიდნის ცნობილი მოვლენების შემდეგ მოინახულა, უკრაინულ სამხედრო ბაზაზე სიამაყით აცხადებდა, რომ მან თავის მებრძოლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ზვიად გამსახურდიას დამხობაში!“**

**— კიდევ რომელი ცნობილი ადამიანები მონაწილეობდნენ საქართველოში ბალტინის ჯარის შემოყვანის პროცესში?**

— ამ საქმეში ჩართული იყვნენ **ლეონარდო დევდარიანი, ზურაბ წერეთელი, ვალერიან ადვაძე** და სხვები. მოსკოვში, „მზიურში“, სადაც საქართველოს სათვისტომო იყო, საქართველოს მოღალატეებმა და მტრებმა ბალტინის ჯარის შემოსაყვანად შეაგროვეს დიდძალი ფული — 2 მილიარდი რუსული რუბლი, რომელიც გადასცეს **ედუარდ ბალტინს.** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1993 წელს უკრაინამ რუსეთისგან კი არ გვიხსნა და გადაგვარჩინა, როგორც ამის შესახებ **შევარდნაძე** აცხადებს, არამედ რუსულ-უკრაინულმა სამხედრო-საზღვაო ფლოტმა, რომელსაც რუსი ვიცე-ადმირალი **ედუარდ ბალტინი** ხელმძღვანელობდა, გადაარჩინა **შევარდნაძე** და მოკლა ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი. **შევარდნაძის** ლაპარაკიდან რა გამოდის? თურმე, მას უკრაინელების დახმარებით საქართველო რუსებისგან გადაურჩენია! თუ **შევარდნაძე** ასეთი გადამრჩენელი და მესია იყო, მაშინ რატომ დაამხეს? მაგრამ საქართველოში სჯერა ვინმეს, რომ **შევარდნაძე** საააკაშვილმა და მისმა ხროვამ დაამხო? სხვათაშორის, **შევარდნაძეს** რომ უნდა დახმარებოდა და მისთვის ბალტინის ფლოტი გაეგზავნა, ბორის ელცინს ამის შესახებ ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა **ბილ კლინტონმა** დაურეკა!

**— რატომ არ არის ეს სიმართლე დღეს საქვეყნოდ აფიშირებული და მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი?**

— ეს ყველაფერი შენიღბულია იმიტომ, რომ მთელი ეს ისტორია, საბოლოო ჯამში, დაკავშირებულია **ზვიად გამსახურდიას** მკვლელობასთან! როგორც **ზვიად გამსახურდია** გაწირა და რუსეთის პირისპირ დატოვა, სწორედ იმას აკეთებს დღეს დასავლეთი უკრაინაში!

**ზვიად გამსახურდიას მკვლელობას იმიტომ არ იძიებენ, რომ მაშინ შევარდნაძესთან და ბორის ელცინთან ერთად ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტის ბილ კლინტონის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს! გამორიცხულია, შევარდნაძეს ზვიადი კლინტონისა და ელცინის თანხმობის გარეშე მოეკლა!**

ეს არის ერთი უბინძურესი ძალა. საქვეყნოდ ცნობილია, რომ ელცინის მემკვიდრის — **პუტინის** კარზე თავს არაჩვეულებრივად გრძნობს შევარდნაძის შვილიშვილი **სოფიკო შევარდნაძე,** რომელიც პუტინის უახლოესი მეგობარია. სხვათაშორის, ადმირალ **ედუარდ ბალტინს,** რომელიც 1981 წლიდან საბჭოთა კავშირის გმირი იყო, **ზვიად გამსახურდიას** წინააღმდეგ და შევარდნაძის გადასარჩენად ჩატარებული წარმატებული სამხედრო ოპერაციისთვის რუსეთის ხელისუფლებამ ჯერ პირადი იარაღი უსახსოვრა, ხოლო შემდეგ ორდენი გადასცა „საბრძოლო დამსახურებისთვის“.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**მამუკა გიორგაძე**
*პოლიტოლოგი*



დღეს უკვე რეალობაა, როდესაც ფსიქიატრები ერთმანეთს ეუბნებიან, ადრე რა კარგი დრო იყო, მოდიოდნენ **სტალინები, ნაპოლეონები, ჰიტლერები,** ახლა **ვაშლები** და **კარტოფილები** მოდიანო. დაიწია დონემ.

„თბილისელები“

**ვახტანგ მაისაია**
*სამხედრო ანალიტიკოსი*



**ჰარისს ზელენსკისთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა,** მაგრამ ბოლო დროს ვითარება გამოსწორდა. **მან ბაიდენის საგარეო პოლიტიკური კურსი თუ გააგრძელა,** დახმარება გაგრძელდება, **ტრამპი კი ეცდება, მშვიდობის დამცველის როლი გაითამაშოს** და შეიძლება, იარაღის მიწოდება შეუმციროს.

„რეზონანსი“

**სოსო არჩვაძე**
*დემოგრაფი*



**შობადობის მკვეთრი შემცირების მთავარი მიზეზი** ისაა, რომ ფერტილური ასაკის ქალების დიდი წილი, **დაახლოებით 30 პროცენტი, რომლებმაც ბავშვი უნდა გააჩინონ, ემიგრაციაშია.**

„რეზონანსი“

**ელენე ფოჩხუა**
*მომღერალი*



წინ ევროპისკენ, **ჩვენი ღირსებით. ღირსება არ უნდა დავკარგოთ** ქართველებმა.

„TV იმედი“

# რა უნდა იცოდეს ქართველმა

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2024 წლის №29-39*

***1453 წელს ბიზანტიის იმპერიის დაცემისა და, განსაკუთრებით, საქართველოს ერთიანობის დანგრევის შემდეგ ჩვენი სამშობლო უმძიმესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. მართალია, ქართულმა სახელმწიფომ მონღოლთა ბატონობის ოთხმოცწლიანი უღელი გადაიგდო, ხოლო გიორგი ბრწყინვალემ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაწამდე საქართველოს აღდგენა შეძლო, მაგრამ ქვეყანამ ვერ გაუძლო იმ ჩვიდმეტწლოვან სამამულო ომს, რომელსაც 1386-1403 წლებში თემურ-ლენგის შემოსევების დროს აწარმოებდა.***




## საქართველოს ისტორიული ტერიტორიების საერთო ფართობი, რომელიც მიტაცებულია თურქეთის მიერ, შეადგენს 51 700 კვადრატულ კილომეტრს. აქედან მესხეთი მოიცავს 27 115 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო ჭანეთი – 24 585 კვადრატულ კილომეტრს!

შუაზიელი სოციოპათის რვაჯერ ლაშქრობას საქართველოს ერთიანობამ ვეღარ გაუძლო და 1490 წელს ქვეყანა სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ დაიშალა!

საქართველო დღესაც სამ კვაზისახელმწიფოდ არის დაშლილი, მაგრამ მაშინდელი დაშლა ახლანდელ დაშლასთან შედარებით საშიში არ იყო. მაშინ დამოუკიდებელ ქართლშიც, კახეთშიც, იმერეთშიც და სამცხე-საათაბაგოშიც, ყველგან საქართველო იყო. ქუთაისშიც, თბილისშიც, გრემშიც და ახალციხეშიც ქართული ენა ყვაოდა, წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინებოდა, ყველა სამეფო-სამთავროს განაგებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკურად ქართველები — ბაგრატიონები და ჯაყელები. რაც ყველაზე მთავარია — **ეკლესიურად ქართლიც, კახეთიც, იმერეთიც და სამცხე-საათაბაგოც ემორჩილებოდა მხოლოდ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, რომელიც მცხეთაში იჯდა.**

დღევანდელი ვითარება უფრო რთული და სახიფათოა, რადგან მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ნაწვნევი ორი გამანადგურებელი მარცხის შედეგად, რასაც **ზვიად გამსახურდიას** მკვლელობა მოჰყვა, საქართველომ კონტროლი დაკარგა შიდა ქართლსა და აფხაზეთზე, საიდანაც ქართველები, ქართული ენა და ქართული წირვა-ლოცვა გამოდევნილია, ხოლო ხელისუფლებას დაეპატრონნენ არაქართველები — ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთის ნაწილებიდან გადმოსახლებული ადიღეური წარმოშობის აფსუები და ირანული წარმოშობის ოსები.

**მსგავსი პრეცედენტი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს!**

აფხაზეთი ჩვენ ბევრჯერ დაგვიკარგავს და ბევრჯერ დაგვიბრუნებია. იქ ხან ბიზანტიელები ყელყელაობდნენ და ბიჭვინთის ეპისკოპოს **სტრატოფილეს,** რომელიც 325 წელს ნიკეაში გამართულ მსოფლიოს პირველ საეკლესიო კრებას დაესწრო, ბერძნულად აწირვინებდნენ, ხანაც თურქ-ოსმალებს ჰყავდათ თავიანთი გარნიზონები ჩაყენებული, მაგრამ ქართველობას შიდა ქართლზე კონტროლი არასოდეს დაუკარგავს.

ამიტომაც ამ საქმეს სასწრაფოდ და ნებისმიერი საშუალებით სჭირდება შველა, რადგან რუსების მიერ ზურგგამაგრებული აფსუები და ოსები ოკუპირებულ და ქართველობისგან დაცლილ აფხაზეთსა და ცხინვალში იმაზე ბევრად უფრო სწრაფად შლიან ქართველთა კვალს, ვიდრე ამას თურქები ტაო-კლარჯეთში სჩადიოდნენ.

**ბიზანტიის იმპერიის დაცემისა და საქართველოს ერთიანობის მოშლის შემდეგ საქართველოს სამხრეთიდან თურქი ბანდიტები არ ასვენებდნენ, ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან — აფსუა და ადიღეელი მეკობრეები!**

თურქები განსაკუთრებით აგრესიულები გახდნენ მას შემდეგ, რაც 1475 წელს ყირიმის სახანო დაიმორჩილეს და ქვეშევრდომად აქციეს. 1498 წელს, როცა მოხუცი ათაბაგი **ყვარყვარე მეორე ჯაყელი** (1451-1498 წ.წ.) გარდაიცვალა, თურქმა ოკუპანტებმა საქართველოსკენაც მომართეს მზერა. **ყვარყვარე** თურქებს ყელზე ადგათ. მართალია, სამცხის სულაძაღლებული ათაბაგი საქართველოს პოლიტიკური და ეკლესიური ერთიანობის მტერი იყო, მაგრამ თურქებს სისხლს უშრობდა. 1491 წელს მან ერზრუმიც კი აიღო და ქალაქი დახარკა, რითიც კონსტანტინოპოლის დამპყრობ თურქებს თავზარი დასცა...

მოკლედ, თურქებმა ყვარყვარეს გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამხრეთი ზღუდეების მიზანმიმართულად მორღვევა დაიწყეს და ას წელიწადში, ანუ მე-16 საუკუნის ბოლოს, ფაქტობრივად, დაასრულეს ტაო-კლარჯეთად წოდებული უზარმაზარი ტერიტორიის დაპყრობა, სადაც დიდი საქართველოს აკვანი დაირწა.

სწორედ ამიტომ მიუთითებდა **პავლე ინგოროყვა** იმ ფაქტის შესახებ, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების საერთო ფართობი, რომელიც მიტაცებულია თურქეთის მიერ, შეადგენს 51 700 კვადრატულ კილომეტრს. აქედან მესხეთი მოიცავს 27 115 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო ჭანეთი — 24 585 კვადრატულ კილომეტრს! ამოდენა სიდიდის მიწა-წყალი საქართველოსი ოსმალეთის გარდა არცერთ სხვა დამპყრობელს არ მიუსაკუთრებია. ამიტომაც **სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი** სამართლიანად შენიშნავდნენ, რომ *„საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს, თუმცა, თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი!“*

აი, ასეთ უმძიმეს ვითარებაში, როცა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება არ არსებობდა და თურქებთან შეკრული ძაღლთაპირი ათაბაგი, **ყვარყვარე მეორის ვაჟი, მზეჭაბუკ ჯაყელი** (1500-1515 წ.წ.) სამცხე-საათაბაგოს მცხეთისგან მოსაწყვეტად და „ეკლესიური დამოუკიდებლობის“ მოსაპოვებლად იღვწოდა, ჩრდილოკავკასიელმა ბანდიტებმა, განსაკუთრებით ადიღეელმა მეკობრეებმა, რომელთა შორის სწორედ აფსუები და ჩერქეზები სჭარბობდნენ, საქართველოს შავიზღვისპირა ზოლის, მათ შორის, არამარტო აფხაზეთის, არამედ თვით გურიის სოფლების აწიოკება და მოთარეშებაც კი დაიწყეს. მაგალითად, ასეთ თარეშულ თავდასხმებს არაერთხელ ემსხვერპლა როგორც ლანჩხუთი, ისე ჯუმათი და ჩოჩხათი.

მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, აფსუებისა და სხვა ჩრდილოკავკასიელების ლაშქრობებმა საქართველოს ტერიტორიაზე იმდენად მასობრივი და კატასტროფული ხასიათი შეიძინა, რომ იმერეთის ახალგაზრდა და ენერგიული მეფის **ლუარსაბ პირველის** (1527-1556 წ.წ.) სიმამრის **ბაგრატ მესამის** (1510-1565 წ.წ.) თაოსნობით სამეგრელოს მთავარი **მამია მესამე დადიანი** (1512-1533 წ.წ.) და გურიის მთავარი **მამია პირველი გურიელი** (1512-1534 წ.წ.) 1533 წლის იანვარში მეგრელებისა და გურულების გაერთიანებული „ფლოტით“ ჯიქეთის დასალაშქრად დაიძრნენ!

მოგეხსენებათ, ჯიქეთი ორი იყო — ერთი **„აფხაზეთის ჯიქეთი“,** რომელიც კელასურიდან იწყებოდა და კაპოეტის წყლამდე, ანუ მდინარე ბზიფამდე ტერიტორიას მოიცავდა, ხოლო მეორე გახლდათ **საკუთრივ ჯიქეთი,** რომელიც მოიცავდა დღევანდელი სოჭის, ადლერისა და ტუაფსეს რაიონებს. ისიც არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ **ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, აფხაზეთისა და ჯიქეთის საზღვარი ნიკოფსიაზე, ანუ ძველ ლაზიკაზე გადიოდა, სადაც ქრისტეს მოციქული სიმონ კანანელია დასაფლავებული.** კიდევ ერთხელ შეგახსენებთ მრავალგზის ნათქვამს — **ისტორიული ნიკოფსია, ანუ ძველი ლაზიკა დღევანდელი ტუაფსედან ჩრდი-**

## კვირგვინოსნები

**ერეკლე სალლიანი**
*მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი*



ვისურვებდი, რომ **ვალმოხდილი წავიდე ამქვეყნიდან.** მივუახლოვდე იმ ადამიანს, რომელიც ჩემში, **ერეკლე სალლიანში,** უფალმა ჩაიფიქრა.

„თბილისელები“

**ენრიკო ჯანელიძე**
*მომღერალი*



ბევრი ჩემი კოლეგა რამდენჯერმე დაქორწინდა, მე კი **47 წელია, ერთი მეუღლე მყავს.**

„თბილისელები“

**თამარ ალადაშვილი**
*მომღერალი*



ჩემი ქმარი მეუბნებოდა — **გიჟი ხარო!** ათ დღეში რემონტი გავაკეთე ისე, რომ **ჩემი ოთახიდან დამენახა, როგორ სძინავს ბავშვს თავის ოთახში.**

„თბილისელები“

**ანა ჯაფარიძე**
*პარიზში პარალიმპიურ თამაშებში ბრინჯაოს მედლის მფლობელი*



**მარცხენა ხელი 16 წლის ასაკში დავკარგე,** მაგრამ ეს გამოწვევად მივიღე. **ერთი ხელით ვაკეთებ სრულიად ყველაფერს.** ისევ ვცხოვრობ აქტიურად და სავსე ენერგიით, რაც კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რომ **შეზღუდვები მხოლოდ ისაა, რასაც თავად მივიღებთ.**

„სარკე“

**მარიტა როხვაძე**
*მომღერალი*



ჩემს საყვარელ ადამიანს ყველაზე მეტად **ბუნებრივი, უმაკიაჟო და ბავშვური მარიტა** უყვარს. მართლა ბევრის მოთმენა შემიძლია, მაგრამ **ადამიანი თუ სულ მიკიკინებს,** მერე ისეთი ვხდები, რომ საკუთარი თავის მეშინია.

„სარკე“

# აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?



ლევან მეორე დადიანის ფრესკა წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძარში

ლო-დასავლეთით დაახლოებით 47 კილომეტრში, დღევანდელ რუსულ სოფელ ნოვომიხაილოვოს ტერიტორიაზეა იდენტიფიცირებული, ანუ იმ სოფლის იქითაც დიდი საქართველო იყო, რადგან როცა ბაგრატ მესამემ (975-1014 წ.წ.) საქართველო გააერთიანა, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, მისი სამფლობელო შეადგენდა ტერიტორიას „ჯიქეთიდან ვიდრე გურგენამდე“, ანუ დღევანდელი კასპიის ზღვამდე.

მივუბრუნდეთ მეგრელებისა და გურულების ჯიქეთის ლაშქრობის ამბავს!

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, *„დადიანი მამია და გურიელი მამია წარვიდეს ჯიქეთს საბრძოლად ზღუით ნავებითა, და შეიბნეს თუესა იანვარსა ოცდაათსა. პირველსა დღესა ამათ გაემარჯუა“.*

ანუ 1533 წლის 30 იანვარს ჩვენებმა ჩრდილოკავკასიიდან გადმოსახლებულ ბანდიტებზე გაიმარჯვეს და პირველი ბრძოლა ჩვენთვის წარმატებული გამოდგა, მაგრამ მეორე დღეს ქართველთა ლაშქარს თავს უბედურება დაატყდა. კერძოდ, მეგრელებმა საშინელი ღალატი ჩაიდინეს და თავიანთი მთავარი **მამია მესამე დადიანი,** რომელიც გურულების ბანაკში იმყოფებოდა, სამარცხვინოდ მიატოვეს.

ეს ყველაფერი ხდებოდა დღევანდელ **ქალაქ გაგრაში...** ცნობისათვის, **გაგრას** „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ადრე **„გაგარი“** ერქვა, რაც ძველი ქართული სიტყვაა და **„ხეობაში ვიწრო გასასვლელს“** ნიშნავს...

ერთი სიტყვით, გურულები ჩრდილოკავკასიელი მეკობრეებისა და ბანდიტების პირისპირ მარტო დარჩნენ. აფსუებმა და ჯიქებმა გურულებს შეუტიეს... დაღლილი გურულები მძიმე დღეში აღმოჩნდნენ, დაიღუპა **მამია გურიელის ვაჟი გიორგი.** მაშინ მოწინააღმდეგე მხრიდან გამოვიდა ვიღაც აფსუა — **ინალიფა** და გურულებს სიტყვა მისცა: თუ იარაღს დაყრით და ჩაგვბარდებით, არას გავნებთო!

ქართველები **ინალიფას** სიტყვას ენდნენ, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. **გათამაშდა ზუსტად ისეთივე ისტორია, როგორიც აფხაზეთის ომის დროს, 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში და 1993 წლის 27 ივლისს სოჭში ე.წ. შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ ვიხილეთ, როცა რუსეთის მიერ ზურგგამაგრებულმა და გაქეზებულმა აფსუებმა თითოეული „სამშვიდობო შეთანხმება“ ყოველთვის მუხანათურად და უსინდისოდ დაარღვიეს და ყოველი ასეთი „ხელშეკრულება“ ქართველების გენოციდის მოსაწყობად გამოიყენეს.**

მოგეხსენებათ, 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის ე.წ. **„შეთანხმებას“** 1-6 ოქტომბრის **გაგრის ტრაგედია** მოჰყვა, როცა გაგრის სტადიონზე აფსუებმა, კაზაკებმა და ჩრდილოკავკასიელმა „კონფედერატებმა“ მოკლული და ნაწამები ქართველების თავებით ფეხბურთი ითამაშეს, ხოლო 1993 წლის 27 ივლისის სოჭის „შეთანხმების“ შემდეგ ზარბაზნებისა და მძიმე ტექნიკის გარეშე დარჩენილ სოხუმს შემოუტიეს და აფხაზეთში ქართველთა სახსენებელი მოსპეს! მოკლედ, როგორც **შევარდნაძემ და ელცინმა** მოგვაღორეს აფხაზეთის ომის დროს, ზუსტად ისე მოაღორა აფსუა **ინალიფამ** ქართველები 1533 წლის 31 იანვარს გაგრასთან... ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, **გურულებმა მოსისხლე მტრების „კავკასიური სიტყვისა“ ირწმუნეს და იარაღი დაყარეს.**

როგორც კი ეს მოხდა, აფსუებმა და ჯიქებმა მაშინვე გატეხეს ფიცი, სამეგრელოს მთავარი **მამია მესამე დადიანი** გააშიშვლეს და ხანჯლებით აკუწეს, ხოლო **მამია პირველი გურიელი** და გურულების მთელი ჯარი ტყვედ გაყიდეს!

**მამია გურიელი** და გურულ მოლაშქრეთა მცირე ნაწილი აფხაზეთის კათალიკოსმა **მალაქია პირველმა** (აბაშიძე — 1519-1540 წ.წ.) გამოიხსნა, რომელიც პირადად ჩავიდა გაგრაში. **მალაქია პირველმა** აფსუებისა და ჯიქებისგან ასევე გამოისყიდა ბრძოლაში დახოცილი ქართველი მებრძოლების ცხედრები, ხოლო ტყვედ გაყიდულთა დიდ უმრავლესობას არაფერი ეშველა.

„ქართლის ცხოვრება“ ამ საშინელ ტრაგედიას ასე აღწერს: ***„მოეტევნეს ჯიქნი და შეიბნეს: მრავალი დაჴოცეს დადიანმან, გურიელმან და გურიელის ლაშქართა. მოკლეს გურიელის შვილი გიორგი და მისნი აზნაურშვილნი. დაღალულნი ომისაგან შეჩუენებულმან ცანდია ინალდიფითა გაინდვნა, დადიანი გააშიშულეს, სრულიად შიშუელი დაჰრეს. გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ეპისკოპოზნი, და მისნი ლაშქარნი ტყუე ყვეს. წარვიდა მალაქია კათალიკოზი და გამოიჴსნნა ცოცხალნი, და მკუდარნი ფასით იყიდნა“.***

რა ბედი ეწიათ იმ მეგრელ მოლაშქრეებს, რომლებმაც თავიანთი მთავარი **მამია მესამე დადიანი** ბრძოლაში ასე სამარცხვინოდ მიატოვეს და გაგრიდან გამოიქცნენ, ჩვენთვის უცნობია... მაგრამ თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისეთი დესპოტი და ძლიერი მმართველი, როგორიც სამეგრელოს მთავარი **ლევან მეორე დადიანი** (1611-1657 წ.წ.) იყო, 1533 წლის გაგრის ტრაგედიიდან ასი წლის შემდეგაც კი არ გაახარებდა და ცოცხლად გაატყავებდა იმ მოღალატეთა შთამომავლებს, რომლებმაც მამია მესამე დადიანი მაშინ უღვთოდ გაწირეს!

**ე.წ. ცაიშურ გულანში ლევან მეორე დადიანი მოხსენიებულია, როგორც „ყოველთა საქართველოთა პატრონი“, ანუ ერთიანი და დიდი საქართველოს იდეა თვით ლევან მეორე დადიანის გულშიც კი ღვიოდა!**

## რა მოხდა გაგრაში 1533 წელს?



გაგრა. 2018 წელს გადაღებული ფოტო

სხვათაშორის, **ლევან მეორე დადიანმა,** რომელიც ქართული კულტურის უდიდესი მეცენატი იყო, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ვალებისგან გამოიხსნა, „ვეფხისტყაოსანი“ გადააწერინა, მერე **მამუკა თავაქარაშვილს** მოახატვინა და მთელ დასავლეთ საქართველოში ყველა დანგრეული ტაძარი აღადგინა! მრისხანე **ლევანი** დიდ საქართველოზე ოცნებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისს არბევდა და წვავდა და იმერეთის მეფეს 1623 წელს გოჭოურასთან სწორედ აფსუებისა და ჯიქების დახმარებით ამარცხებდა; მიუხედავად იმისა, რომ გაუგონარი ამბავი ჩაიდინა და საკუთარი ბიცოლა — **ნესტან-დარეჯან ჭილაძე** ბიძას წაჰგვარა და ცოლად შეირთო, ე.წ. ცაიშურ გულანში **ლევან მეორე დადიანი** მოხსენიებულია, როგორც **„ყოველთა საქართველოთა პატრონი“,** ანუ ერთიანი და დიდი საქართველოს იდეა თვით **ლევან მეორე დადიანის** გულშიც კი ღვიოდა!

**ლევან მეორისა** და აფსუების ურთიერთობის შესახებ ჩვენ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, მაგრამ 1533 წლის 30 და 31 იანვარს მეგრელებისა და გურულების ჯიქეთს ლაშქრობა და გაგრაში გამართული ბრძოლა იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ უკვე **მე-16 საუკუნის დასაწყისში, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული აფსუა მეკობრეებისა და მათი მოკავშირეების მძლავრობის გამო, იმერეთის დასავლეთ ქართული სახელმწიფო არათუ საკუთრივ ჯიქეთს, არამედ ე.წ. „აფხაზეთის ჯიქეთსაც“ ვეღარ აკონტროლებდა.**

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ალბათ, გასაკვირი სულაც არ არის ის სიტყვები, რომლითაც ინგლისელმა მეცნიერმა და ოფიცერმა, დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიის შესასწავლად საგანგებოდ მოვლინებულმა **ბაჩენ ტელფერმა** 1876 წელს ლონდონში გამოშვებულ თავის წიგნში — **„ყირიმი და ამიერკავკასია“** აფსუები დაახასიათა — **„...აფხაზები მისდევენ ქურდობას, რაც მათი ძველი ჩვეულებაა. ისინი ძველ დროში შავი ზღვის სანაპიროზე საშიში მეკობრეები იყვნენ. აფხაზები ზარმაცი ხალხია, მათი ერთადერთი საქმიანობა მეჯოგეობაა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ტყეები ძალიან მდიდარია!“**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**ალექსანდრე კორსანტია**
*პიანისტი*

მჯერა, **ჩემი შვილის ცხოვრებაში მოვა ის დრო,** როცა იგრძნობს, რომ **საქართველოს გარეშე ვერ იცხოვრებს.**

„სარკე“



**რუსუდან გლურჯიძე**
*კინორეჟისორი*

თავიდან იყო გავრცელებული შეხედულება, რომ **კინო კაცის საქმეა, მაგრამ ახლა სულ პირიქითაა.** მგონი, კაცების დისკრიმინაცია მოვახდინეთ, ისე შევუტიეთ, განსაკუთრებით საქართველოში კინოს ქალებმა.

„სარკე“



**სოფო მეძმარიაშვილი**
*მსახიობი*

ზამთარში დასასვენებლად არასდროს მივდივართ, **დათვებივით სახლში ვართ და სანამ არ გამოვიზამთრებთ,** გარეთ არ გამოვდივართ.

„თბილისელები“



**ლაშა ჯოხაძე**
*დიზაინერი*

**შურისძიება არ მახასიათებს,** თუმცა, შეიძლება, **ერთი სიტყვა გითხრა და ერთით ნული დავასრულო** საუბარი ჩემს სასარგებლოდ.

„თბილისელები“



**ირინა ტორონჯაძე**
*ფემინისტი*

**ბიჭს 20 წლამდე არ შევხვედრივარ.** სკოლა რომ დავამთავრე, რამდენიმე კლასელი ბანკეტზე გავიცანი.

„თბილისელები“



**ლელა მჭედლიძე**
*თბილისის ოპერისა და ბალეტის პირველი მევიოლინე*

თუ სცენაზე ემოციების კონტროლი არ შეგიძლია, ძალიან მძიმე შედეგი შეიძლება დადგეს. **მუსიკა კი არ შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში,** ისეთი განცდა მაქვს, რომ **მე შევედი მუსიკაში.**

„სარკე“

# ბერი ელისე:

# 144 ათას ადამიანს შორის მოხვედრა უნდა იყოს ჩვენი უმთავრესი მიზანი!



**„სიცოცხლეშივე ნეტარები არიან რეჟიმის დროს დალეწილი ის პატიმრები, რომლებმაც ჯვარი არ დათმეს!“**

***„ვერაზე დავიბადე და გავიზარდე. ერისკაცობაში აკაკი ჭოჭუა მერქვა. ისეთი თავხედი გამოვდექი, არასწორ გზაზე სიარულისა და ჩადენილი ურიცხვი ცოდვების მიუხედავად, ცხონება მომინდა! ბედნიერი ვარ, რადგან გადარჩენის გზა დამანახა უფალმა, როცა სულიერი ფერიცვალება განმაცდევინა“, — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი რუის-ურბნისის ეპარქიის მონაზონმა ელისემ:***

— სააკაშვილის რეჟიმის წლებში ციხეში სრულიად უდანაშაულოდ ჩამსვეს და ჩემს განვლილ ცხოვრებაზე სწორედ მაშინ დავფიქრდი. გავიაზრე, რომ ამჯერად მართლაც უდანაშაულოდ ვიყავი დაპატიმრებული, თუმცა, ადრე მრავალი ცოდვა ჩამიდენია და დაუსჯელად გადავრჩენილვარ. ამგვარად, დაპატიმრებით გამოწვეული განსაცდელი უფლის წყალობად და ძველ ცოდვებზე დაფიქრების მოწოდებად მივიჩნიე. აქედან დაიწყო ჩემს სულში ფერიცვალება, რამაც ბერად აღკვეცამდე და საკუთარი თავის უფლისათვის მიძღვნამდე მიმიყვანა.

**— რას ნიშნავს ბერობა? ბერად აღკვეცის დროს რა მიჯნა ჩნდება ადამიანის ძველ და ახალ ცხოვრებას შორის?**

— ბერობა ნებაყოფლობით ციხეში ჩაჯდომას ჰგავს, სადაც ადამიანს ის უფლებები და ნეტარება აქვს აკრძალული, რაც ციხის გარეთ გააჩნდა. ეს რომ გაიაზრო, ჯერ თავისუფლების არსს უნდა ჩასწვდე. თავისუფლება არ გახლავთ **ყველაფრის უფლება,** როგორც თანამედროვე ლიბერალურ საზოგადოებას მიაჩნია. თავისუფლების ნამდვილი შინაარსი მდგომარეობს საკუთარი თავისთვის ისეთი საქციელების აკრძალვაში, რაც სჯულის მიხედვით, უფალს მიუღებლად მიაჩნია და ბოროტისგან მოდის, **ანუ ადამიანი ჭეშმარიტად თავისუფალი მაშინ ხდება, თუ უფლის მიერ განსაზღვრულ ბოროტ საქმეებს გაემიჯნება და უარს იტყვის უფლისგან აკრძალული ხილით ნეტარებაზე.** ამ მდგომარეობასთან შედარებით, ბერობა კიდევ უფრო მაღალი და რთული საფეხურია, როდესაც ადამიანი უფალთან დაახლოების მიზნით ასეთ ნეტარებებზეც კი ნებაყოფლობით უარს ამბობს და მთლიანად უფალს უძღვნის საკუთარ თავს. **უნდა გავიაზროთ, რომ ნებისმიერი განსაცდელი, რომელსაც ვაწყდებით, სინამდვილეში გზის გასწვრივ სპეციალურად ჩვენთვის დადებული ჯებირია, რომელზე მიჯახებაც შესაძლოა, მტკივნეულია, თუმცა, ამგვარად უფალი გვეხმარება, რათა ცხოვრების ყოველდღიურ ლაბირინთებში ცხონების ვიწრო, ერთადერთ სწორ გზას არ ავცდეთ, რომლის მიღმაც წარწყმედა და მარადიული სიკვდილია.**

**— როგორ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისგან სწორი და არასწორი გზა?**

— ადამიანის ამქვეყნად მოვლინების მთავარი მისია გახლავთ **სულის ცხონება,** თუმცა, პლანეტაზე მილიარდობით ადამიანი იბადება, რომელიც გარდაცვალების შემდეგ სასუფეველში ვერ ხვდება. მხოლოდ ძალიან მცირედს ერგება ასეთი ხვედრი. უფალი ყველას მოუწოდებს გადასარჩენად, თუმცა, მათგან მცირედს მიაქვს ეს ხმა გულისყურთან. ადამიანების უმრავლესობას ურჩევნია, თავისუფლების არსი გააყალბოს, რის შედეგადაც ამქვეყნიური სიამეებით, მათ შორის, აკრძალული ნეტარებებითაც დატკბეს; მათთვის უფრო ადვილია, კი არ გაიაზრონ და შემდეგ გადალახონ, არამედ გვერდი აუარონ იმ განსაცდელებს, რომლებსაც სწორი გზის საპოვნელად თავად უფალი უგზავნის, როგორც ცოდვის ჭაობთან გამყოფ ბარიერს!

ადამიანთა უმრავლესობა დაიარება ადვილად ხელმისაწვდომი, უფლის მიერ აკრძალული სიამეებით მოფენილი ფართო გზით, რომელიც ფართო კარიბჭითვე ბოლოვდება, მაგრამ, ვინც იქ შედის, წარწყდება. ადამიანთა უმრავლესობა ზურგს აქცევს ხოლმე გადარჩენის ერთადერთ გზას, რომელსაც უფალი სიყვარულით აჩვენებს და რომელიც უზნეობასთან არის გამიჯნული.

წმინდა წერილი გვაუწყებს, რომ მეორედ მოსვლის ჟამს სულიერად **მხოლოდ 144 ათასი ადამიანი** გადარჩება, რომლებსაც შუბლზე აღბეჭდილი ექნებათ უფლის სახელი: **„და ვიხილე: აჰა, კრავი იდგა სიონის მთაზე და მასთან ას ორმოცდაოთხი ათასი, რომლებსაც ჰქონდათ შუბლზე მისი სახელი და სახელი მისი მამისა“** (გამოცხადება. 14-1). შესაბამისად, ამ **144 ათას ადამიანს** შორის მოხვედრა უნდა იყოს ჩვენი ყოველდღიური საქციელების მიზანი. თუ როგორ უნდა ვიქცეოდეთ, რათა რჩეულთა შორის მოვხვდეთ, წმინდა წერილში მკაფიოდ არის გადმოცემული.




**— ყოველდღიურ ცხოვრებაში რა განსაცდელების გადალახვა სჭირდება ადამიანს, რათა სულის ცხონების ვიწრო გზას არ ასცდეს?**

— სამწუხაროდ, ასეთ წვრილმან განსაცდელთა უმრავლესობას ადამიანი ხშირად ვერ ამჩნევს, რათა მათ ჩაუღრმავდეს და საჭირო დასკვნა გამოიტანოს. იდეალური ვარიანტია, თუ ადამიანი ეკლესიურად იცხოვრებს და თავის რწმენას საქმეებითაც გაამყარებს. არ დაგვავიწყდეს, სასუფეველში ყველაზე ადრე შევიდა უამრავი ცოდვისა და დანაშაულის ჩამდენი **ავაზაკი,** რომელიც უფლის მარჯვნივ ეცვა ჯვარს და მისი ადამიანური ტკივილების სიმწარე გაინაწილა. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ შეიძლება მთელი ცხოვრება იავაზაკო იმის იმედად, რომ სიცოცხლის ბოლო საათში ცხონდები.

როცა იესო ქრისტეს მარჯვნივ და მარცხნივ იმპერიის ჯალათებმა ჯვარზე ორი ავაზაკიც გააკრეს, მარცხნივ მყოფი გმობდა და ეუბნებოდა: **„შენ თუ ხარ ქრისტე, იხსენ თავი შენი და ჩვენცა!“** ხოლო მეორემ, კეთილგონიერმა, რომელშიც სინდისის ხმამ გაიღვიძა, პირველს მიუგო — **„ღმერთის არ გეშინია? ჩვენ სამართლიანად ვისჯებით, ეს კი უდანაშაულოდ იტანჯება ჩვენ გვერდით!“** ხოლო შემდეგ ქრისტეს შეჰღაღადა: **„მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა!“** ამ სიტყვებით მან ღმერთად აღიარა ავაზაკის თანაბრად ჯვარზე სამარცხვინოდ გაკრული და ჯალათებისგან სხვადასხვა ამაზრზენი ფორმით დამცირებული მაცხოვარი! ამიტომაც უპასუხა მას იესომ: **„ამინ გეტყვი შენ! დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში!“** დიახ, ავაზაკმა სიცოცხლის ბოლო მომენტში დაინახა და აღიარა ჭეშმარიტება, სულიერი გადარჩენის ერთადერთი ვიწრო გზა!

**როდესაც დაქერის შემდეგ ციხეში მიმიყვანეს, შევესწარი ასეთ სურათს: ბადრაგი პატიმრისგან მოითხოვს, ჩააბაროს ტანსაცმელი და ხელთ არსებული ყველა ნივთი. პატიმარი ემორჩილება, – „ჯვარიც მოიხსენი!“ – უბრძანებს ბადრაგი თითქმის ბოლომდე განმოსილს, მაგრამ აქ მორჩილი ტუსაღისგან თავზეხელაღებულ წინააღმდეგობას აწყდება. ტუსაღს ლამის სასიკვდილოდ სცემენ, მაგრამ იგი ჯვარს მაინც არ ელევა... აი, ეს არის რწმენა და საქმე ერთად!**

**ქრისტესთვის ასეთი თავდადების გამო ადამიანს ისეთი ცოდვებიც მიეტევება, ჩვენ წარმოდგენაც რომ გაგვიჭირდება!**

უფლის ნება ადამიანებისთვის შეუცნობელია, ადამიანი ხშირად ვერც სწვდება უფლის გადაწყვეტილების ლოგიკას. ერთ წმინდა ბერს უთქვამს — სასუფეველში თუ მოვხვდები, 3 რამ ძალიან გამიკვირდებაო! 1. ის, რომ სასუფეველში ზოგიერთ იმ ადამიანს ვერ დავინახავ, ვინც იქ მეგულებოდაო! 2. მეუცნაურება, რადგან სასუფეველში ზოგ იმნაირს დავინახავ, ვინც, ჩემი აზრით, იქ საერთოდ ვერ უნდა მოხვედრილიყო და 3. ყველაზე მეტად ის გამიკვირდება — ამნაირი ცოდვილი თავად რანაირად მოვხვდი აქაო?!

**— რატომ მიიჩნევა, რომ მატერიალურად შეძლებულებს სასუფეველში შესვლა გაუჭირდებათ?**

— „ღარიბებს დაურიგე მთელი ქონება, მერე მე გამომყევი და, სამოთხეში იქაური განძი დაგხვდება“ — ეუბნება ქრისტე ერთ მდიდარს, რომელსაც აინტერესებს, თუ რა გზით მოხვდება სასუფეველში. იესოს პასუხის შემდეგ მდიდარი უმალ გაეცლება, ვინაიდან თავისი მატერიალური განძი გასაჩუქებლად არ ემეტება... თანამედროვე ცივილიზაცია სხეულისა და სულის უამრავ საცდურს გვთავაზობს, რომელიც, იმავდროულად, უფლის მიერ დადგენილ ცხოვრების წესს გვიცვლის. თანამედროვე ცივილიზაცია მთლიანად მორგებულია სხეულის ნეტარებაზე და სულის მოთხოვნილებების მიმართ წაყრუებაზე. **რა თქმა უნდა, ვერ ცხონდება მილიონობით და მილიარდობით ადამიანი, რომელიც ასეთ გარემოში გარდაიცვლება, მაგრამ კეთილგონიერებს შანსი აქვთ, ამ საცდურ ეპოქაშიც ქრისტეს სარწმუნოების დაცვის და მისთვის სიცოცხლის გაწირვის შედეგად დაიმკვიდრონ მარადიული სიცოცხლე ქრისტეს სასუფეველში.** ტყუილად არ უთქვამს ჩვენს წმინდან მეფეს **ვახტანგ გორგასალს:** „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა!“ ცხონდება ის, ვინც ქრისტეს გამო დაუფიქრებლად გაწირავს ამქვეყნიურ სიცოცხლეს, ვინც უსჯულოებისგან სარწმუნოებისა და სამშობლოს დაცვას შეეწირება. **ამიტომაც სიცოცხლეშივე ნეტარები არიან რეჟიმის დროს დალეწილი ის პატიმრები, რომლებმაც ჯვარი არ დათმეს.**

ყოველი დღე ადამიანისთვის სერიოზული გამოცდაა, რაც მის სულიერ ზრდას ემსახურება. ამიტომაც იგი ნებისმიერ წვრილმან მოვლენას დაფიქრებით უნდა მიუდგეს. ავადმყოფობაც კი სულის განვითარებას ემსახურება, რადგან ფიზიკურად დაუძლურებული ადამიანი უფრო მკვეთრად გრძნობს ღმერთზე დამოკიდებულებას, უფრო სწრაფად მიდის ჭეშმარიტი გზის აღიარებამდე, უფრო გულწრფელად ითხოვს სასოებას.

თუ გვსურს, რომ ვცხონდეთ, უფალი მუდმივად უნდა გვახსოვდეს და ღვთივსათნო საქციელის ჩადენას ვეშურებოდეთ, რადგან ნებისმიერ მომენტში შეიძლება მოგვიხდეს ამქვეყნიდან გასვლა, რასაც მონანიებულნი და ცოდვებისგან განწმენდილნი უნდა შევეგებოთ!

## ბოლოთქმა

მამა **ელისესთან** საუბრისას „ასავალ-დასავალის“ რედაქტორის, პოეტ **ლაშა ნადარეიშვილის** მრავალმნიშვნელოვანი ლექსი სათაურით **„გამოცხადება“** ამეკვიატა:

**და ვიხილე ახალი ცა**
**და ახალი ვნახე მიწა,**
**ზღვა ხმელეთად**
**გადაიქცა,**
**მზის საწოლზე**
**მთვარე მიწვა...**
**გაანათა**
**სიტყვამ უფლის**
**ცოდვა —**
**ვერცხლზე**
**გადაცვლილი,**
**სასთუმალთან დადგა**
**სუფრის**
**ცოცხალი და**
**გარდაცვლილი.**
**უპასუხებ,**
**კართან მდგარი,**
**ვით იცხოვრე**
**აქამომდე? —**
**რომ მიწაზე**
**ერთხელ მკვდარი**
**აწი მაინც**
**აღარ მოკვდე!**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

# ნინო იოსელიანი:

# ფოტოს არსებობა ნიშნავს იმას, რომ იმ კონკრეტულ მომენტს დაივიწყება არ უწერია!


ნინო იოსელიანი ბიძასთან – ოთარ იოსელიანთან ერთად


თურქეთში სალომე ღვინიაშვილთან და ზურა ხიზანიშვილთან ერთად

***მოდის მარკეტოლოგი ნინო იოსელიანი, რომელიც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ცხოვრობდა და დღესაც ხშირად მოგზაურობს, გვიზიარებს საინტერესო ფოტოებს და საკუთარი თავგადასავლებიდან მნიშვნელოვან ეპიზოდებს იხსენებს:***

— ფოტოებს ჩემთვის ძალიან კარგი ემოცია მოაქვს, დახედავ თუ არა, განვლილი ცხოვრება წარმოგიდგება თვალწინ და დროში მოგზაურობას იწყებ. შეიძლება, ფოტომ სევდაც მოგგვაროს, მაგრამ აღბეჭდილი წამი უკვე ისტორიაა და ზუსტად იცი, რომ იმ კონკრეტულ მომენტს დავიწყება არ უწერია.

**— ბავშვობის შთაბეჭდილებიდან, უპირველესად, რა გახსენდებათ?**

— მიყვარდა და დღემდე მიყვარს კარსტული მღვიმეების, კანიონებისა და გამოქვაბულების თვალიერება. **ტომ სოიერი** როცა წავიკითხე, იმ პერიოდიდან გამიჩნდა ინტერესი ბუნების ამ საოცარი ქმნილებების მიმართ. საერთოდ, მიყვარს ექსტრემი, ბუნებაში სიარული, ტყეში მარტოც რომ წავიდე, შიშის განცდა საერთოდ არ მაქვს. როდესაც მამაჩემი აფხაზეთში მუშაობდა **(აფხაზეთის ასსრ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარე. ქ.ხ.)**, **ახალი ათონის მღვიმის** დასათვალიერებლად მივყავდით ხოლმე. პატარა ვიყავი, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს იმ მღვიმის სილამაზე და დღემდე მომყვება შთაბეჭდილება. ძალიან ლამაზია **მარტვილის კანიონი,** რომელიც ჩემს მეგობრებთან ერთად მოვინახულე.

ჟურნალ „ჰელოუს“ ჰქონდა რუბრიკა „მოგზაურობა საქართველოში“, მთელი ჯგუფი წავედით და ფოტოებიც გადავიღეთ. ამერიკაში, არიზონას შტატში, ნანახი მაქვს ულამაზესი **გრანდ კანიონი,** პალმა დე მალიორკაზეც ვარ ნამყოფი დიდ გამოქვაბულში. ესპანეთში, ბარსელონასთან ახლოს, მონსერატის მთაზე, არის ძალიან ლამაზი მღვიმე, ამბობენ, რომ ცნობილმა არქიტექტორმა **ანტონიო გაუდიმ** სწორედ აქ მიღებული შთაბეჭდილებებით შექმნა თავისი დიადი ქმნილებები.

**— მარტვილის კანიონში ნავით სეირნობა საშიში არ იყო?**

— არ გვეშინოდა, თან ცურვაც ვიცი, წყლის თხილამურებზეც ვსრიალებ.

**— ერთი ფოტო ულამაზეს ცხენთან გაქვთ გადაღებული...**

— ეს არის ესპანეთის სამეფო კარის საჯინიბო, სადაც ჰყავთ იბერიული ცხენები. საქართველოშიც უნდა ჩამოეყვანათ ისინი, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მივიდა. საერთოდ, ესპანეთში ცხენის მოვლის დიდი კულტურაა, ახდენენ კლასიფიკაციას და ცხენებს სხვადასხვა საქმისთვის წვრთნიან: შოუსთვის, საპატრულო პოლიციისთვის და ა. შ. სანახაობისთვის გაწვრთნილი იბერიული ცხენები მილიონობით ევრო ღირს.

**— ჯარისკაცებთან ერთად სად ხართ გადაღებული?**

— ამ ფოტოს დიდი ისტორია აქვს. გადაღებული ვარ 2014 წელს ავღანეთში ქართველ ჯარისკაცებთან ერთად. მოგეხსენებათ, საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა არ არის, მაგრამ ჩვენი ჯარის ნაწილები მათ მისიებში იღებდნენ მონაწილეობას. ცნობილ ესპანელ მხატვარს **აუგუსტო ფერერ დალმაუს,** რომელსაც შექმნილი აქვს სამხედრო თემატიკის ნამუშევრები, უნდა დაეხატა ქართველი ჯარისკაცები მისიის დროს. ეს საჭირო იყო ქართული ჯარის პოპულარიზაციისთვის, მე კი ამ პროექტის კურატორი გახლდით. იმ პერიოდში ძალიან სარისკო იყო ავღანეთში ჩასვლა, მაგრამ უკან არ დამიხევია, ორი კვირის მანძილზე მოვიარეთ ავღანეთის სხვადასხვა რაიონი, წიგნიც დაიწერა — **„საქართველო ავღანეთის გულში“.** ნახატებისა და ამ წიგნის პრეზენტაცია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გაიმართა.


ესპანეთის სამეფო სახლის საჯინიბოში

**— ავღანურ პროექტში ერთადერთი ქალი იყავით?**

— პროექტში ერთი ქალი ვიყავი, თუმცა, ავღანეთში მსახურობდნენ სხვა ქალებიც და მე მათთან ერთად მეძინა ბაზაზე — მათი საძინებლები კონტეინერებში იყო განთავსებული. ჩვენს სამხედროებს ძალიან უხაროდათ, რომ მათი საქმიანობის სანახავად ქართველი ქალი ჩავედი. მეგობრული განწყობა იყო, ინტერვიუები ავიღეთ ჯარისკაცებისგან, გენერლებისგან. ის ემოციები არასოდეს განელდება.


ავღანეთში ქართველ ჯარისკაცებთან


მარტვილის კანიონში

**— ფოტოზე თქვენთან ერთად აღბეჭდილი არიან სალომე ღვინიაშვილი და ზურა ხიზანიშვილი, ე.წ. სამზარეულოს ომებში იღებდით მონაწილეობას?**

— ეს იყო თურქეთში, ანტალიაში, სადაც იმართებოდა ქართული კულინარიისა და კულტურის დღეები. საქართველოდან მიწვეულები იყვნენ პროფესიონალი მზარეულები. ვისწავლე თურქული ქაბაბის გაკეთება, ჩვენთან ერთად ფოტოზე სწორედ თურქი შეფმზარეულია გადაღებული. კერძი სალომემაც მოამზადა და „ხიზანამაც“. სახალისო მოგზაურობა იყო, თან გაზაფხული იდგა, ძალიან არ ცხელოდა, იმართებოდა კონცერტები, ღონისძიებები, ძალიან კარგად მახსენდება ის დღეები.

**— ცნობილ წყალბურთელთან ოთარ იოსელიანთან ერთად ხართ გადაღებული...**

— ოთარი ბიძაჩემია, მამაჩემის უმცროსი ძმა. ის იმ თაობას განეკუთვნება, როცა ქართული წყალბურთი წარმატების ზენიტში იყო. მასთან ერთად თამაშობდნენ **სოსო ნიჟარაძე და დათო რურუა.** ოთარი ძალიან ჰგავს მამაჩემს, თავისი ოჯახი არ შეუქმნია, ძმისშვილები ვიყავით მისთვის შვილები, ყოველთვის გვერდით გვედგა და დღემდე ასეა. მასთან ერთად გადაღებული ფოტო ჩემთვის უძვირფასესი საჩუქარია.

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიცაშვილი***

***სახსრების მტანჯველი ტკივილი ბევრი ადამიანის ცხოვრებას რადიკალურად ცვლის და ხშირად პაციენტი ინვალიდობამდეც კი მიჰყავს. ქართველი მეცნიერი, ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი რამდენიმე პრეპარატის კომბინაციით სახსრების მკურნალობის უნიკალურ მეთოდს გვთავაზობს და აცხადებს, რომ საქართველოში, ეგვიპტესა და რომში უხსოვარი დროიდან სახსრებს ჭინჭრით მკურნალობდნენ:***



## კახა საბახტარიშვილი:

# თუ გვინდა, სახსრებს ვუმკურნალოთ, პირველ რიგში, ნაწლავები უნდა მოვიწესრიგოთ!

— საქართველოში, ალბათ, ძნელად მოიძებნება ორმოცდაათ წელს გადაცილებული ადამიანი, რომელსაც სახსრები მეტნაკლებად არ აწუხებს. ეს პრობლემა ადრეულ ასაკშიც გვხვდება, მათ შორის, ბავშვებშიც. **ართრიტი** კრებსითი სიტყვაა, რომელიც 100-ზე მეტს დაავადებას აერთიანებს და სხვადასხვა ორგანოებს აზიანებს, მათ შორის, სახსრებსაც. თუმცა, არსებობს ანთების გარეშე მიმდინარე დაავადება — **ართროზი,** რომელიც თითქმის ყველა ასაკოვან ადამიანს აქვს.

**— მაინც რა განსხვავებაა ართრიტსა და ართროზს შორის?**

— **ართრიტიც და ართროზიც** აზიანებს სახსრებს, იწვევს ტკივილს სახსრის მიდამოში, ზღუდავს მოძრაობას. ართროზი ართრიტისგან განსხვავებით ვითარდება თანდათანობით, ახლავს სახსრის დეფორმაცია და ხრტილების დაშლა-დანგრევა. **ართროზის** მიზეზი შესაძლოა, იყოს გენეტიკა, ტრავმა, ასაკი და სახსრებზე დიდი დატვირთვა. ართროზის დროს მხოლოდ სახსარი ზიანდება და ის არ ეხება არცერთ სხვა ორგანოს. ართროზი პიანისტებისა და სპორტსმენების დაავადებაა. მისი პირველადი სიმპტომებია: სახსარში ტკაცუნი და ხრჭიალი, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სახსრის მოძრაობის შეზღუდვა, იმავე სახსრის ტკივილი დატვირთვისა და მოძრაობის დროს.

**— მაინც რა მოსდის სახსარს ართროზის დროს?**

— როდესაც ორი ძვალი ერთმანეთთან სახსარს ქმნის, იმისათვის, რომ ძვლების თავები ერთმანეთს არ ეხახუნოს, ისინი დაფარულია ხრტილის შედარებით რბილი ქსოვილით, რომელიც ერთგვარი ამორტიზატორის როლს ასრულებს. როცა ასაკის, მძიმე ფიზიკური დატვირთვის ან ტრავმის გამო ხრტილი ზიანდება, რბილი ქსოვილიც გადაგვარდება და იცვლება ძვლოვანი წანაზარდებით. სწორედ ეს იწვევს ტკივილს და მოძრაობის შეზღუდვას. გარდა ამისა, ასაკოვან ადამიანებში ე.წ. სინოვიალური სითხე, რომელიც ერთგვარი საპოხის როლს ასრულებს და ხრტილების ერთმანეთთან ხახუნს უშლის ხელს, დროთა განმავლობაში შრება. **ართრიტი** კი თვისობრივად განსხვავებული დაავადებაა. ის ანთებითი პროცესია, რომელიც სხვადასხვა სახეობის შეიძლება იყოს — **რევმატული, პოდაგრული, რეაქტიული, ინფექციური** და ა.შ. ართრიტის ნიშნებია: სახსრის ან სახსრების მკვეთრი ტკივილი როგორც უძრაობის, ისე მოძრაობის დროს; სახსრის არეში მუდმივი ან პერიოდული შესიება; სახსრის მიდამოში ტემპერატურის მომატების შეგრძნება; სახსართან კანის გაწითლება; დილით შებოჭილობა.

**ართროზისგან** განსხვავებით, **ართრიტი** შესაძლოა, სხვადასხვა ორგანოებსა და სისტემებში გავრცელდეს და დააზიანოს თირკმელი, ღვიძლი, გული, ფილტვი და ა. შ. **პოდაგრა ყველაზე უფრო სახიფათო ართრიტია, რომელიც თირკმელს შეუმჩნევლად აზიანებს და თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, ავადმყოფს შესაძლოა, დიალიზი ან თირკმლის გადანერგვა დასჭირდეს!** წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი დაიღუპება. არანაკლებ დამაზიანებელია **რევმატოიდული ართრიტიც.** უდიდესი იმპრესიონისტი **რენუარი** რევმატოიდული ართრიტით ისე იტანჯებოდა, რომ იძულებული გახდა, ფუნჯი ხელზე მიება და ისე ეხატა! მთელმა მსოფლიომ იცის სამხრეთ აფრიკელი კარდიოქირურგის **ქრისტიან ბერნარის** სახელი, რომელმაც გულის გადანერგვის ოპერაცია პირველმა ჩაატარა. 1986 წელს ეს უდიდესი ექიმი კარიერას შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში დაემშვიდობა, რადგან რევმატოიდულმა ართრიტმა ისე შეაწუხა, რომ მუშაობა ველარ შეძლო. რევმატოიდული ართრიტი ტანჯავდა ამერიკის პრეზიდენტებს — **თომას ჯეფერსონს, ჯეიმს მედისონს, თეოდორ რუზველტს...**

**—ძალიან ბევრი ადამიანი იტანჯება სახსრების ანთებით, რომლებიც, მკურნალობის მიუხედავად, სასურველ შედეგს ვერ აღწევენ. რატომ არის სახსრების ქრონიკული ანთება თითქმის მოურჩენელი?**

— სახსრების ქრონიკული ანთების გამომწვევ მიზეზებს ხშირად არასწორად აფასებენ. მიაჩნიათ, რომ პრობლემა უშუალოდ სახსრებშია. არადა, ბევრ შემთხვევაში სახსრების ანთებითი პროცესების სათავე სხვაგან უნდა ვეძებოთ. რაც გინდა, უცნაურად მოგეჩვენოთ, **სახსრებში მიმდინარე პროცესები დიდად არის დამოკიდებული მსხვილ ნაწლავში შექმნილ მდგომარეობაზე.** კერძოდ, მსხვილ ნაწლავში სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული ანთება პირდაპირ იწვევს სახსრების ანთებას. საქმე ის გახლავთ, რომ მსხვილი ნაწლავის უჯრედები ერთგვარი ბარიერია იმუნური სისტემისთვის, რათა მსხვილ ნაწლავში არ შეაღწიონ საჭმლის დაშლის შედეგად წარმოქმნილმა იმ ნაწილაკებმა, რომელიც ორგანიზმმა შესაძლოა, უცხო და მავნე აგენტად აღიქვას! **თუ მსხვილი ნაწლავის გარსში ერთგვარი ხვრელები ჩნდება, მაშინ აუტოიმუნური პროცესები ვითარდება,** რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი თვითგანადგურებას იწყებს. ეს პროცესი შესაძლოა, ყველა ორგანოში განვითარდეს — ფარისებრ ჯირკვალში, სახსრებში, ფილტვებში და ა.შ. ერთი სიტყვით, თუ გვინდა, სახსრებს ვუმკურნალოთ, პირველ რიგში, ნაწლავები უნდა მოვიწესრიგოთ! **გვახსოვდეს: მსხვილი ნაწლავის ანთება ხშირად სახსრების ანთებას იწვევს!**



„პოდაგრა ყველაზე უფრო სახიფათო ართრიტია, რომელიც თირკმელს შეუმჩნევლად აზიანებს!“



„უდიდესი იმპრესიონისტი რენუარი რევმატოიდული ართრიტით ისე იტანჯებოდა, რომ იძულებული გახდა, ფუნჯი ხელზე მიება და ისე ეხატა!“

**— მაინც რა არის სახსრების ანთების საწინააღმდეგო ყველაზე ძლიერი ბუნებრივი პროდუქტი?**

— ყველამ ვიცით, რომ როგორც მცენარეული, ისე ცხოველური ცილები შედგება ამინომჟავებისგან. ამინომჟავებს შორის გამორჩეულია **გლუტამინი,** რომელსაც უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება გააჩნია. **საქონლის ხორცი გლუტამინის საბადოა, რომელიც მსხვილი ნაწლავის კედლებს უცხო აგენტებისათვის შეუღწევადს ხდის.** ვისაც სახსრები აწუხებს, საქონლის ხორცი ხშირად უნდა მიირთვას!

საერთოდ, გვახსოვდეს, რომ

**ანთების საწინააღმდეგო პროდუქტებს შორის საქონლის ხორცი გამორჩეულად სასარგებლოა, განსაკუთრებით, ცხიმიანი, რაც მეცნიერულად დამტკიცებულია.**

უცხიმო ხორცი, რძე, ყველი, ხაჭო და სხვა პროდუქტები ჯანმრთელობისთვის მავნეა.

სახსრების ანთებისთვის პირდაპირ მისწრებაა **ხაში.** როდესაც ხაში მზადდება, იხარშება ხორცი, სახსარი, ძვლის ტვინი, ხრტილი და მყესი. ხარშვის პროცესის შედეგად **ბულიონში გადადის ორგანიზმისთვის აუცილებელი და ჯანმრთელობისთვის ძალზე სასარგებლო კალციუმი, ფოსფორი და სხვა მიკროელემენტები.** გარდა ამისა, ხორცში შემავალი ცილები იშლება მარტივ ნაწილებად, კერძოდ, ამინომჟავებად, რომელიც ადვილად მოსანელებელია.

მოხარშული ძვლის ტვინიდან ბულიონში გადადის ცხიმში ხსნადი ზოგიერთი ვიტამინიც, რაც მთავარია, ხაში **ამინომჟავა გლუტამინის** საბადოა.

შემჩნეულია, რომ ხაში არამარტო კუჭ-ნაწლავზე მოქმედებს დადებითად, არამედ მის მოყვარულებს სახსრების ანთებაც უამდებათ. გასული საუკუნის 40-იან წლებში ამერიკელი მეცნიერი **როიალ ლი** დაინტერესდა, თუ რატომ ახდენდა საქონლის სახსრებისგან დამზადებული ბულიონი სახსრების ანთებაზე სამკურნალო გავლენას. მან გამოთქვა მოსაზრება, რომლის თანახმადაც საქონლის ხორცის სახსრისგან დამზადებული ბულიონი „ატყუებდა“ ორგანიზმის იმუნურ სისტემას და აუტოიმუნურ, ანუ თვითგანადგურების რეჟიმში გადართული ორგანიზმი სახრების ნაცვლად უტევდა ბულიონში შემავალ სახსრის ნაწილებს. ამის შედეგად ადამიანის სახსრების ანთება ცხრებოდა, სახსარი თავის ფუნქციებს აღიდგენდა და ხდებოდა გამოჯანმრთელება. სხვათაშორის, **როიალ ლის** შთამომავლებმა ამერიკაში კომპანიაც კი დააარსეს და შექმნეს საკვები დანამატები, რომელსაც პროტომორფოგენი უწოდეს. ეს დანამატები წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა აუტოიმუნური ანთებითი პროცესებისა და დაავადებების სამკურნალოდ.

**— სახსრების ტკივილის დროს ბევრი ვიტამინ D3-ს ღებულობს კალციუმთან ერთად. რას იტყვით ამ პრეპარატის შესახებ?**

— D3 ვიტამინს ანთების საწინააღმდეგო უძლიერესი მოქმედება გააჩნია. გარდა ამისა, მას ნაწლავებიდან სისხლში კალციუმი შეაქვს, რომელიც ძვლებისთვის აუცილებელია. თუმცა, მიმაჩნია, რომ მხოლოდ კალციუმისა და D3 ვიტამინის მიღება სახსრების პრობლემას ვერ მოხსნის. უფრო მეტიც, ამ კომბინაციამ შესაძლოა, პაციენტის მდგომარეობა გააუარესოს კიდეც. საკითხავია, ის კალციუმი, რომელიც ვიტამინ D3-ის მეშვეობით სისხლში მოხვდება, წავა კი პირდაპირ ძვლებისკენ? ის შესაძლოა, გაემართოს თირკმლებისკენაც და კენჭად ჩამოყალიბდეს, დაილექოს სისხლძარღვების კედლებზე და ათეროსკლეროზულ ფოლაქად იქცეს და, რაც მთავარია, შესაძლოა, წავიდეს სახსრებში და ანთება კიდევ უფრო გააძლიეროს. ამიტომაც არსებობს K2 ვიტამინი, რომელიც კალციუმს პირდაპირ ძვლებში წაიღებს და გაამაგრებს, ხოლო ზედმეტ კალციუმს სახსრებიდან, სისხლძარღვების კედლებიდან და თირკმლებიდან გამოდევნის. ამიტომ D3 ვიტამინი ასეთი სახით უნდა მივიღოთ — D3 პლუს K2. საბედნიეროდ, ასეთი პრეპარატი ჩვენს აფთიაქებში ყველგან იყიდება.

ჩემს სამედიცინო პრაქტიკაში მოხდა ასეთი შემთხვევა: პაციენტს სულ სხვა პრობლემის მოსაგვარებლად ჰომეოპათიურ პრეპარატებთან ერთად დავუნიშნე ვიტამინი B3 **ნიაცინამიდის** სახით. მას მოეხსნა დაღლა და მოთენთილობა და, როგორც თავად მითხრა, სახსრების ტკივილმაც სერიოზულად უკლო. ამის ახსნა მარტივია — **ნიაცინამიდს** ანთების საწინააღმდეგო უძლიერესი ეფექტი აქვს. ის ხსნის ტკივილებსა და სისუსტეს კუნთებში, აძლიერებს იმუნიტეტს და, რაც მთავარია, ხელს უწყობს კოლაგენის სინთეზს, რომელიც ხრტილისა და ძვლების მთავარი შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, შემუშავებული მაქვს ნიაცინამიდის გამოყენების სქემა, რომელიც სახსრების დაავადების დროს ძალიან ეფექტურია!

**— გამიგია, რომ ძველად საქართველოში სახსრებს ჭინჭრით მკურნალობდნენ! რას იტყვით?**

— ეს სიმართლეა და მეცნიერულად ამის ახსნა ადვილია! ჭინჭრის მსუსხავი ბუსუსები შეიცავს ჭიანჭველმჟავასა და ჰისტამინის ნაერთებს —**სეროტონინს, აცეტილქოლინს** და ა.შ. ყველა ეს ნივთიერება ანთებას აქრობს. ამიტომ, **თუ მტკივნეულ სახსარს ჭინჭრით დავისუსხავთ, ეს მდგომარეობას მნიშვნელოვნად გაგვიუმჯობესებს.** ეფექტი უფრო თვალში საცემი გახდება იმ შემთხვევაში, თუ სახსრებში ხელთათმანების გამოყენებით ჭინჭრის ფოთლებსაც შევიზელთ. ფოთლებში არსებული ქლოროფილი უამრავ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს, რაც ანთებაზე დადებითად იმოქმედებს.

სხვათაშორის, ძველ კარაბადინში უამრავი შემთხვევაა აღწერილი, როცა ტკივილის შესამცირებლად სახსარს ფუტკარს დააკბენინებდნენ ხოლმე, რადგან ჭინჭრის მსგავსად, ფუტკრის შხამიც ჭიანჭველმჟავას შეიცავს!

პოდაგრული ართრიტის მკურნალობისას **„კოლხიკუმ-ჰერბერთან“** ერთად აქტიურად ვიყენებ ჭინჭრისგან ჰომეოპათიური წესით მომზადებულ ბუნებრივ პრეპარატს **„ურტიკა ურენსის“.** ამ ორი პრეპარატის კომბინაციას გასაოცარი შედეგი მოაქვს! ცნობისათვის: სახსრების ჭინჭრით მკურნალობა ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ეგვიპტესა და რომში!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***







„რევმატოიდული ართრიტი ტანჯავდა ამერიკის პრეზიდენტებს – თომას ჯეფერსონს, ჯეიმს მედისონს, თეოდორ რუზველტს!“

***ბიძინა ივანიშვილის მიერ გორში წინასაარჩევნო მიტინგზე ბოდიშის მოხდასთან დაკავშირებულმა განცხადებამ დიდი აჟიოტაჟი და წივილ-კივილი გამოიწვია ოპოზიციაში, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ განცხადების ინტერპრეტირებაში.***





# ნანა კაკაბაძე:

# ხელისუფლებაში არ უნდა მოვუშვათ ადამიანები, რომლებიც ტახტზე აცოცებას ლამობენ ტყუილებისა და საკუთარი გადაფურთხებულის ალოკვის ფასად!

**მოდით, ვნახოთ, რა განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა „ბოდიშთან" დაკავშირებული განცხადების გაკეთებისას და შევაფასოთ ნათქვამის ავ-კარგი:**

*„26 ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე, როდესაც ომის გამჩაღებლები გასამართლდებიან, როდესაც უკლებლივ ყველა დამნაშავე ქართულ-ოსური ძმობისა და თანაცხოვრების დანგრევისთვის უმკაცრეს სამართლებრივ პასუხს მიიღებს, ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა* ***ბოდიში*** *მოვიხადოთ იმის გამო, რომ დავალების შესაბამისად, მოღალატე ნაციონალურმა მოძრაობამ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები. და რადგან ჩვენი, ქართველებისა და ოსების ქრისტიანული რწმენის ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი სწორედ შენდობაა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მტრების მიერ ჩვენი ხალხებისათვის თავსმოხვეული ძმათამკვლელი დაპირისპირება სწორედ რომ ისტორიული ურთიერთპატიებით და გულწრფელი შერიგებით დასრულდება".*

ანუ **„ბოდიში"** უნდა მოვიხადოთ იმის გამო, რომ **დავალების შესაბამისად, მოღალატე ნაციონალურმა მოძრაობამ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები.**

უაღრესად კურიოზული ამ განცხადებაზე რეაგირებაში ის გახლავთ, რომ **ყველაზე მეტად აღშფოთდნენ ის ადამიანები, რომლებმაც 2008 წლის ნოემბერში ევროსაბჭოს იმ რეზოლუციას დაუჭირეს მხარი,** სადაც სხვა სიტყვებით, მაგრამ შინაარსობრივად ეწერა, რომ **„2008 წელს სააკაშვილის ხელისუფლების ინიციატივით დაწყებულმა ცხინვალის დაბომბვამ ცეცხლის ალში გახვია ქართველები და ოსები".**

რაც შეეხება სიტყვა **„ბოდიშს",** ამაზე ყველაზე მეტად ის არასამთავრობო ორგანიზაციები აღშფოთდნენ, რომლებმაც 2007 წლის მარტში თვითონ წამოიწყეს კამპანია **„ბოდიში — ტყვიების ნაცვლად!"**

მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, რის გამოც ეს **„ბოდიშისკენ მოწოდება"** ეხებოდა მხოლოდ ქართველების ურთიერთობას აფხაზებთან.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აფხაზებთან მიმართებაში უფრო რთული იყო თავის დადანაშაულება და **ბოდიშის** მოხდა, რადგან აფხაზებმა არაერთი პროვოკაციული ქმედებით ბევრწილად გამოიწვიეს 90-იანი წლების დასაწყისში ძმათამკვლელი ომი.





როგორც ჩანს, უსინდისობას მართლაც არა აქვს ზღვარი.

2007 წელს უცხოეთის რომელიღაც ფონდიდან დაფინანსებული ამ პროექტის ფარგლებში **უჩა ნანუაშვილის** არასამთავრობო ორგანიზაციით არამხოლოდ ეს კამპანია იქნა აგორებული, არამედ სხვადასხვა არასამთავრობო თუ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით გადავსებული 3-სერიიანი დოკუმენტური ფილმიც იქნა გადაღებული, სადაც არაერთი ადამიანი გამოთქვამდა აზრს, რომ სწორედ ბოდიშის მოხდის აუცილებლობის გაცნობიერება მიგვიყვანს ქართველებსა და აფხაზებს ურთიერთნდობის აღდგენამდე, რაც, თავის მხრივ, შექმნის ქვეყნის გაერთიანების პირობებს.

ასე რომ, **„ბოდიშთან"** დაკავშირებული ოპოზიციის ინტერპრეტაციები კიდევ ერთხელ მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ ხელისუფლებაში არ უნდა მოვუშვათ ადამიანები, რომლებიც ტახტზე აცოცებას ლამობენ ტყუილებისა და საკუთარი გადაფურთხებულის ალოკვის ფასად!

# ბოდიში წამალია!

## კვირგვინოსნები

**არჩილ გორდულაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის პირველი მოადგილე*



ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარების ორად ორი გზა არსებობს: **ერთი არის ომის გზა და მეორე — მშვიდობის, შერიგებისა და ურთიერთპატიების გზა.** ჩვენ ომის გზას ვემიჯნებით, განსხვავებით ნაციონალური მოძრაობისგან.

„იმედინიუსი"

**მაკა ბოჭორიშვილი**
*ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



დღეს ქართული ოპოზიციური ფლანგი სრულად **კოლექტიური ნაცმოძრაობის მიერ არის მონოპოლიზებული,** რომელმაც ქართველ ხალხს რეპრესიული მექანიზმებით მართვით დაამახსოვრა თავი.

„ინტერპრესნიუსი"

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



რეალურად, **სალომე ზურაბიშვილი** არც მიწისაა, არც — ცის. **ეს არის კონსტიტუციის დამრღვევი, ფსევდოპრეზიდენტი,** რომელიც ვადის ამოწურვის შემდეგ შესაძლოა, ძალიან დიდხანს და სამუდამოდაც დაავიწყდეს საზოგადოებას.

„იმედინიუსი"

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



არჩევნების დღესვე, შედეგების გამოცხადებამდე, **ოპოზიცია დაიწყებს რადიკალურ ქმედებებს, შეეცდება ცესკოს შენობის პიკეტირებას,** გარეთ გამოიყვანს საგანგებოდ ამ პროცესისთვის გადამზადებულ ახალგაზრდებს და **დაიწყებს საზოგადოებაში რევოლუციური მუხტის აწევას.**

„იმედინიუსი"



# მიხეილ ცაგარელი:

# „შუა ცა“ ჩვენს პირად ჰოროსკოპში

*პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ რომელ ზოდიაქოს ნიშანში განლაგება მიუთითებს ამ ადამიანის ძლიერ ინტელექტუალობაზე, სოციალურ ინტუიციაზე, ესთეტიკურობაზე? ვის ძალუძს, ნებისმიერ გარემოებას მოერგოს და შეეგუოს ან რა შემთხვევაში აქვს ადამიანს ნიჭი, ნებისმიერი საიდუმლო ამოიცნოს და ფარული საქმე ამოხსნას? ვის არ აშინებს სიმკაცრე, სირთულე და პრობლემები? ვის შეუძლია იდეების გენერალიზაცია, სხვადასხვა აზრისა თუ მეთოდის დაკავშირება და ყოველივე აქედან გამომდინარე, ვის ელოდება წარმატებული საქმიანობა და აღმასვლა პოლიტიკასა თუ დიზაინში, იურისპრუდენციასა თუ მუსიკაში, საშუამავლო საქმესა თუ კრიმინალისტიკაში, პოეზიასა თუ დიპლომატიურ სარბიელზე ანდა პათანატომიაში, ფსიქიატრიასა თუ სექსთერაპიაში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ „შუა ცის“ პირად ჰოროსკოპში ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში განლაგება როგორ განსაზღვრას ადამიანის მოწოდებას, ნიჭს, ინტერესს თუ სოციალურ სახესა და რეპუტაციას საზოგადოებაში. ამ მიმართულებით მისი სასწორში ყოფნა რას განაპირობებს?**

— 7. **პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ სასწორის ზოდიაქოში განლაგების შემთხვევაში, ადამიანი ხასიათდება ძლიერი ინტელექტით, სოციალური ინტუიციით და წინდახედულობით. იგი საკმაოდ გამჭრიახი და მოქნილია, ამიტომ შეუძლია, ნებისმიერ ახალ გარემოებას მარტივად შეეგუოს და მოერგოს.** განსაკუთრებით გრძნობს და აფასებს სილამაზესა და ესთეტიკურობას, ამიტომ სიამოვნებას ანიჭებს ისეთი პროფესია, როგორიც არის **დიზაინერობა, დეკორატორობა, მოდელიორობა, მედიაგართობა.** მას ასევე იზიდავს პოლიტიკა, იურისპრუდენცია და კანონმდებლობა. ძლიერი ინტელექტის და დიპლომატიურობის დახმარებით **იოლად ძალუძს მოლაპარაკებების წარმოება, საშუამავლო ფუნქციის შესრულება და მუშაობა დიპლომატიურ სამსახურში, სასულიერო დაწესებულებებში, სანოტარო სფეროში, სამხატვრო გალერეის ხელმძღვანელად თუ სამთავრობო დეპუტაციაში.** ამგვარი ადამიანი საკმაოდ შემოქმედია, კრეატიულია და უნარი შესწევს, გარშემო მყოფთა ყურადღება მიიქციოს, მას შეუძლია, **წარმატებას მიაღწიოს ხელოვნების ნებისმიერ დარგში, მწერლობაში, პოეზიასა თუ მუსიკაში.**

8. **პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ ღრიანკალის ზოდიაქოში ყოფნა კი ამ ნიშნის წარმომადგენელთა ისეთ დამახასიათებელ თვისებებს, როგორიც არის ნებისმიერ წვრილმან საქმეში ჩაძიება, ნებისმიერი საიდუმლოს ამოცნობა და ფარული საკითხის ამოხსნა, კიდევ უფრო აძლიერებს, ამიტომაც, სასურველია, ამგვარმა ადამიანმა თავისი საქმიანობა დაუკავშიროს გამოძიებას, კვლევებს, მათ შორის, სამეცნიეროს, სამართალდამცავ სტრუქტურებს, დრამატურგიას და სექსთერაპიას.** ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ადამიანი ჭეშმარიტად მებრძოლია. **მას არ აშინებს უხეშობა, სიმკაცრე, სირთულეები და პრობლემები.** საკუთარი თავისა და ღირსების დაცვა შეუძლია, ამიტომ არჩეულ გზას მიზანმიმართულად მიჰყვება და ბოლომდე იხარჯება საკუთარი ადგილის დასაკავებლად. **მას წარმატება ელის ისეთ სფეროებსა და დარგებში, როგორიცაა საგადასახადო სამსახური, პროკურატურა, სამთავრობო სტრუქტურა, კრიმინალისტიკა, ფიზიკა, სამთო-სამშენებლო სფერო, სამედიცინო დარგებიდან — პათოლოგანატომია, ვენეროლოგია, ბინეკოლოგია, უროლოგია, ფსიქიატრია.**

9. **პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ მშვილდოსნის ზოდიაქოში განლაგებისას კი ადამიანს უნარი აქვს, იდეების გენერალიზაცია მოახდინოს და ერთმანეთს დაუკავშიროს სხვადასხვა აზრი თუ მეთოდი,** ამიტომ ამ მიმართულებით საქმიანობის შემთხვევაში, შეუძლია, დიდ წარმატებას მიაღწიოს. ასევე კარგი პედაგოგიური ნიჭი, ფართო სპექტრული ცოდნა, მაღალსულიერი მსოფლმხედველობა, ლიდერის მონაცემი, ორატორობა, მოგზაურობისკენ, ახლის შეცნობისკენ მიდრეკილება განაპირობებს ისეთ პროფესიებში წარმატებას, როგორიცაა **პედაგოგიკა, სასულიერო სფერო, ჟურნალისტიკა, კინოწარმოება, ფოტოგრაფია. ამგვარი ადამიანი ხშირად არის სხვადასხვა დარგში კონსულტანტი, მას, დიდი ერუდიციისა და ინტელექტუროვის მიუხედავად, ძალიან უყვარს სიახლეების შეცნობა-ათვისება,** რის შედეგადაც წლების შემდეგომ დიდი სიბრძნის მატარებელი ხდება. ასევე მას წარმატება ელის ისეთ დარგებში, როგორიცაა **ტურიზმი, ენათმცოდნეობა, მთარგმნელობა, ხის დამუშავება, მენეჯმენტი, დიპლომატია.** ამგვარ ადამიანებს შორის ჭარბობენ **მისიონერები, მოგზაურები, პროპაგანდისტები, კონსულები, რედაქტორები, სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელები, სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლები, პროფესიონალი მსროლელი სპორტსმენები.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 23 - 29 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ამ პერიოდში მეტად ენერგიული და შრომისუნარიანი იქნებით. გაიზრდება ორგანიზებულობა და შემოქმედებითი უნარი. გულღია და მეგობრულ დამოკიდებულებას ადვილად შეუთავსებთ დიპლომატიურობასა და ქედმაღლობას. ხელისუფლების ნებისმიერ წარმომადგენელთან ადვილად იპოვით საერთო ენას და მიაღწევთ საწადელს ნებისმიერ ინსტანციაში. გუნება-განწყობის ცვლილებებისას გააკონტროლეთ საკუთარი ქცევები. მოგზაურობა სასიკეთოდ ჩაივლის.

**კურო** (21.04-20.05)
ეს პერიოდი კარგია მატერიალური საკითხების მოსაგვარებლად, რათა თავი დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნოთ. გაითვალისწინეთ ოჯახისა და პირადი ხარჯი, რათა არ დაგჭირდეთ ფულის სესხება. შესაძლოა, დახმარება დასჭირდეს ახლო ნათესავებსაც. ნუ დაძაბავთ ურთიერთობას კოლეგებთან და საქმიან პარტნიორებთან. აუცილებლად დაუთმეთ დრო დასვენებას და რიგიანად გამოიძინეთ. მაღალია ბავშვის ჩასახვის ალბათობა. ფარული რომანტიკული ურთიერთობა კი დამატებით სირთულეებს შეგიქმნით.

**ტყუპი** (21.05-22.06)
თქვენ მეტად კომუნიკაბელური გახდებით და ეცდებით, უნარები, გამოცდილება და ნიჭი გამოიყენოთ მიზნების მისაღწევად როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ასევე ყოფიერ ცხოვრებაში. კარგი დროა ახალი საქმის დასაწყებად, ახლის ათვისებისა და ცოდნის გაღრმავებისთვის. კარიერის ზრდაში დახმარებას გაგიწევენ მეგობრები და მფარველები. პირად ურთიერთობებში ჯობს, დროულად გაერკვეთ. დასვენებისას მოერიდეთ მძაფრ შეგრძნებებსა და ექსტრემალურ გართობას.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
თქვენი იდეები ფართო გამოხმაურებასა და მოწონებას დაიმსახურებს. ხელმძღვანელი პირები კი დააფასებენ თქვენს ერთგულებასა და ნიჭს. შესაძლოა, მოიპოვოთ პოპულარობა ან აიმაღლოთ ავტორიტეტი, ოღონდ უნდა მოერიდოთ ფულის უყაირათოდ ხარჯვას, იმპულსურად მოქმედებას, აზარტულ თამაშებს, ზღვარგადასულ დროსტარებას, უკანონო მოქმედებებსა და გაუაზრებელ რისკს. მოგზაურობა და დასვენება კი დადებითად იმოქმედებს როგორც ჯანმრთელობაზე, ისე სულიერ მდგომარეობაზე.

**ლომი** (23.07-23.08)
კარგი დროა ახალი ნაცნობობისთვის, ახალი საქმიანობისთვის, ახალი იდეების განხილვისა და ხორცშესხმისთვის. ორაზროვან სიტუაციებში სასურველია, არ აჩქარდეთ და არ იყოთ ზედმეტად თავდაჯერებული. აუცილებლობის შემთხვევაში კონსულტაციისთვის მიმართეთ გამოცდილ ადამიანებს. არაა გამორიცხული ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, მსხვილი შენაძენები. სასიკეთოდ ჩაივლის მივლინებები და მოგზაურობა. თავისუფალი დრო კი ჯობს, დაუთმოთ დასვენებას.

**ქალწული** (24.08-23.09)
საქმეში მოერიდეთ სხვისი ფულის გამოყენებასა და კრედიტების აღებას. მეტი დრო დაუთმეთ ურთიერთობებსა და ახალი ინფორმაციის მიღებას. კარგია კვალიფიკაციის ამაღლებაც. სასიყვარულო ურთიერთობაში შეიძლება გაგიცრუვდეთ იმედები, მაგრამ ამას არავის გაუმხელთ და შეეცდებით, არავინ შენიშნოს თქვენი განცდა. შესაძლოა, ბავშვების ურთიერთობების საკითხების მოგვარებაც დაგჭირდეთ. შორეული მოგზაურობა არამარტო დასვენების საშუალება იქნება, არამედ ახალი და სასიკეთო ნაცნობობისაც.

## 23 - 29 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ საზოგადოებაში, ხალხთან ურთიერთობაში. ამ პერიოდში დაგჭირდებათ სამუშაო, რომელიც არ მოითხოვს მკაცრ გრაფიკსა და დისციპლინას, რადგან მეტად შემოქმედებით და ამაღლებულ განწყობაზე იქნებით. კარგი დროა ახალი პროექტების დასაწყებად, რადგან ადვილად მოაგვარებთ როგორც მსხვილ, ისე წვრილმან პრობლემებს. გადაამოწმეთ საბუთებიც, რათა არ გაგეპაროთ შეცდომები. პირად ცხოვრებაში ერთფეროვნება შესაძლოა, დამღლელი მოგეჩვენოთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
განწყობას გაგიხალისებთ მეგობრებთან ურთიერთობა და ქათინაურები. პირად ურთიერთობებსა და ბიზნესში ნუ დაკარგავთ სიფრთხილეს და უსმინეთ ინტუიციას. კარგი დროა ახალი საქმის დაწყებისა და გეგმაზომიერი მოქმედებებისთვის, ასევე კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინფორმაციის დაგროვებისთვისაც. დაღლილობის შემთხვევაში ეცადეთ, რიგიანად დაისვენოთ. სასიყვარულო ურთიერთობებში გაუგებრობა კი ჯობს, დამოუკიდებლად გაარკვიოთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
წარმატება გელით არაერთ სფეროსა თუ საქმეში. მეტ მნიშვნელობას ამ პერიოდში თქვენთვის შეიძენს პირადი მიღწევები, მათი წარმოჩენა და აღიარების მოპოვება. ვალდებულების გრძნობა, მიზანდასახულობა და ქცევის ნორმების დაცვა დაგეხმარებათ წარუმატებლობის შიშის დაძლევაში და დამოუკიდებლად მოქმედებისკენ გიბიძგებთ. მოქმედება გაგიადვილდებათ, თუ ინტუიციურად იგრძნობთ სხვა ადამიანების შესაძლებლობებს და გამოიყენებთ თქვენს საქმეში.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ადრე დაგეგმილი, კარგად გააზრებული და ახლა დაწყებული ახალი საქმე მომგებიანი და წარმატებული აღმოჩნდება. სხვებისთვის გაწეული უსასყიდლო დახმარება ერთი-ორად გაზრდის თქვენს ავტორიტეტს და საკუთარი თავის რწმენას. კარგ შემოსავალს მოგიტანთ უცხოელებთან კავშირი და თანამშრომლობა. ახლო გადაადგილებები და მოგზაურობა დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს გპირდებათ, თუმცა, ეცადეთ, მეტი ყურადღება მიაქციოთ ჯანმრთელობასა და ცვლილებების შემთხვევაში დროულად მიმართოთ ექიმს.

**მერწყული** (20.01-18.02)
კარგი დროა ნათესავებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. შეიცვლება თქვენი ინტერესები და ფასეულობები. გაიზრდება გადაადგილებების, შეხვედრების, მოლაპარაკებების რიცხვი. ბევრი რამ უცნაურ დამთხვევებად მოგეჩვენებათ. შესაძლოა, შეიტყოთ სხვათა საიდუმლოებები. მოერიდეთ კამათსა და უთანხმოებას როგორც კოლეგებთან, ასევე მეგობრებთან და საყვარელ ადამიანებთან. დინჯი ანალიზი და სწორი არგუმენტები დაგეხმარებათ საკუთარი პოზიციების დაცვაში.

**თევზები** (19.02-20.03)
ძალზედ შემოქმედებითად იაზროვნებთ და უამრავი ახალი და პერსპექტიული იდეა შეგაწუხებთ. პერიოდულად საზოგადოებრივ საქმეებში აქტიური მონაწილეობის მოთხოვნა შეგეცვლებათ სახლში ყოფნისა და დასვენების სურვილით. ძალდატანება კი უარყოფითად აისახება თქვენს განწყობაზე. მშობლებთან და ბავშვებთან ურთიერთობა მეტად მჭიდრო და გახსნილი იქნება. შორეული მოგზაურობები სასიამოვნო ელფერს შეიძენს და სასურველ შედეგს გამოიღებს.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**24, 25, 26 და 29 სექტემბერი**

**3 სექტემბერი – ახალმთვარეობა,**
**18 სექტემბერი – სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება, პიკი – 06.37 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 23 სექტემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.50 საათზე, ჩადის 17.56 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 21.04 საათზე, ჩადის 24 სექტემბერს 12.24 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 21.11 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მიღებული ინფორმაცია, შესაძლოა, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. დღეიდან სიყვარულისა და ხელოვნების მმართველი პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს **ღრიანკალის** ზოდიაქოში, რაც ურთიერთობისას გააძლიერებს პასუხისმგებლობას და ასევე ეჭვიანობას, პირდაპირობას და სარკაზმსაც. კარგი დღეა მიტევებისთვის, კონტაქტებისთვის, ახალი კავშირების დასამყარებლად, ინფორმაციის გაცვლისთვის, მგზავრობისთვის, საკომუნიკაციო საშუალებების შესაძენად, ხელშეკრულებების დასადებად. შედეგიანი იქნება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, მენჯ-ბარძაყის ძვლისა და საზარდულის მკურნალობა. არ არის სასურველი ქორწინება, საიდუმლოს გამხელა, სიმძიმეების აწევა, თმის შეჭრა-შეღებვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ჰიაცინტი, ამაზონიტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 24 სექტემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.51 საათზე, ჩადის 17.54 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.00) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 21.04 საათზე, ჩადის 25 სექტემბერს 13.31 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 21.00 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 22.03 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.00 საათიდან 18.51 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სანამ ხელშეკრულებას ხელს მოაწერთ, მას კარგად გაეცანით. მოთმინებით აღიჭურვეთ პოზიტიური ცვლილებებისთვის, საკომუნიკაციო საშუალებების შესაძენად, კონტაქტებისთვის, საქმიანი შეხვედრებისა და მიმოწერისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, საიდუმლოს გამხელა, ახალი საქმის დაწყება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ქორწინება. გამოყენებამდე ინფორმაცია კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, კუჭი, მკერდი. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ციტრინი, საფირონი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 25 სექტემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.52 საათზე, ჩადის 17.53 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 22.02 საათზე, ჩადის 26 სექტემბერს 13.45 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 23.03 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: იყავით ყურადღებით, დაბნელებების დერეფნის შუალედური წერტილის პერიოდია.** შესაძლოა, ყველაფერი საპირისპიროდ წარიმართოს, ნურაფერს დაგეგმავთ. მაღალია სიცრუეთა ალბათობა. დღეს და ხვალ ეცადეთ, წარსული ცხოვრება გაიაზროთ, კრიტიკულად გააანალიზოთ და დასკვნებიც გააკეთოთ. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ცხოველების, ანტიკვარიატის, ხალხური რეწვის ნიმუშების შესაძენად, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. შედეგიანი იქნება ძვლების, ხერხემლის, კბილების მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 26 სექტემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.52 საათზე, ჩადის 17.54 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 22.50 საათზე, ჩადის 27 სექტემბერს 13.55 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 23.28 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **სასწორის** ზოდიაქოში (13 ოქტომბრამდე), რაც ადამიანებში გააძლიერებს კომუნიკაბელურობას, დიპლომატიურობას, კომპრომისისა და მოლაპარაკებებისკენ მიდრეკილებას და ასევე მერყეობა-გაორებას, სულსწრაფობას, ზედაპირულობასაც. დღეს კარგი დღეა უსარგებლო ნივთებისგან გასათავისუფლებლად, სახლის დასალაგებლად, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, შემოქმედებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, დაპირებების გაცემა. შედეგიანი იქნება ძვლების, ხერხემლის, კბილების მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, მარგალიტი, აქატი, ოპალი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 27 სექტემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.52 საათზე, ჩადის 17.53 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.02) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 23.02 საათზე, ჩადის 28 სექტემბერს 14.27 საათზე (მთვარის 25-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.13 საათიდან 02.48 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ინტუიციასა და გამოცდილებას დაეყრდენით. საიდუმლოების გამჟღავნების დღეა. სამყარო სულის სიმტკიცეზე გცდით. ეცადეთ, საკუთარ თავს გვერდიდან შეხედოთ. გააკონტროლეთ ამპარტავნობა, ამბიციურობა, სიამაყე, სიზარმაცე, სულსწრაფობა, სიჯიუტე. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, ნერვიულობა, ფინანსური გარიგება, ბინის შეცვლა, ქორწინება, ნიშნობა. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, ძვირფასი ნივთების, საჩუქრების შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდონიქსი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 28 სექტემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.53 საათზე, ჩადის 17.51 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 29 სექტემბერს 15.11 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 01.52 საათზე; მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ნუ შეგაშინებთ პრობლემები. კარგი დღეა ხელის სათხოვნელად, ახალი საქმის დასაწყებად, თანამდებობის დასაკავებლად, იურიდიული საქმეებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ძვირფასი ნივთების, საჩუქრების, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის, მშენებლობის დასაწყებად. შედეგიანია თვალებისა და ნერვული სისტემის მკურნალობა. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, ნერვიულობა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ბინის შეცვლა, ქორწინება და ნიშნობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდონიქსი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 29 სექტემბერი , კვირა

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.54 საათზე, ჩადის 17.49 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (13.51) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 00.08 საათზე, ჩადის 15.45 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 03.13 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.37 საათიდან 13.43 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს და ხვალ გაუფრთხილდით თვალებს. კომპიუტერსა და ტელევიზორს დიდხანს ნუ მიუჯდებით. კარგი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ძვირფასი ნივთებისა და საჩუქრების შესაძენად, დალაგება-დასუფთავებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, სწავლისთვის, არომათერაპიისთვის. არ არის სასურველი ნერვიულობა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, გარისკვა. დაეყრდენით ინტუიციას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ბრილიანტი, სარდონიქსი, ქარვა. **საღამოს** — მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## საეკლესიო კალენდარი

✝ **23 სექტემბერი. ორშაბათი.** მოწამეთა: მინოდორასი, მიტროდორასი და ნიმფოდორასი; მოციქულთა: აპელისი, ლუკიასი და კლიმენტისი, 70-თაგანთა; მოწამისა ვარიფსავასი; კეთილმორწმუნისა პულქერიასი, ბერძენთა დედოფლისა; მღვდელმთავართა პეტრესი და პავლესი, ნიკეელ ეპისკოპოსთა.

✝ **24 სექტემბერი. სამშაბათი. წინა შაბათი ჯვართამაღლებისა.** ღირსისა თეოდორა ალექსანდრიელისა; მოწამეთა: დიმიტრისა, ცოლისა მისისა ევანთიასი და ძისა მათისა დიმიტრიანესი; მოწამეთა დიოდორესი და დიდიმოსი, ასურელთა; მოწამისა იასი, სპარსეთს ვნებულისა; ღირსისა ევფროსინესი; ღირსისა სილუანე ათონელისა. წირვის შემდეგ კრწანისის ბრძოლაში თავდადებულ ქართველთა სულთა საოხად აღესრულება პანაშვიდი.

✝ **25 სექტემბერი. ოთხშაბათი. წარგზავნა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობის დღესასწაულისა; გიორგი ჭყონდიდელისა, დავით აღმაშენებლის მოძღვრისა, მწიგნობართუხუცესისა;** მღვდელმოწამისა დოსითეოზ თბილელისა; მღვდელმოწამისა ავტონომოსი, იტალიელი ეპისკოპოსისა; მოწამისა იულიანესი და მისთანა 40-თა მოწამეთა; მოწამისა თეოდორე ალექსანდრიელისა; მღვდელმოწამისა კორნუტისა, ნიკომიდიელი ეპისკოპოსისა.



**26 სექტემბერი – ენკენია, რომელ არს ხსენება ქრისტეს აღდგომის წმიდა ტაძრის განახლებისა იერუსალიმს**

✝ **26 სექტემბერი. ხუთშაბათი. ენკენია, რომელ არს ხსენება ქრისტეს აღდგომის წმიდა ტაძრის განახლებისა იერუსალიმს. წინადღესასწაული უფლის პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარის ამაღლებისა.** წმიდისა დიდმოწამისა, საქართველოს მნათობისა, კახეთის დედოფლისა ქეთევანისა; მღდელმოწამისა კორნილი ასისთავისა; მოწამეთა: კრონიდესი, ლეონტისა და სერაპიონისა; მოწამეთა სელევკისა და სტრატონიკესი; მოწამეთა მაკროვისი და გორდიანესი; მღვდელმოწამისა ივლიანე ხუცისა; მოწამეთა: ელიასი, ზოტიკესი, ლუკიანესი და ვალერიანესი.

✝ **27 სექტემბერი. პარასკევი. მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა. ჯვართამაღლება.** მიცვალება იოანე ოქროპირისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ **28 სექტემბერი. შაბათი. შემდგომი დღესასწაული ჯვართამაღლებისა.** ამბა იოსებისა, ალავერდელი ეპისკოპოსისა; დიდმოწამისა ნიკიტასი; პოვნა წმიდათა ნაწილთა აკაკი აღმსარებელისა, მელიტინელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: მაქსიმესი, თეოდოტესი და ასკლიადისა; მოწამისა პორფირისა; პოვნა წმიდათა ნაწილთა პირველმოწამისა მთავარდიაკონისა სტეფანესი; ღირსისა ფილოთეოზ ხუცისა, მცირეაზიელისა, სასწაულმოქმედისა.

✝ **29 სექტემბერი. კვირა.** მოწამეთა ძმათა ისააკ და იოსებ ქართველთა, კარნუქალაქს წამებულთა; დიდმოწამისა ევფემია ყოვლადქებულისა; მოწამისა სევასტიანესი; მოწამისა მელიტინასი; მოწამეთა ვიქტორისა და სოსთენისა; ღირსისა დოროთესი, მეგვიპტელი მეუდაბნოისა; მოწამისა ლუდმილასი, ჩეხთა დედოფლისა.




მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 58-ე წელია,

მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სორბონი; 7. პომპა; 12. რეკორდი; 13. გოტიე; 14. მანგანო; 15. ცენტი; 16. კანკანი; 17. ტრასა; 18. რამბუიე; 19. კვატა; 20. ზმანება; 21. ტრეკი; 22. იო; 24. ფიჯი; 26. ტრიკო; 27. მიმინო; 30. როისი; 32. კაროლინა; 33. სიმი; 35. ნაპალმი; 36. კუკი; 37. სანიკიძე; 41. ქსანი; 42. ტირანა; 45. ვიტი; 46. რესტორანი; 47. კეტი; 48. ფარდაგი; 49. ეპილატორი; 54. პოლიცია; 59. სერი; 61. სანტიმეტრი; 62. ბრენდი; 63. კანტი; 64. კარაბადინი; 65. ნიკოტინი.

შვეულად: 1. სამურაი; 2. რენომე; 3. ორაგული; 4. იროკეზი; 5. სკანდალი; 6. არბალეტი; 7. პიციკატო; 8. მანდარინი; 9. აგიტატორი; 10. სტრატეგი; 11. მელანინი; 23. ოსაკა; 24. ფლოტი; 25. ჯოისი; 27. მანე; 28. მოპსი; 29. ნალია; 31. სეკატორი; 33. სიქა; 34. მდარე; 36. კივილი; 37. სარკე; 38. ნესვი; 39. კვოტა; 40. ძმა; 42. ტიფი; 43. რური; 44. ნუარე; 47. კიპი; 50. პრადა; 51. ლიტრა; 52. ტემზა; 53. რიტმი; 55. ლარგო; 56. ცინკი; 57. აპისი; 58. ტიკი; 59. სონი; 60. როინ.

**კამათელიანისიროკოკობალტიმორიელიტატამიშიკი**
**ლოტოსიონისევანილიკანიბალისტატორიჩელინიავი**

| ქალაქი სამეგრელოში | ვატერპასი | მანძილი ეკვადორიდან პოლუსისაკენ | ციტრუსი | მტაცებელი ცხოველი | ფულის მისაღები თამასუქი | გოლკიპერი |
|---|---|---|---|---|---|---|

| მდინარე პარიზში | საკრავი | აქა-იქ, ანუ | ტრიბუნის თანაშემწე ძველ რომში | ქართველი მსახიობი მამაკაცი | ჰემინგუეი „ვის უხმობს ...“ | სამის რიგითი ნომერი | თმის ვარცხნილობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 7. ქალაქი იტალიაში; 12. ღვინის დეგუსტატორი; 13. ჯუჯა სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში; 14. მეორეხარისხოვანი ქალღმერთები ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ქოქოსის კაკლის გული; 16. სუპერმარკეტების ქსელი საქართველოში; 17. ინდოეთის ფული; 18. ფრთოსანი მწერი, ე.წ. მედლეურა; 19. დედალი ცხვარი; 20. ფრანგი მსახიობი ქალი („ჯადოქარი“); 21. ამერიკელი რეჟისორი; 22. ფოლგა; 25. დიდი ვენახი; 26. ბაყაყის ხმიანობა; 29. „ბითლზის“ წევრი; 30. ქირურგიული ჩარევა მკურნალობის მიზნით; 31. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; 33. პლანეტა ურანის თანამგზავრი; 34. სოფელი ბაღდათის რაიონში; 36. სკოლის დამთავრების საბუთი; 37. ფრანგი გმირი ქალი ჟანა ...; 38. ქართველი რეჟისორი; 39. მეტყველების ორგანო; 41. პანტომიმის მსახიობი; 43. ფეხბურთის სახელი ამერიკის კონტინენტზე; 44. ერთგვარი სასმისი; 46. ლიტერატურის სახეობა; 49. ქალაქი საფრანგეთში; 50. ფინიკი, იგივე ... ხურმა; 52. სტადიონი ერევანში; 53. სასტუმრო ავტომობილისტებისათვის; 54. ნამი; 55. ერთგვარი საწერი მაგიდა; 57. ძვლისმაგვარი ნივთიერება, კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; 58. ტურიზმის მიმდევარი; 59. ღვთაებრივი ხარი; 60. ცხენოსნის წკეპლა.

შვეულად: 1. კონტრრევოლუციის კერა; 2. ეგვიპტის ფარაონი; 3. მიწა, ზღვის საპირისპიროდ; 4. იაპონელი მწერალი; 5. მითიური მებრძოლი ქალი; 6. წყალში ხსნადი უმარტივესი ცილა; 7. ძაღლის ჯიში; 8. დღის განმავლობაში მომხდარი ამბების გამოქვეყნება პრესის, ტელევიზიის საშუალებით; 9. სამხრეთაფრიკული ბალახოვანი მცენარე; 10. ადამიანი, რომელსაც აქვს გადაულახავი ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი; 11. ძველი სამკურნალო წიგნი; 22. უფროსი ლეიტენანტის ჩინი არმიაში; 23. ფრანგული ენციკლოპედიის გამომცემლობა; 24. იტალიელი ფერმწერი; 26. დაუმუშავებელი, ნასვენი მიწა; 27. შავი ფრინველი; 28. ნორვეგიელი პოლარული მკვლევარი; 31. შვილიშვილი; 32. საცხოვრებელ სახლს მიშენებული აივანი; 34. ბავშვის მაღალი ხმა; 35. ტანის ზედა წინა ნაწილი; 39. სცენა მსახიობების, მუსიკოსების გამოსასვლელად მაყურებელთა წინაშე; 40. აშშ-ის შტატი; 41. ციებ-ცხელება; 42. სამართალდამცავი ორგანო; 45. ბზის საზიდარი, ურემი (საბა); 46. ზღვრული ნორმა; 47. მჭევრმეტყველი; 48. უზარმაზარი ქანდაკება, კოლონა; 51. შოტლანდიური ვისკი; 55. ნომრის გამეორების მოთხოვნა; 56. ზღვის პატარა ყურე.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ფილმი მინელის მონაწილეობით | ამბის რომელიმე ახსნა | ფრანგი ფერმწერი | რიაზანოვის ფილმი | წმენდილი შაქარი | საგანგებო დავალება | თელემა |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქალის სამოსი | მედლის უკანა მხარე | იტალიელი ვიოლინოს ოსტატი | თამბაქოს ნაწარმი | გრძელკისერა ცხოველი | წვეულება | გადაადგილება ფეხით |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჭკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 16 – 22 სექტემბერი №39 (1557)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

